დანართი №3

შპს მარნეულის კოლეჯისთვის

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო კახიძე

წევრები:

მიმოზა ღოლიჯაშვილი

თათია კაციტაძე

ბარბარე გონაშვილი

დემიდ ფასიეშვილი

ნანა ქუფარაშვილი

მზია ბაკურიძე

ქეთევან ღვანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: მარნეულის კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 234158498

სახე: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

■ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 25 სექტემბრის MES 8 25 0001226159 ბრძანების (ცვლილებები: N 1267197 01/10/2025 და N 1362305 17/10/2025) საფუძველზე, 2025 წლის 15-17 ოქტომბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს „მარნეულის კოლეჯში“ (ქალაქი მარნეული 26 მაისის ქუჩა N80). ვიზიტის მიზანი იყო დაწესებულების პირობების და საგანმანათლებლო პროგრამების („საექთნო განათლება", "სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი", „მასაჟის თერაპია“, „ფარმაცია (საფთიაქო)“, „საფინანსო სერვისები“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ სუბიექტებთან, ჩატარდა მათ წარმომადგენლებთან გასაუბრება. დათვალიერებულ იქნა დაწესებულების მატერიალური რესურსი.

შპს „მარნეულის კოლეჯი“ მიმდინარე ეტაპზე ახორციელებს 6 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. აღნიშნულ პროგრამებთან მიმართებით შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ დაწესებულებას აქვს თითოეული პროგრამის განხორციელების რესურსი და შესაძლებლობა. ამასთან, პროფესიული განათლების თითოეული პროგრამისთვის გამოყოფილია ინდივიდუალური სასწავლო კაბინეტები შესაბამისი აღჭურვით, ხოლო დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უზრუნველყოფს დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებს სრულყოფილი საგანმანათლებლო რესურსით.

შპს „მარნეულის კოლეჯმა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება მოიპოვა 2018 წლის 23 ივლისის წელს N127 გადაწყვეტილების საფუძველზე. მიმდინარე ავტორიზაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტთან მიმართებით დაწესებულება შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისი“. ასევე ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადებითად შეფასდა დაწესებულების მზაობა და თანამშრომლობითობა ექსპერტთა ჯგუფთან წარმოების ფარგლებში, დაწესებულებას გამართულად აქვს ჩამოყალიბებული პროცედურები და მათი თანმდევი პროცედურები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა 2018 წლიდან დღემდე დაწესებულების პროგრესი, პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია შესწავლილ იქნა რამდენიმე წლის პერიოდით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას სრულად აქვს ინტეგრირებული ელექტრონული საქმისწარმოება.

ვიზიტის ყოველი დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულების ადმინისტრაციას აცნობდა დღის მიგნებებს, ხოლო ვიზიტის უკანასკნელ დღეს გაკეთდა საბოლოო შეჯამება ვიზიტის ძირითადი მიგნებების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
ფარმაცია (სააფთიაქო)	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქალაქი მარნეული 26 მაისის ქუჩა N80
საექთნო განათლება	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქალაქი მარნეული 26 მაისის ქუჩა N80
საფინანსო სერვისები	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქალაქი მარნეული 26 მაისის ქუჩა N80
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სამუშაო გარემოში	-	ქალაქი მარნეული 26 მაისის ქუჩა N80
სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	ქალაქი მარნეული 26 მაისის ქუჩა N80
მასაჟის თერაპია	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სამუშაო გარემოში	-	ქალაქი მარნეული 26 მაისის ქუჩა N80

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ფარმაცია (სააფთიაქო)	100	50	7	-
საექთნო განათლება	150	40	2	-
საფინანსო სერვისები	44	45	13	3
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	44	17	7	-
აღმზრდელი	100	31	4	-
მასაჟის თერაპია	40	15	-	-

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





4) ადამიანური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ფარმაცია (სააფთიაქო)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
საექთნო განათლება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
საფინანსო სერვისები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
მასაჟის თერაპია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

ვიზიტის ფარგლებში ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა I, III, IV და V სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ვიზიტის ფარგლებში შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ვიზიტის ფარგლებში შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა I, III, IV და V სტანდარტებთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორი 3.2.1.1: *კოლეჯის სამომავლო განვითარების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: პროფესიული* საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობამ შეიმუშავოს და დანერგოს ეფექტიანი ინსტრუმენტებისა და სტრატეგიების კომპლექსური სისტემა, რომელიც მიზნად დაისახავს სტუდენტების სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობასა და დასწრების მნიშვნელოვან ზრდას, ეს ინსტრუმენტები შეიძლება მოიცავდეს დასწრების დადებითი წახალისების მექანიზმებს (მაგალითად, მაღალი დასწრების მქონე სტუდენტების აღიარება, დამატებითი ქულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 
---------- ----------

მინიჭება ან მცირე ბენეფიტები), მენტორობის პროგრამების გაძლიერებას, სასწავლო პროცესის ინტერაქტიულობისა და პრაქტიკული ორიენტაციის გაზრდას სწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით.

ინდიკატორი 4.1.2.1: დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში, შინაგანაწესში განსაზღვროს წლის განმავლობაში ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი შვებულების მაქსიმალური ოდენობა (მუხლი 8, პუნქტები 1 და 2), ასევე შინაგანაწესში გააკეთოს უშუალო მითითება შრომის კოდექსზე უქმე დღეების ნაწილში, ხოლო შინაგანაწესში ასახოს მხოლოდ ის უქმე დღეები, რომლებსაც დაწესებულება საკუთარი სურვილით იყენებს და შრომის კოდექსისგან განსხვავდება *(მუხლი 16, პუნქტი 9).*

ინდიკატორი 4.2.1.1: ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან კვლევის ორივე მეთოდი შეფასდა დადებითად, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მარეგულირებელი დოკუმენტი მხოლოდ თვისებრივ კვლევას ითვალისწინებს, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, ანონიმურობისა და ობიექტურობის შენარჩუნების მიზნით თვისებრივ კვლევასთან ერთად გამოიყენოს შეფასების კითხვარიც.

8. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორი 2.3.1.2: *დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებსაც სტანდარტით განსაზღვრული აქვთ სავალდებულოდ საკვალიფიკაციო გამოცდის განხორციელება (ამ შემთხვევაში „საექთნო განათლება“), სტუდენტის მიღწევების შეფასების, ასევე სასწავლო პროცესის შეფასების, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნებისთვის განახორციელოს შუალედური შეფასებაც, რაც დაწესებულებისთვის იქნება პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზის ერთ-ერთი ინდიკატორი და საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში შესაბამისი ცვლილების განხორციელების ერთ-ერთი საფუძველი. მიუხედავად ამისა, ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.*

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





დაწესებულებამ 2025 წლის 17 ნოემბრის No 00023845 წერილით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორი 2.3.1.2-ის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. დაწესებულება არ ეთანხმება შუალედური გამოცდის განხორციელების აუცილებლობას და ასაბუთებს, რომ „იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება შუალედურ შეფასებას არ იყენებს, მას აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს სხვა ეფექტიანი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (შიდა მონიტორინგი, მოდულების პერიოდული ანალიზი, სწავლების მეთოდების შეფასება, თვითშეფასების სისტემური პროცედურები და ა.შ.)".

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ რეკომენდაციის ცვლილების საჭიროება არ არის შემდეგი გარემოებების გამო:
1. აღნიშნული რეკომენდაცია ატარებს განმავითარებელ ხასიათს და არ ცვლის ინდიკატორის შეფასებას.
2. რეკომენდაცია გაცემულია მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილში, რომლის სტანდარტიც ითვალისწინებს საკვალიფიკაციო გამოცდის განხორციელებას.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" უკანასკნელი ცვლილების შესაბამისად, რომელიც განხორციელდა მთავრობის 2025 წლის 4 სექტემბრის N395 დადგენილების საფუძველზე, „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების სავალდებულოობა ვრცელდება დუალური სწავლების ფორმით განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე, ***ასევე იმ პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე, რომლებიც ეფუძნება ისეთ პროფესიულ საგანმანთლებლო სტანდარტს, რომელშიც საკვალიფიკაციო გამოცდა განსაზღვრულია კვალიფიკაციის მინიჭების ერთ-ერთ წინაპირობად,*** *გარდა იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. საკვალიფიკაციო გამოცდის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების, პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება, რომელიც ამ პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის წარმოადგენს კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელ წინაპირობას.". ამავე დადგენილების (კონსოლიდირებული ვერსია) მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, „საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება* ***და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა"****.*

აღნიშნულის შესაბამისად, დაწესებულებას საექთნო განათლების პროგრამისთვის საკვალიფიკაციო გამოცდის განხორციელების ვალდებულება განსაზღვრული აქვს როგორც პროგრამის სტანდარტით, ისე დადგენილებით. ზემოაღნიშნული დადგენილება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის წარმოადგენს სავალდებულოდ სახელმძღვანელო გარე მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელიც კუმულაციურად განსაზღვრავს დაწესებულებებისთვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობად როგორც სწავლის შედეგების დადასტურებას, ისე შუალედურ გამოცდებში მონაწილეობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმის მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფი ამ განმავითარებელ რეკომენდაციას შეცვლის თუ არა, დაწესებულებისთვის საექთნო განათლების პროგრამაზე შუალედური გამოცდის განხოციელების ვალდებულება (განსხვავებით რეკომენდაციის ხასიათისა, რომელიც დაწესებულებამ, საკუთარი შეხედულებით, შესაძლოა გაითვალისწინოს, ან არ გაითვალისწინოს) უახლესი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, უკვე კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 
---------- ----------

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს - შპს მარნეულის კოლეჯის მისია ჟღერს შემდეგნაირად: „ჩვენი მისიაა მრავალპროფილური პროფესიული პროგრამების განხორციელებით, ქვემო ქართლის რეგიონის შიდა და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება და დასაქმების ხელშეწყობა, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაზე ზრუნვა. კოლეჯი თავისი საქმიანობით ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციას, ქართული ენის პოპულარიზაციას და ახალგაზრდებში ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის ღირებულებების დამკვიდრებას“ . მისიის შემუშავებისას კოლეჯმა გაიაზრა კოლეჯის როლი, თუნდაც მცირე, პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების (ა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა; ბ. სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; გ. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, დ. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა) შესრულებაში. მისიაში მოცემულია კოლეჯის მიზანი/სურვილი - იყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილე; ასევე, აღნიშნულია სოციალური ინკლუზიის მნიშვნელობა, მოცემულია სწავლების პრიორიტეტული მიმართულებები და აქცენტი ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციაზე და ქართული ენის პოპულარიზაციაზე. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის მისიაში ბოლო ცვლილება 2024 წლის დეკემბერში განხორციელდა. ცვლილება გამოწვეული იყო ინტერნაციონალიზაციის მიმართულების ასპექტების ასახვის საჭიროებით, კოლეჯის მისიაში აისახა მისი იდენტობა, მრავალპროფილურობა და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება. სწორედ ამ მიზნით კოლეჯმა შეიმუშავა „ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 24 ივნისის №9743 კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ძირითადი მიზანია პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება და კოლეჯის ინტეგრაცია გლობალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

საგანმანათლებლო სივრცეში. კოლეჯის მისია შესაბამისობაშია საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“ მე-2 მუხლით განსაზღვრულ პროფესიული განათლების მიზნებთან. **წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 1.1.1.1.-ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.**

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან - კოლეჯის მისიიდან გამოკვეთილია საქმიანობის ძირითადი მიმართულებები: კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. კოლეჯი იცავს მისიაში გაცხადებულ მიზანს და ახალი პროგრამების დამატება ძირითადად ხდება პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად. თუმცა მისიაშივეა მითითებული, რომ კოლეჯი მრავალპროფილურია და შესაბამისად, ხორციელდება პროგრამები სხვა მიმართულებებითაც. კერძოდ, კოლეჯი ახორციელებს პროგრამებს შემდეგი მიმართულებებით: საექთნო განათლება, ფარმაცია(საათიაქო), აღმზრდელი, საფინანსო სერვისები, ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა და მასაჟის თერაპია. კოლეჯის მისიაში ასახულია ის შესაძლებლობები, რაც დაწესებულებამ ხანგრძლივი ისტორიით (მარნეულის კოლეჯი 1992 წელს დაარსდა საქართველოს ექიმთა ასოციაციის ინიციატივითა და ხელშეწყობით) გამოცდილებით შეიძინა და დაიმკვიდრა თავი ქვემო ქართლის რეგიონში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების თანახმად, კოლეჯის მისიის ბოლო ცვლილება განხორციელდა 2024 წლის დეკემბერში. ცვლილების მთავარი მოტივატორი იყო ინტერნაციონალიზაციის მიმართულების ასპექტების ასახვის საჭიროება, რაც გამოიკვეთა სტრატეგიული მენეჯერის მიერ 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის არაგეგმიური მონიტორინგის პროცესში, რომლის მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა 2024 წლის 06 დეკემბერს განხორციელებული სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმის არაგეგმიური მონიტორინგის ანგარიში (N16883). განახლებული მისია ასახავს: კოლეჯის იდენტობას, მის მრავალპროფილურობას, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას. მოცემული შეფასება მიუთითებს, რომ კოლეჯის მისიის განახლებული ვერსია სრულად შეესაბამება სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნებს, რადგან: ნათლად არის ასახული მრავალპროფილურობა, რაც უზრუნველყოფს მისიიდან დაწესებულების ძირითადი პროფილის გამოკვეთას, მისია ხაზს უსვამს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას (ინტერნაციონალიზაცია), რაც არის ერთ-ერთი იმ კონკრეტული მიმართულებათაგანი, რომლითაც კოლეჯს შეუძლია საკუთარ გამორჩეულობას გაუსვას ხაზი. **წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 1.1.1.2.-ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

---

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები - დაწესებულების მისიიდან გამომდინარეობს ხედვა და ღირებულებები, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში განსაზღვრავენ, რომ ქვემო ქართლის რეგიონში არსებული ორგანიზაციები კოლეჯის კურსდამთავრებულთა მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნებიან შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიციური კადრით. დაწესებულების ხედვაა: „2028 წლისთვის მარნეულის კოლეჯი იქნება ერთ-ერთი წამყვანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ქვემო ქართლის რეგიონში, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებულ კადრების მომზადებას. ჩვენი კადრები და მათი უნარები გახდება რეგიონში მოქმედი ორგანიზაციებისთვის აქტიური რესურსი“. კოლეჯი ხელმძღვანელობს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ინტერესებით, მისიასა და ხედვაში გაცხადებული მიზნების მიღწევას და შესაბამისად, საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას ახორციელებს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

სამართლიანობა - ჰარმონიული და თანასწორი გარემოს უზრუნველყოფა თითოეული პიროვნებისთვის.

თანამშრომლობა - ურთიერთდახმარების და გუნდური მუშაობის პრინციპის დანერგვა.

გამჭვირვალობა - გადაწყვეტილებების და საქმიანობის პროცესების ღიაობა.

ტოლერანტობა - სხვადასხვა კულტურების და პიროვნებების მიმართ ღია დამოკიდებულების შექმნა.

პასუხისმგებლობა კოლეჯის მიერ ყველა პირობის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და პერსონალის სოციალური და პროფესიული პასუხისმგებლობის განვითარებაში. “

ამდენად, **დასტურდება ინდიკატორი 1.1.1.3.-ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.**

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი - კოლეჯის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი სხვადსხვა არხით:

ვებ-გვერდი: განთავსება კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

სოციალური ქსელები: განთავსება სოციალური ქსელების მთავარ გვერდზე.

ბეჭდური მასალა: განთავსება კოლეჯის კატალოგში და სტუდენტურ გზამკვლევში;

შიდა სივრცე: განთავსება კოლეჯის შიდა სივრცეში (თვალსაჩინო ადგილზე), რაც უზრუნველყოფს ფიზიკურ ხელმისაწვდომობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს, როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ისე დაინტერესებული ნებისმიერი მხარეებისთვის. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური ყოველ ახალ სასწავლო წელს ატარებს სპეციალურ საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან. პირველკურსელებს ურიგდებათ კოლეჯის შესახებ საინფორმაციო ბროშურა-სტუდენტური გზამკვლევი, სადაც დეტალურადაა მოცემული ინფორმაცია მისიის, ხედვის და ღირებულებების შესახებ სხვა მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად სტუდენტებისთვის(სწავლის შედეგების შეფასება, საკვალიფიკაციო გამოცდა, მობილობის უფლება, კარიერული მხარდაჭერა, უსაფრთხოების დაცვა და სხვა). ეს გზა ადასტურებს აქტიურ ქმედებას სტუდენტების (როგორც დაინტერესებული მხარის) ინფორმირებისთვის.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯი ეფექტიანად უზრუნველყოფს მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროობას (ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები, შიდა სივრცე) და მათ გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებთან (საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან).

ამდენად, წარმოდგენილი დოკუმენტების, ფაქტობრივი გარემოებებისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 1.1.1.4.-ის **შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდ ხელმისაწვდომია;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის №6599 ბრძანებით დამტკიცებული „დებულება“
- შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი №2 (19.11.2024)
- შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი №3 (10.12. 2024)
- შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმის არაგეგმიური მონიტორინგის ანგარიში №16883 (06.11.2024);
- შპს მარნეულის კოლეჯის ვებ-გვერდი https://mc.edu.ge/ge/posts/details/95/misia-khedva-da-ghirebulebebi ;
- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის მიერ 2024 წლის 10 დეკემბრის №20939 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების წესი“;
- შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრის დღის წესრიგი (23.12.2024);
- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 24 ივნისის № 9743 ბრძანებით დამტკიცებული „ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- დაწესებულების მისია განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას;
- გასაუბრების შედეგები;
- ადგილზე დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას - დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების წესი“, დოკუმენტი დამტკიცებულია შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის №20939 ბრძანებით და მასში განხორციელებულია 6 ცვლილება. დოკუმენტში გაწერილია (თავი VIII.) სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები; სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგზე და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირია სტრატეგიული მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

სტრატეგიული განვითარების გეგმის გეგმიური მონიტორინგი ხორციელდება სულ მცირე ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიშების შესწავლა/ანალიზის საფუძველზე. დოკუმენტის ასევე მოიცავს (თავი VII.) ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მასში ცვლილების შეტანას. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნებს, ამოცანებს, აქტივობებს, შესრულების ინდიკატორებს, მტკიცებულებებს, განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირს/პირებს, შემსრულებელს პირს/პირებს, რისკ-ფაქტორებს, რესურს და შესრულების სტატუსს. ერთწლიან სამოქმედო გეგმის პროექტზე პასუხისმგებლი პირია სტრატეგიული მენეჯერი, რომელიც სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფთან ერთი კვირის მანძილზე შეიმუშავებს და განიხილავს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტის შეთანხმებულ ვერსიას სტრატეგიული მენეჯერი წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სამოქმედო წლის მანძილზე ორჯერ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში ქვეყნდება საჯაროდ კოლეჯის ვებ-გვერდზე.

დაწესებულებას ასევე აქვს „შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2026“ , რომელიც დამტკიცებულია შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 ოქტომბრის №61 ბრძანებით და მასში ცვლილება შევიდა შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 15 ოქტომბრის N6026 და 2024 წლის 25 დეკემბრის № 22033 ბრძანებით.

კოლეჯი ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარების მოდელით, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციის გრძელვადიანი მიზნების ჩამოყალიბებას, განვითარებასა და შესრულების მონიტორინგს.

სტრატეგიული ჩარჩო აერთიანებს საქმიანობის ხუთ ძირითად მიზანს:

კოლეჯის მიზნებია:

- ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული უნარებითა და ცოდნით აღჭურვილი პროფესიონალის მომზადება
- საერთაშორისო ურთიერთობების და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა
- მრავალეთნიკური სტუდენტებისა და მსმენელების სამოქალაქო ინტეგრაცია
- პერსონალის განვითარება;
- მატერიალური რესურსის განვითარება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





კოლეჯში შექმნილია სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი. კოლეჯის შვიდწლიანი სტრატეგიულ განვითარებას ერთწლიანი სამოქმედო გეგმები ავსებს, რომელიც კოლეჯის მიმდინარე საჭიროებებს პასუხობს. **ამდენად, დასტურდება ინდიკატორი 1.2.1.1.-ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას**

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს - კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმარება მიმდინარეობს სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით და წარმოადგენს თანამონაწილეობით პროცესს. კოლეჯს განსაზღვრული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების წესი, რომლითაც დგინდება შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. ეს უზრუნველყოფს, რომ პროცესი იყოს სტრუქტურირებული და მიმდინარეობდეს წესების დაცვით . სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვისთვის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობასაც სტრატეგიული მენეჯერი ხელმძღვანელობს. სამუშაო ჯგუფი მუშაობდა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის პროექტზე, ასევე განიხილა მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ცვლილების პროექტები. ეს მრავალმხრივი მუშაობა უზრუნველყოფს, რომ სტრატეგიული დოკუმენტაცია შემუშავდეს თანამონაწილეობითი გზით. სამუშაო ჯგუფის შეხვედრა მოიცავდა 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების განხილვას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კოლეჯს გააჩნია სტრატეგიული დაგეგმარების ციკლური პროცესი, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ახალი გეგმის შემუშავებას, არამედ ძველის შეფასებას და მისი შედეგების გათვალისწინებას ახალ გეგმაში. ყოველწლიურად სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, სამუშაო ჯგუფი ითვალისწინებს რეგიონის პრიორიტეტებს და ხვდება დაინტერესებულ პირებს (მუნიციპალიტეტის, დამსაქმებლის, ა/ო წარმომადგენლები). კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ სტრატეგიული დაგეგმარება იყოს თანამონაწილეობითი პროცესი. ამას ადასტურებს სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც მუშაობს ყველა ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტზე (მისია, ხედვა, ღირებულებები, სამოქმედო და 7-წლიანი გეგმა) სტრატეგიული დაგეგმარების წესის დაცვით, რითაც მიიღწევა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა გეგმების ფორმირებაში. **ამდენად, დასტურდება ინდიკატორი 1.2.1.2.-ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.**

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოწოდებული ინფორმაცია და გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და თანამშრომლებთან ადასტურებს, რომ კოლეჯი სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვის პროცესს ატარებს სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნებისა და სტრუქტურის დაცვით. განსაზღვრულია მისიასთან თავსებადი 5 სტრატეგიული მიზანი, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული კოლეჯის იდენტობასთან, მისია/ხედვასთან. მიზნები ფარავს: განათლების ხარისხის განვითარებას, ინსტიტუციურ განვითარებას (მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობებს), რესურსების/სტუდენტური სერვისების გაუმჯობესებას., მრავალეთნიკური ახალგაზრდების სამოქალაქო და კულტურულ ინტეგრაციას (რაც ასახავს კოლეჯის იდენტობას და შესაძლოა, რეგიონულ/თემის პრიორიტეტებს). მიზნების მისაღწევად გაწერილია ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები (ინდიკატორების შესაბამისი).სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი ყოველწლიურად ამუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას, რაც ადასტურებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ლოგიკურ კავშირს და სტრატეგიული გეგმის ვადების გათვალისწინებას. სამოქმედო გეგმა მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს, რაც სტანდარტით არის მოთხოვნილი: ამოცანები, აქტივობები (ამოცანების შესასრულებლად), შესრულების ინდიკატორები, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები, რისკ-ფაქტორები, რესურსები (რომელიც მოიცავს საჭირო რესურსების განსაზღვრას), მტკიცებულებები (დადასტურების წყარო). კოლეჯს აქვს შემუშავებული „სტრატეგიული დაგეგმარების წესი“, რომელიც განსაზღვრავს გეგმებში ცვლილებების შეტანის ნორმებს (წესის მე-7 თავის 61-ე მუხლი). 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმაში ცვლილებები შევიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის პილოტირების შედეგების საფუძველზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კოლეჯი გეგმების ფორმირებისას ითვალისწინებს შიდა მონიტორინგის/შეფასების შედეგებს. ცვლილებები შეტანილ იქნა წესის დაცვით (სამუშაო ჯგუფის მოწვევის გარეშე), რადგან ცვლილებების პროცენტი არ აღემატებოდა დადგენილ ნორმას. ამრიგად, კოლეჯი ეფექტიანად ახორციელებს დაგეგმვის პროცესს, უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების მისიასთან შესაბამისობას და სამოქმედო გეგმებში ყველა სტრუქტურული ელემენტის (მიზანი, ამოცანა, აქტივობები, ვადები, ინდიკატორები, რესურსები, პასუხისმგებელი პირები) განსაზღვრას. წარმოდგენილი დოკუმენტების, ფაქტობრივი გარემოებების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 1.2.1.3-ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის ბრძანება №15105 სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (16.10.2024);
- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის ბრძანება №15481 სამუშაო ჯგუფის კორექტირების შესახებ ბრძანება (22.10.2024);
- შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი № 1 (N103137695, 24.10.2024);
- შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ოქმი № 2 (19.11.2024);
- შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ოქმი № 3 (10.12.2024);
- შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ოქმი № 4 (17.12.2024);
- შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ოქმი №5 (21. 01.2025) ;
- სპს მარნეულის კოლეჯის „სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2026“, დამტკიცებული კოლეჯის დირქტორის 2024 წლის 25 დეკემბრის № 22033 ბრძანებით;
- შპს მარნეულის კოლეჯის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა.(მაისის ცვლილებით);
- შპს მარნეულის კოლეჯის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები და ცვლილებები სამოქმედო გეგმაში №7777 (24.05.25);

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით - დოკუმენტზე „შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების წესი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის №20939 ბრძანებით (ცვლილება განხორციელდა ექვსჯერ, მათ შორის ბოლო ცვლილება განხორციელდა) განსაზღვრული წესებზე დაყრდნობით კოლეჯი ახორციელებს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის, შეფასების, მათში ცვლილებების შეტანის პროცესებს. სტრატეგიული დაგეგმარების წესში გაწერილ ყველა პროცესს და სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული მენეჯერი. სტრატეგიული მენეჯერი და სამუშაო ჯგუფი განიხილავს ცვლილებებს კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებებთან დაკავშირებით და ასევე, შეიმუშავებს - კოლეჯის 7

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას. ამ გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად 7 წლის მანძილზე ადგენს ერთწლიან სამოქმედო გეგმებს. დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები, კერძოდ:

- ინფორმაციის შეგროვება, კვლევა, ანალიზი (SWOT)
- მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავება/გადახედვა
- სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა
- სტრატეგიული გეგმის შემუშავება, დამტკიცება/ ცვლილებების შეტანა
- სამოქმედო გეგმის შემუშავება, დამტკიცება/ ცვლილებების შეტანა
- სტრატეგიული /სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება

პერსონალთან გასაუბრების და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დაწესებულებაში შექმნილია სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2024 წლის 16 ოქტომბრის კოლეჯის დირექტორის N15105 ბრძანებით. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 20 - 22 წევრით, დგება კოლეჯის შიდა და გარე დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით. კერძოდ: შიდა დაინტერესებული მხარე:

- კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი (3/4 წევრი);
- პროგრამის ხელმძღვანელი/ მასწავლებელი (2/3 წევრი) ;
- პროფესიული სტუდენტი/მსმენელი (1/2 წევრი);
- პარტნიორი ორგანიზაცია (1/2 წევრი);
- კურსდამთავრებული (1/2 წევრი)
- გარე დაინტერესებული მხარე:
- რეგიონის მუნიციპალიტეტი/ების წარმომადგენელი (2/3 წევრი);
- დამსაქმებელი (2/3 წევრი);
- თემის წარმომადგენელი (2/3 წევრი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სამუშაო შეხვედრებზე ჯგუფის წევრები განიხილავენ რეგიონის და თემის მოთხოვნებს, ეცნობიან სხვადასხვა კვლევის თუ სტატისტიკურ მონაცემებს, ეცნობიან და განიხილავენ სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტს - მიზნებს, ამოცანებს, სამუშაოს ვადებსა და მოსალოდნელ შედეგებს; შეხვედრებზე ჯგუფის წევრები ასევე გეგმავენ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის აქტივობებს. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აზუსტებენ და აკონკრეტებენ ბიუჯეტს, სამუშაოს შესრულების ვადებსა და სხვა მიმდინარე საკითხებს. სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხდება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიშების შესწავლა/ანალიზის საფუძველზე. ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სამოქმედო წლის მანძილზე ორჯერ. ხოლო შეფასება სამოქმედო გეგმის - მოქმდების დასასრულს. კოლეჯმა მატერიალური სახით წარმოადგინა ბოლო ექვსი წლის განმავლობაში შესრულებული სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელიც ასევე განთავსებულია ვებ-გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. **წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 1.2.2.1.-ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.**

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე - კოლეჯის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და გასაუბრება პერსონალთან ადასტურებს, რომ დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგებზე და ახორციელებს აუცილებელ საკორექტირებო ზომებს. სამუშაო ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამების დამატება გარე რისკ-ფაქტორებმა შეაფერხა, ხოლო დამსაქმებლის კვლევა საკადრო ცვლილებებმა. კოლეჯმა ამ ფაქტორებზე რეაგირება მოახდინა აქტივობების მნიშვნელობიდან გამომდინარე: ორივე აქტივობა, როგორც მნიშვნელოვანი განვითარებისთვის, გადატანილ იქნა 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმაში (რაც გეგმის კორექტირებასა და ვადების გადაწევას ნიშნავს).იმის გამო, რომ ორი აქტივობა სტუდენტებისა და სკოლის მასწავლებლების (კოლეჯი თანამშრომლობს საჯარო სკოლებთან) დაბალი ჩართულობის გამო არ შესრულდა, კოლეჯის რეაგირება იყო სისტემური ცვლილება. ახალ სამოქმედო გეგმაში შეტანილი იქნა დამატებითი აქტივობები, რომლებიც უშუალოდ სტუდენტთა ჩართულობის ხელშეწყობას ემსახურება. კერძოდ ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა და მათი ინტერესებს, სურვილების გათვალიწინებით დაიგეგმა შემდგომი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს ჩართულობის გაზრდას. 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შუალედურმა მონიტორინგმა გამოავლინა, რომ თითქმის ყველა აქტივობა შესრულდა ან მიმდინარეობს ვადების შესაბამისად. ერთადერთი შეუსრულებელი აქტივობა (ქონების დაზღვევის ხელშეკრულების განახლება) იქნა იდენტიფიცირებული ზეპირსიტყვიერი გამოკითხვით. ამ ფაქტზე კოლეჯი რეაგირებს დაუყოვნებლივ: აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი მუშაობს საკითხის მოსაგვარებლად. კოლეჯი ადასტურებს, რომ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი არის აქტიური და შედეგზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ორიენტირებული პროცესი. დაწესებულება ახდენს სათანადო რეაგირებას, როგორც გარე და შიდა რისკებზე, ისე კონკრეტულ შეუსრულებელ აქტივობებზე, გეგმების კორექტირებით და პასუხისმგებელი პირების ჩართულობით, რითაც უზრუნველყოფს ინდიკატორის მოთხოვნის შესრულებას. **წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 1.2.2.2-ს შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია - მოწოდებული ინფორმაცია და გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ადასტურებს, რომ კოლეჯი სრულად ასრულებს ვალდებულებას სამოქმედო გეგმების წლიური ანგარიშების გაზიარებისა და საჯაროობის კუთხით, რითაც უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას.

კოლეჯის პრაქტიკა მოიცავს ანგარიშების გავრცელების მრავალარხიან სისტემას:

- შიდა მმართველობითი სტრუქტურები: ანგარიშები წარედგინებათ დირექტორს და სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფს, რაც აუცილებელია მენეჯმენტისა და სტრატეგიულ პროცესში ჩართული ძირითადი ფაქტორების ინფორმირებისთვის და მომავალი დაგეგმვისთვის.
- შიდა დაინტერესებული მხარეები: ანგარიშები ეგზავნება კოლეჯის პერსონალს ელექტრონულ მისამართზე, რითაც უზრუნველყოფილია შიდა გუნდის ინფორმირება მიღწეული შედეგებისა და გამოწვევების შესახებ.
- ფართო დაინტერესებული მხარეები (საჯაროობა): ანგარიშები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი კოლეჯის ვებ-გვერდის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ გამჭვირვალობას გარე დაინტერესებული მხარეებისთვის.

2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში წარედგინა დირექტორს, სამუშაო ჯგუფს, პერსონალს და განთავსდა ვებ-გვერდზე, რაც ადასტურებს აღნიშნული პროცედურის პრაქტიკულ განხორციელებას. კოლეჯი სათანადოდ ახორციელებს სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშების საჯაროობასა და გაზიარებას ყველა დაინტერესებულ მხარესთან (მენეჯმენტი, პერსონალი, ფართო საზოგადოება), რითაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. **წარმოდგენილი დოკუმენტების, პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორი 1.2.2.3.-ის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები საჯაროდ ხელმისაწვდომია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის №20939 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების წესი“;
- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის ბრძანება № 15105 სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (16.10.2024);
- შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი № 1 (N103137695, 24.10.2024).
- შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ოქმი №2 (19.11.2024)
- შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ოქმი №3 (10.12.2024)
- შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ოქმი №4 (17.12.2024)
- შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ოქმი №5 (21. 01.2025)
- შპს მარნეულის კოლეჯის 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის შეფასების წლიური ანგარიში №15884 (30.10.2024);
- შპს მარნეულის კოლეჯის ვებ-გვერდი - სამოქმედო გეგმის ანგარიშები https://mc.edu.ge/ge/media/documents/reports-and-statistics
- შპს მარნეულის კოლეჯის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა (მაისის ცვლილებით);
- შპს მარნეულის კოლეჯის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგის შედეგები №7777 (24.05.2025)

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა - მარნეულის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვასა და შესაბამისი გარანტიების უზრუნველყოფას. მათ შორისაა:
   - პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი
   - შპს მარნეულის კოლეჯის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი
   - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
   - შინაგანაწესი

   შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თავი 4 „პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვა“, „შინაგანაწესის“ მუხლი 17 (სტუდენტის/მსმენელის უფლებები)-ით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების კანონიერი უფლებები. მათ შორისაა: პროფესიული სტუდენტის სტატუსთან, მობილობასთან, აკადემიურ მიღწევებთან, უწყვეტ განათლებასთან, უსაფრთხო გარემოსთან, ინკლუზიასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა. სტუდენტების უფლებების დაცვის გარანტიები ფორმალურად არის უზრუნველყოფილი ხელშეკრულებით (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების შესახებ). ხელშეკრულება არის იურიდიული დოკუმენტი, რომელიც აფიქსირებს კოლეჯის ვალდებულებებს სტუდენტის მიმართ, რაც წარმოადგენს სტანდარტით მოთხოვნილ დაცვის მექანიზმს. კოლეჯის შიდა რეგულაციებისა და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სტუდენტისთვის გარანტირებულია შემდეგი უფლებები:
   - მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- კოლეჯის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით, უფლებამოსილია შესაბამისი თანამდებობის პირებისაგან მიიღოს მხარდაჭერა მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით;
- ისარგებლოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური შეფასების სისტემით და საჭიროების შემთხვევაში, დადგენილი წესით გაასაჩივროს მიღებული შეფასება;
- ისარგებლოს კოლეჯის სივრცეებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო საშუალებებით, საგანმანათლებლო სხვა დამხმარე რესურსებით, დადგენილი წესის შესაბამისად;
- უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკული სასწავლო კომპონენტის გასავლელად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, სასწავლო მასალით, მათ შორის, პარტნიორი კომპანიის ბაზაზე (არსებობის შემთხვევაში);
- ისარგებლოს ადმინისტრაციული, აკადემიური, კარიერული მხარდაჭერით;
- უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო სასწავლო გარემოთი, როგორც კოლეჯის ბაზაზე, ასევე, პარტნიორი კომპანიების ბაზებზე (არსებობის შემთხვევაში);
- ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების, კრედიტების ტრანსფერის (მათ შორის, არაფორმალური განათლების აღიარების ფარგლებში მიღებული კრედიტების), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის უფლებებით;
- ისარგებლოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სწავლების უფლებით;
- ისარგებლოს კოლეჯის მიერ შეთავაზებული ექსტრაკურიკულური აქტივობებით ან/და თავად დააყენოს ინიცირება ექსტრაკურიკულური სერვისის/აქტივობის განხორციელების თაობაზე, წინამდებარე წესით დადგენილი წესის შესაბამისად.

კოლეჯი აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ დაცული და გამჭვირვალე სასწავლო გარემო, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და წარმატებულ კარიერულ გზას. კოლეჯის ხედვაშიც გაცხადებულია, რომ კოლეჯი „2028 წლისთვის მარნეულის კოლეჯი იქნება ერთ-ერთი წამყვანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ქვემო ქართლის რეგიონში, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებულ კადრების მომზადებას. ჩვენი კადრები და მათი უნარები გახდება რეგიონში მოქმედი ორგანიზაციებისთვის აქტიური რესურსი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა დადებითი შეფასებები კოლეჯის მიმართ. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ თავიან უფლებებს, სასწავლო პროცესში თავისუფლად შეუძლიათ თავიანთი საჭიროებების და ინტერესების გამოხატვა, შეუძლიათ მიმართონ ადმინისტრაციას კონკრეტული პრობლემის ან საჭიროების შემთხვევაში და მიიღონ დროული რეაგირება, სტუდენტებმა დადებითად შეაფასეს დისციპლინური პოლიტიკის სამართლიანობა და გამჭვირვალობა, ასევე ხაზი გაუსვეს იმ გარემოს უსაფრთხოებასა და მხარდაჭერას, რაც მათ მისცემს მოტივაციას და განავითარებს პროფესიულ უნარებს. შპს მარნეულის კოლეჯი სათანადოდ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების კანონიერი უფლებების დაცვასა და გარანტიებს. უფლებები განსაზღვრულია შიდა რეგულაციებით და მათი დაცვის გარანტია გაფორმებულია ხელშეკრულებით; **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები.**

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს - მოწოდებული ინფორმაცია და სტუდენტებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ შპს მარნეულის კოლეჯს აქვს სტრუქტურირებული და სისტემური მიდგომა პროფესიული სტუდენტების ინფორმირებისთვის მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ, რაც უზრუნველყოფს ინდიკატორის მოთხოვნის შესრულებას. კოლეჯი იყენებს ინფორმირების მრავალფეროვან და რეგულარულ მეთოდებს: ინფორმაცია მიეწოდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ ვადებში. სტუდენტებს წლის დასაწყისში გადაეცემათ სტუდენტის გზამკვლევი, სადაც დეტალურად არის გაწერილი უფლებები და მოვალეობები. კოლეჯში იმართება საინფორმაციო შეხვედრები, კერძოდ: სასწავლო პროცესის სამსახური ატარებს შეხვედრებს ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიცაა სასწავლო პროცესი, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესება, შეფასება, კარიერული შესაძლებლობები, უწყვეტი განათლება და გასაჩივრება . ხარისხის მართვის სამსახურიც ასევე ატარებს შეხვედრას უფლებებისა და მოვალეობების შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით; კვლევა ადასტურებს, რომ სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ უმნიშვნელოვანესი პროცედურების შესახებ, კერძოდ: კმაყოფილების კვლევის თანახმად, რომელიც ბოლოს ჩატრდა 2025 წლის მაისი-ივნისში: 177 სტუდენტი ინფორმირებულია სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობების შესახებ. სტუდენტთა უმრავლესობას (140 სტუდენტი – 75.3%) ხელშეკრულების გაფორმებისას მიეწოდება ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ.

სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობა „სტუდენტური საათი'"(სტრატეგიული მიზანი 3, ამოცანა 2), რომელიც მიმართულია სტუდენტების ინტერესების ანალიზზე და მათთან ორმხრივი და ღია ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. აქტივობის მიმდინარეობა დასტურდება შუალედური მონიტორინგით, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ კოლეჯი ქმნის სივრცეს სტუდენტების აქტიური ჩართულობისა და უფლებების რეალიზებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





კოლეჯი ეფექტიანად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობას მათი უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ (გზამკვლევი, საინფორმაციო შეხვედრები, ხელშეკრულების გაფორმება). ეს სისტემური მიდგომა და კვლევის შედეგები (75.3% ინფორმირებულია მექანიზმების შესახებ) ადასტურებს, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ თავიანთ უფლებებს.

კოლეჯი ახორციელებს ფოტო-ვიდეო გადაღებისთვის პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებული თანხმობის მოპოვებას, სპეციალურად ამ მიზნებისთვის შემუშავებულ ხელმოწერების ფურცელზე, სადაც პროფესიული სტუდენტი (არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი) აცხადებს თანხმობას/უარს ხელმოწერით.

პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევისა და ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე და ზემოთაღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, დაკმაყოფილებულია.

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით - კოლეჯის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, გასაუბრება სტუდენტებთან და პერსონალთან ადასტურებს, რომ შპს მარნეულის კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობას შეფასების სისტემისა და გასაჩივრების მექანიზმის შესახებ, რაც დასტურდება, როგორც კოლეჯის მიერ შემმუშავებელი დოკუმენტებით, კერძოდ: „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (მუხლი 17. სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი, მუხლი 19. სტუდენტის შეფასების წესი, მუხლი 20. სტუდენტის შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი), ასევე კვლევის მაღალი მაჩვენებლებით. კოლეჯი იყენებს ინფორმირების მრავალფეროვან და დეტალურ მიდგომას, კერძოდ: საინფორმაციო შეხვედრები: სასწავლო წლის დასაწყისში პროგრამის ხელმძღვანელები წინასწარ დაგეგმილ შეხვედრებზე აცნობენ სტუდენტებს კოლეჯში მოქმედ შეფასების წესს, პროცედურებსა და გასაჩივრების წესს.

მრავალარხიანი მასალა: აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის გზამკვლევში, რომელიც სტუდენტებს გადაეცემათ ბეჭდური სახით და ეგზავნებათ ელექტრონულ ფოსტაზე. გზამკვლევი ასევე საჯაროდ არის ხელმისაწვდომი კოლეჯის ვებ-გვერდზე. კოლეჯი უზრუნველყოფს ინფორმირებულობის მონიტორინგსა და შედეგების: ხარისხის მართვის სამსახური ყოველწლიურად ატარებს სტუდენტური კმაყოფილების კვლევას , რისთვისაც კოლეჯს შემუშავებული აქვს „სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის № 6599 ბრძანებით და რომლის საშუალებითაც კოლეჯი იკვლევს, თუ რამდენად ფლობენ სტუდენტები შეფასების სისტემისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ ინფორმაციას. 2025 წლის კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სტუდენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ფლობენ შეფასების სისტემასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. კვლევაში მონაწილე აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ შეფასება არის ობიექტური და აძლევს მათ ცოდნის გამოვლენის საშუალებას, რაც ასევე დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად.

კოლეჯში არსებობს შედეგების გასაჩივრების მექანიზმი. მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში გასაჩივრების პრეცედენტი არ გამოვლენილა (რაც შესაძლოა ობიექტურობის მაღალ აღქმას უკავშირდებოდეს), კოლეჯის დოკუმენტაცია უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებას, ისარგებლონ მოდულის შეფასებაზე არ/ვერ დასწრების შემთხვევაში მექანიზმით. კოლეჯი ასრულებს ინდიკატორის მოთხოვნას სტუდენტების ინფორმირებულობასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება როგორც მრავალმხრივი გავრცელების მეთოდებით, ისე კვლევის მაღალი მაჩვენებლებით. მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრების მექანიზმი არ გამოუყენებიათ, მისი არსებობის უფლება და შესაძლებლობა (არ/ვერ დასწრების შემთხვევაში) უზრუნველყოფილია. **ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.3.პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით დაკმაყოფილებულია.**

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა - კოლეჯში არსებობს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“, რომელიც დამტკიცებულია მარნეულის კოლეჯის დირექტორის2025 წლის 25 ივნისის N 79814 ბრძანებით; დოკუმენტის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტსა და კოლეჯს შორის ფორმდება ხელშეკრულება, სწავლის დაწყების თარიღამდე. არასრულწლოვანი/ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე/ქმედუუნარო/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება პროფესიული სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელთან/ მეურვესთან/მზრუნველთან/მხარდამჭერთან. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში კოლეჯი ხელშეკრულებას აფორმებს სტუდენტის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ. შპს მარნეულის კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულება სრულად იცავს სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, რადგან დოკუმენტი ასახავს კოლეჯის მარეგულირებელი წესით დადგენილ უფლებებს და ცალსახად ითვალისწინებს არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





ექსპერტების მიერ მოხდა შერჩევითი პრინციპით სტუდენტსა და დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმება, სადაც ნათლადაა გაწერილი მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები. ხელშეკრულების შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის მართებულად წარმართვისათვის აუცილებელი სასწავლო მასალით, გამოიყენოს კოლეჯის ბიბლიოთეკის რესურსები, სასწავლო მიზნებისათვის, ისარგებლოს პროფესიული სტუდენტისთვის განკუთვნილი საინფორმაციო საშუალებებით, მიიღოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია და ინსტრუქციები კოლეჯის და უშუალოდ სასწავლო პროცესის ხელმძღვანელებისაგან, გამოთქვას პროტესტი და წერილობით გაასაჩივროს კოლეჯის დირექტორთან კოლეჯში დასაქმებულის ან/და სხვა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის არამართლზომიერი ქმედება, დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან, გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა. ამავდროულად ხელშეკრულებაზე ხელმოწერით პროფესიული სტუდენტი ადასტურებს, რომ გაეცნო კოლეჯის „შინაგანაწესს“, მის უფლება-მოვალეობებს, სტუდენტის გზამკვლევს, კოლეჯში მოქმედი უსაფრთხოების წესებს, რათა სიღრმისეულად გაიაზროს რომელიც თავისი უფლებები, მოვალეობების და პასუხისმგებლობები.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.1.1.4პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის №12262 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის მუხლი 21 არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესსა და პროცედურას. წესის შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას აქვს სხვადასხვა საფუძველი, კერძოდ, როცა:

- თუ სტუდენტმა მეორე განმეორებითი შეფასების დროს ვერ მიიღო დადებითი შეფასება.
- არარენტაბელური ჯგუფის ფორმირების შემთხვევაში, როცა კოლეჯი ვალდებულია სტუდენტს გაატაროს აღნიშნული კომპონენტი.
- სატატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში.
- სტუდენტის მიერ პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ცალკეული მოდულის/მოდულის კომპონენტების დაუდასტურებლობის შემთხვევაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- მიღებული ფორმალური განათლების აღიარების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში.
- მიღებული და დადასტურებული არაფორმალური განათლების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში.
- სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში (სწავლის ან კომპეტენციის დადასტურების შესახებ);
- შიდა და გარე მობილობის შემთხვევაში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროებას განსაზღვრავს და შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობს აკადემიური დირექტორი;

სპეციალური საჭიროების სპეციფიკის გათვალისწინებით მოდულების მოდიფიცირებას/აკომოდირებას ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის ჩართულობით;

საანგარიშო წელიწადში ინდივიდუალური გეგმა დამტკიცდა სტატუსაღდგენილი და შიდა მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის. სტატუსაღდგენილი და შიდა მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესს უხელმძღვანელა აკადემიურმა დირექტორმა და სტუდენტთან შეთანხმებული გეგმა დაამტკიცა დირექტორმა, რაც დასტურდება სტუდენტის განცხადების (N45 06-06-2025) საფუძველზე შემუშავებული და კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ინდივიდუალური სასაწავლო გეგმის შესახებ 2025 წლის 11 ივნისის ბრძანებები. აღსანიშნავია, რომ ისგ-ის შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობდა აკადემიური დირექტორი, ხოლო საბოლოო გეგმა დამტკიცდა დირექტორის მიერ სტუდენტთან შეთანხმებით. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ისგ-ის შემუშავება ხორციელდება არა ცალმხრივად, არამედ სტუდენტის უშუალო ჩართულობითა და ინტერესების გათვალისწინებით, როგორც ამას ინდიკატორი მოითხოვს. კოლეჯი ეფექტიანად უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას მარეგულირებელი წესისა და კანონმდებლობის შესაბამისად. ისგ-ის შემუშავების პროცესში სტუდენტის უშუალო ჩართულობის უზრუნველყოფა (შეთანხმება) ადასტურებს ინდიკატორის სრულ შესრულებას.

ამდენად, ინდიკატორი 3.1.1.5 პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 20 სექტემბრის № 13369 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“ ;
- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის №12262 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





- სტუდენტებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებელი ხელშეკრულებები;
- შპს მარნეულის კოლეჯის პროფორიენტაციის და პრაქტიკის მენეჯერის სამუშაო გეგმა;
- შპს მარნეულის კოლეჯის პროგრამის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმები;
- სტუდენტის გზამკვლევი;
- კატალოგი;
- შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრის დღის წესრიგი № 65 (23.12.2024);
- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის № 6599 ბრძანებით „სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი“;
- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 20 სექტემბერს დამტკიცებული „ შპს მარნეულის კოლეჯის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი“;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში № 12902 ;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის 2025 წლის ანგარიში №12902;
- განმეორებითი გამოცდის მოთხოვნის და უზრუნველყოფის მაგალითები;
- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის № 79814 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი“;
- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის № 6599 ბრძანებით დამტკიცებული „უსაფრთხოების დებულება“
- შპს მარნეულის კოლეჯის ადმინისტრაციული დირექტორის წერილი სტუდენტების ინიციატივების,სტუდენტებისთვის დამატებითი/არაფორმალური აქტივობების, სტუდენტების/კურსდამთავრებულებისთვის ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ;
- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლის ბრძანება სტუდენტის სტატუსის აღდგენის და ინდ. გეგმის დოკუმენტაცია ;
- ინდ გეგმა დამტკიცებული შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 ივნისის № 8792 ბრძანებით;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად - სასწავლო წლის მანძილზე შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ ვადებში პასუხისმგებელი პირების მიერ სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ. წლის დასაწყისში სტუდენტებს გადაეცათ სტუდენტის გზამკვლევი, სადაც დეტალურად არის გაწერილი სტუდენტის უფლებები და მოვალეობები. ამის გარდა, წლის დასაწყისში სასწავლო პროცესის სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები და სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია სასწავლო პროცესთან, აკადემიურ მიღწევების გაუმჯობესებასთან, შეფასების შედეგების გაუმჯობესებასთან, კარიერულ შესაძლებლობებთან, უწყვეტი განათლების შესაძლებლობებთან, სწავლის შედეგების მიღწევასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესის სამსახურმა ეს პროცესები განახორციელა 2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში. ასევე, 2024 წლის დეკემბრის თვეში ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარდა სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრა, სადაც მიეწოდათ ინფორმაცია მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. საინფორმაციო შეხვედრების გარდა ხარისხის მართვის სამსახური მიერ ყოველწლიურად ახორციელებს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, სადაც ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენს სტუდენტების მიერ უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის ფლობა. 2025 წლის მაისს- ივნისში ჩატარებული კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ 177 სტუდენტი ინფორმირებულია სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობების შესახებ. აღნიშნული შედეგი ხაზს უსვამს ინფორმაციის მიწოდების სტრუქტურირებული და სისტემური მიდგომის მნიშვნელობას, რაც ხელს უწყობს სტუდენტების პასუხისმგებლობისა და აქტიური ჩართულობის ზრდას სასწავლო პროცესში. ასევე, კვლევის მიხედვით, სტუდენტთა უმრავლესობას (140 სტუდენტი – 75.3%) ხელშეკრულების გაფორმებისას მიეწოდა ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ.

   დამატებითად სტუდენტებთან ორმხრივი და ღია ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად კოლეჯის სამოქმედო გეგმაში მე-3 სტრატეგიული მიზნის მე-2 ამოცანის - პროფესიული სტუდენტების ინტერესების და საჭიროებების ანალიზი და მასზე მორგებული სერვისების განვითარება- მისაღწევად გაწერილია აქტივობა ,,სტუდენტური საათი“, რომლის განმახორციელებელი და პასუხისმგებელი პირები არიან აკადემიური და ადმინისტრაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

სტრუქტურების ხელმძღვანელები და სამოქმედო გეგმის შუალედური მონიტორინგით დასტურდება აქტივობის მიმდინარეობის პროცესში არსებობა. სრული შედეგები ასახული იქნება ხელმძღვანელების წლიურ და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში. კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“(მუხლი 39. საკონსულტაციო მომსახურება) სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტების კონსულტირებას და ინფორმირებას არსებული მომსახურების და დახმარების შესახებ. ასევე დოკუმენტი (მუხლი 40. მხარდაჭერის ღონისძიებები), ითვალისწინებს, რომ სტუდენტის აკადემიური მოსწრების ხელშეწყობის მიზნით აკადემიური დირექტორი უფლებამოსილია მოდულის დასრულებამდე დანიშნოს დამატებითი მეცადინეობები სასწავლო კალენდარში ცვლილების გარეშე;

ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად მასწავლებელი ვალდებულია გაუწიოს პროფესიულ სტუდენტებს კონსულტირება აკადემიური შეფასების გაუმჯობესების მიზნით, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლები, სტუდენტური სერვისების უზრუნველყოფის სპეციალისტის ორგანიზებით, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე უზრუნველყოფენ პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებას, რაც რეალურად ხორციელდება, კერძოდ, სტუდენტები თვლიან, რომ მათთვის მხარდაჭერისა და კონსულტაციის პრაქტიკა ადვილადაა ხელმისაწვდომი, რაც დასტურდება პროფესიული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებით.

კოლეჯის სამომავლო განვითარების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობამ შეიმუშავოს და დანერგოს ეფექტიანი ინსტრუმენტებისა და სტრატეგიების კომპლექსური სისტემა, რომელიც მიზნად დაისახავს სტუდენტების სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობასა და დასწრების მნიშვნელოვან ზრდას, ეს ინსტრუმენტები შეიძლება მოიცავდეს დასწრების დადებითი წახალისების მექანიზმებს (მაგალითად, მაღალი დასწრების მქონე სტუდენტების აღიარება, დამატებითი ქულების მინიჭება ან მცირე ბენეფიტები), მენტორობის პროგრამების გაძლიერებას, სასწავლო პროცესის ინტერაქტიულობისა და პრაქტიკული ორიენტაციის გაზრდას სწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით. **მიუხედავად ამისა ინდიკატორი 3.2.1.1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან - შპს მარნეულის კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად სასწავლო წლის დასაწყისში პროგრამის ხელმძღვანელები წინასწარ დაგეგმილ შეხვედრებზე ახალჩარიცხულ სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას: პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სტუდენტის უფლებებსა და ვალდებულებებზე, სტუდენტის ინფორმირების არხებზე (ელექტრონული ფოსტა, ფეისბუქის ჯგუფი, კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდი და ფეისბუქ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





გვერდი); ასევე სხვადასხვა საჭიროების დადგომისას ვის უნდა მიმართონ. აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის გზამკვლევში, რომელიც ურიგდებათ სტუდენტებს ბეჭდური სახით და ელექტრონულად ეგზავნებათ ფოსტაზე. სტუდენტის გზამკვლევი ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომია კოლეჯის ვებგვერდზე. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებით და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება ყველა ზემოთ აღნიშნული აქტივობის განხორციელება. გამოკითხულ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ კოლეჯის ადმინისტრაციის საქმიანობას და რესურსი ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტებს, რომ ისინი ადვილად მოერგონ კოლეჯის სასწავლო გარემოს. **ინდიკატორი 3.2.1.2.პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან დაკმაყოფილებულია.**

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას - შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის N12262 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, რაც გამორიცხავს ბიუროკრატიულ პროცედურებს (ადმინისტრაციული სერვისის მიღების ვადა მისი მოთხოვნის დაფიქსირებიდან არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადას); კოლეჯის საქმისწარმოება რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N6599 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესით“ და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით. „საქმისწარმოების წესის“ მუხლი 10 (გასული კორესპონდენცია) შესაბამისად კოლეჯი სტუდენტის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში ინფორმაციას გასცემს 10 სამუშაო დღის ვადაში საფასურის გარეშე. დადგენილ ვადებში ხდება ცნობის, სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, ფორმალური განათლების აღიარება. ვადები დაწესებულების მიერ არის დადგენილი და სერვისების გაწევის მაქსიმალური ვადები არ აღემატება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს. წლის მანძილზე მუდმივად ფიქსირდებოდა სტუდენტების მომართვა სხვადასხვა წარმოებასთან დაკავშირებით, რაზედაც კოლეჯი ახდენს დროულ რეაგირებას. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, (სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა 2025) და პროფესიულ სტუდენტთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ კოლეჯის ადმინისტრაცია პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. **ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.2.1.3 პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას დაკმაყოფილებულია.**

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას - შპს მარნეულის კოლეჯი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტთა პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

(მუხლი 42) და „შინაგანაწესის“ (N21 მუხლი) საფუძველზე, რაც ითვალისწინებს არაფორმალური და დამატებითი აქტივობების განხორციელებას და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას. ექსტრაკურიკულური აქტივობების დაფინანსება ხდება კოლეჯის ბიუჯეტის ფარგლებში და წარმოადგენს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განუყოფელ ნაწილს. კოლეჯის მიერ ჩატარებული სტუდენტთა კვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ დამატებითი და არაფორმალური აქტივობების წახალისება ეფექტურია, რადგან გამოკითხული სტუდენტების 53%-მა დაადასტურა კულტურულ, სპორტულ და შემეცნებით ღონისძიებებში ჩართულობა, რაც მნიშვნელოვნად ამრავალფეროვნებს სასწავლო გარემოს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადმინისტრაციის ეფექტიანი და დროული რეაგირება სტუდენტთა ინიციატივებზე, რაც კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მოქნილობაზე მიუთითებს. მაგალითად, აღმზრდელის პროგრამის სტუდენტების მიერ წამოყენებული „მონტესორის ბაღის“ დათვალიერების ინიციატივაზე ადმინისტრაციამ მოახდინა სწრაფი კომუნიკაცია და ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის ივნისში, კოლეჯის მიერ სრულად დაფინანსებული ტრანსპორტირებით. ასევე, ფარმაციის სტუდენტების სურვილი „ბოტანიკურ ბაღში“ ცოდნის გაღრმავების შესახებ გადაიზარდა კომპლექსურ გასვლით მეცადინეობაში, რომელიც მოიცავდა მედიცინის მუზეუმსაც. ინოვაციური მიდგომის მაგალითია აღმზრდელთა პროგრამის სტუდენტების ინიციატივა სასწავლო რესურსების საკუთარი ხელით დამზადების შესახებ, რისთვისაც კოლეჯმა უზრუნველყო საჭირო მასალა და დამზადებული თვალსაჩინოებები უკვე გამოიყენება სასწავლო პროცესში. ამასთან, 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდა მრავალფეროვანი აქტივობები, როგორიცაა მასშტაბური ღონისძიება "ქართული ენის კვირეული", საქველმოქმედო აქციები და კამპანია „ვებრძოლოთ ადიქციას", რომელიც დაუგეგმავად, თუმცა საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ კოლეჯი ორიენტირებულია სტუდენტთა ჩართულობის გაზრდაზე და ამ მიზნით შემუშავდა ჩართულობის სტრატეგიის საწყისი დოკუმენტური ჩანაწერი, რომელიც დაფუძნებულია სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებზე. კვლევამ გამოავლინა სტუდენტთა მაღალი ინტერესი პროფესიული ტრენინგების (55.3%) და სპორტული აქტივობების (21.3%) მიმართ, ხოლო ჩართულობის ძირითად ბარიერებად დასახელდა დროის დეფიციტი (74.5%) და ინფორმაციის ნაკლებობა (12.8%). ამ შედეგების გათვალისწინებით, პილოტირებისთვის დაიგეგმა სამი პრიორიტეტული აქტივობა (პროფესიული ტრენინგი, სპორტული ტურნირი, საინფორმაციო-სამეგობრო დღე), რომლებიც სექტემბერში განხორციელდება. ეს მიდგომა ადასტურებს კოლეჯის მზაობას, სტუდენტთა საჭიროებებსა და ინტერესებზე დაფუძნებული სტრატეგიული გადაწყვეტილებები მიიღოს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი დაგეგმილი აქტივობის (ძიუდოს სკოლასთან თანამშრომლობა, კონფერენცია) განხორციელება მონაწილეთა თხოვნით შემოდგომაზე გადაიდო, კოლეჯის მთლიანი სურათი მიუთითებს სტუდენტური ცხოვრებისა და არაფორმალური განათლების მხარდაჭერაზე მიმართულ ძლიერ მექანიზმებზე და ეფექტურ რეაგირების სისტემაზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთა ინტერვიურებისას მათ დაადასტურეს ფაქტი, რომ ისინი მონაწილეობენ კოლეჯში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში. **ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.2.1.4პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას - შპს მარნეულის კოლეჯი აქტიურად მუშაობს სტუდენტების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, რაც ეფუძნება სისტემატურად განხორციელებულ კვლევებსა და სტუდენტებისგან მიღებულ უკუკავშირს. პროფესიული განათლების შესახებ ცნობადობის ამაღლებისა და დაინტერესების გაზრდის მიზნით, კოლეჯმა გააფორმა მემორანდუმები მარნეულისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების რამდენიმე საჯარო სკოლასთან (სოფ. ხოჯორნის, სოფ. კოდის, მე-6, სოფ. დაშტაფის, სოფ. ახკერპის საჯარო სკოლები). ამ ინტენსიური თანამშრომლობის ფარგლებში, 2024 წლის მაისსა და ივნისში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ზემოთ ხსენებული სკოლების მოსწავლეებთან, სადაც მათ მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია პროფესიული განათლების, კოლეჯის პროგრამებისა და მიღების წესების შესახებ. გარდა ამისა, არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებისთვის ჩატარდა კონკურსი „ჩემი პროფესია – ჩემი თავისუფლება“ და განხორციელდა მოკლევადიანი საორიენტაციო კურსები ახკერპისა და ხოჯორნის სკოლებში. ცნობადობის ასამაღლებლად და პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით გაფართოვდა სამიზნე აუდიტორია და ვიზიტები განხორციელდა საზოგადოებრივ ცენტრებშიც, კერძოდ აღმამედლოს სათემო ცენტრში, წითელსოფლის ახალგაზრდულ ცენტრში, სოფ. ხაჩინისა და სოფ. სავანეთის დღის ცენტრებში, ასევე ქ. ბოლნისის "კავკასიის იურიდიული ინტეგრაციის" ცენტრში.

სტუდენტების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით, კოლეჯმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სტუდენტთა ინიციატივების წახალისების კუთხით. შიდა კვლევებმა გამოავლინა, რომ სტუდენტებს არ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია ინიციატივის წამოყენების მექანიზმისა და ადმინისტრაციის მხარდაჭერის შესახებ, ასევე გამოიკვეთა საჭიროება არაფორმალური აქტივობების დაგეგმვისას სტუდენტთა ინტერესების წინასწარი გამოკითხვის. ამ გამოწვევების საპასუხოდ, 2024 წლის ივლისში განხორციელდა პროექტი – სტუდენტური კონკურსი „ჩემი ინიციატივა“. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ სამი განაცხადი შემოვიდა (ფარმაციის სტუდენტების ინიციატივა მუზეუმში/ბოტანიკურ ბაღში ვიზიტზე, აღმზრდელის სტუდენტების ინიციატივები სასწავლო თვალსაჩინოებების შექმნასა და მონტესორის ბაღში ვიზიტზე), კოლეჯის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2024-2025 სასწავლო წლის პირველ ნახევარში სრულად დაეკმაყოფილებინა სამივე ინიციატივა. ეს ფაქტი წარმოადგენს სტუდენტური უკუკავშირისა და ინიციატივების პრაქტიკული გათვალისწინების კონკრეტულ მაგალითს, რაც ადასტურებს კოლეჯის მოქნილობას და მზაობას სტუდენტებზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის კუთხით. კოლეჯი ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების შედეგებს ითვალისწინებს შემდგომ საქმიანობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის №12262 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 20 სექტემბრის №13369 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“;
- შპს მარნეულის კოლეჯის პროგრამის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმები;
- სტუდენტის გზამკვლევი;
- შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრის დღის წესრიგი №65 (23.12.2024)
- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის №6599 ბრძანებით დამტკიცებული „პროფ. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი“;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის 2025 წლის ანგარიში №1290 .
- შპს მარნეულის კოლეჯის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა (მაისის ცვლილებით)
- პროფორიენტაციის შეხვედრები https://mc.edu.ge/ge
- შპს მარნეულის დირექტორის აკადემიური დირექტორის შუალედური შედეგების მონაცემი მე-3 სტანდარტთან მიმართებით;
- შპს მარნეულის კოლეჯის პროფორიენტაციის და პრაქტიკის მენეჯერის სამუშაო გეგმა (2024-2025) ;
- შპს მარნეულის კოლეჯის 2023-2024 წლის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- შპს მარნეულის კოლეჯის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშზე ადმ. დირექტორის რეაგირება №18649 (17/11/2024);
- სტუდენტისთვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის ქეისი;
- სტუდენტების პორტფოლიო;
- სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის - შპს მარნეულის კოლეჯში კარიერული მხარდაჭერისა და პროფორიენტაციის მომსახურება რეგულირდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (თავი 5. სტუდენტური სერვისები, 38-ე მუხლი) და მისი მიწოდება უზრუნველყოფილია პროფორიენტაციისა და პრაქტიკის მენეჯერის მიერ. კოლეჯი ახორციელებს მრავალმხრივ აქტივობებს, რომლებიც მიმართულია როგორც არსებული, ისე პოტენციური სტუდენტების კარიერული განვითარების ხელშეწყობაზე. არსებული სტუდენტებისთვის კარიერული მხარდაჭერა მოიცავს ჯგუფურ შეხვედრებს დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, სადაც მათ მიეწოდებათ პრაქტიკული ინფორმაცია ვაკანსიების მოძიების, შესაფერისი სამუშაოს შერჩევის, CV-ის შევსებისა და გაგზავნის მეთოდების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სტუდენტთა დაკავშირებას დარგის წამყვან სპეციალისტებთან, რაც ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში გააზრებას. ამის დასტურია შეხვედრები კომპანია „გეფას“, „ავერსის“ წარმომადგენლებთან, მეწარმეობის დარგის სპეციალისტთან და „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენლებთან, რაც ფარმაციის, სამკურნალო განათლებისა და საფინანსო პროგრამების სტუდენტებს საშუალებას აძლევს, უშუალოდ გაეცნონ სფეროში არსებულ გამოწვევებსა და სიახლეებს.

   პოტენციური სტუდენტებისთვის კოლეჯის კარიერული მომსახურება ფოკუსირებულია პროფესიული განათლების პოპულარიზაციასა და პროფორიენტაციაზე. საანგარიშო წლის მანძილზე განხორციელდა კონსულტაციები, მომზადდა სპეციალური ბროშურები და პრეზენტაციები, ხოლო შეხვედრები ჩატარდა როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად, როგორც კოლეჯის შენობაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეგიონალური დაფარვა, რომელიც მოიცავდა ვიზიტებს ქვემო ქართლის რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის სკოლებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

თაქალოს სათემო ახალგაზრდულ ცენტრში. ამ შეხვედრებზე მოსწავლეებმა და მშობლებმა მიიღეს ინფორმაცია კოლეჯში არსებული პროგრამების, ჩარიცხვის წესებისა და ზოგადად, პროფესიული განათლების მიერ შემოთავაზებული კარიერული შესაძლებლობების შესახებ. ყველა ჩატარებული ღონისძიება მიმართული იყო პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე და დარგში არსებული სიახლეების გაცნობაზე, რასაც მონაწილეები დადებითად აფასებენ. კოლეჯის კარიერული მხარდაჭერის სისტემა ეფექტურად ფუნქციონირებს და მოიცავს კარიერული ზრდის ხელშემწყობ მრავალფეროვან მიმართულებებს, როგორც საგანმანათლებლო, ისე საინფორმაციო-საკონსულტაციო ფორმატში. ყოველივე ზემოთ თქმული დაადასტურა კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად. ასვე ექპერტთა ჯგუფი ავტორიზაციის ვიზიტის დროს იმყოფებოდა დამსაქმებლების ობიექტებზე: ლიბერთი ბანკი, მარნეულის №2 საბავშვო ბაღი, გორგია, ავერსის კლინიკასა და ჯეო ჰოსპიტალში. გასაუბრების შედეგად დადასტურდა დამსაქმებლების კმაყოფილება კოლეჯის კურსდამთავრებულების ცოდნის და უნარ-ჩვევების მიმართ, რომლებიც ჯერ პრაქტიკას გადიან, ხოლო შემდეგ საქმდებიან აღნიშნულ ობიექტებზე. კერძოდ: ლიბერთი ბანკში ბოლო 6 წლის განმავლობაში დასაქმებულია მარნეულის კოლეჯის 3 კურსდამთავრებული(ადგილზე მოხდა ერთ კურსდამთავრებულთან გასაუბრება), გორგიაში- 3, ხოლო საბავშვო ბაღში-6 (2 რეზერვშია). ავერსის კლინიკაში დასაქმებულია 2 კურსდამთავრებული, კლინიკა ჯეო ჰოსპიტალში -2 და ფარმადეპოში კი ერთი მოქმედი სტუდენტი და იმპექსში ერთი კურსდამთავრებული (რომლებთანაც ადგილზე მოხდა გასაუბრება). **ამდენად, ინდიკატორი 3.2.2.1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით - შპს მარნეულის კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების შესაძლებლობებისა და კარიერული განვითარების შესახებ განახლებული ინფორმაციის სისტემატურ და მუდმივ მიწოდებას, რაც რეგულირდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (თავი 5. სტუდენტური სერვისები - 38-ე მუხლით). პროფორიენტაციისა და პრაქტიკის მენეჯერის ორგანიზებით, კოლეჯში მუდმივად ხდება ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის დამუშავება და გავრცელება კოლეჯის ვებგვერდის, სოციალური ქსელებისა და პროგრამების მიხედვით შექმნილი დახურული ჯგუფების მეშვეობით. 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ივლისის ჩათვლით კოლეჯში აქტიურად ხორციელდებოდა დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებები: საქართველოს ბანკმა გამოაცხადა ანაზღაურებადი სტაჟირება, ტერაბანკმა შესთავაზა სტაჟირება შემდგომი დასაქმების პერსპექტივით, ხოლო „ავერსის კლინიკამ“ მარნეულის ფილიალში ვაკანსიების გაცნობის მიზნით ჩაატარა შეხვედრები სტუდენტებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





გეგმით გათვალისწინებული საინფორმაციო შეხვედრები დამსაქმებლებთან კონკრეტული პროგრამების მიმართულებით ჩატარდა „გეფასთან“ (ფარმაცია), „ლიბერთი ბანკთან“ (საფინანსო სერვისები) და „ავერსის კლინიკის“ წარმომადგენლებთან (საექთნო განათლება). ამ შეხვედრებზე სტუდენტებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია კომპანიების საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, შეავსეს განაცხადები კონკრეტულ ვაკანსიებზე და ნაწილმა მიიღო დასაქმების შეთავაზებაც. განსაკუთრებულად ეფექტური იყო სახელმწიფო დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს მხარდაჭერით ორგანიზებული ღონისძიებები, მათ შორის „ავერსის კლინიკის“ წარმომადგენლებთან შეხვედრები ექთნის პოზიციებზე არსებული ვაკანსიების გაცნობის მიზნით და 2025 წლის ივნისში ჩატარებული დასაქმების ფორუმი „ლიბერთი ბანკისა“ და სააგენტოს მხარდაჭერით. ფორუმზე სტუდენტებმა უშუალოდ გაიგეს შრომის ბაზრის მოთხოვნები, მიიღეს პასუხები კარიერული ზრდის საკითხებზე და გაეცნენ კონკრეტულ ვაკანსიებს. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ სტუდენტთა ხელმისაწვდომობა ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციაზე მაღალია. ამრიგად, კოლეჯს გააჩნია მყარი და სისტემატური მექანიზმები სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობისათვის, რაც მოიცავს როგორც საინფორმაციო ნაკადის მართვას, ასევე დამსაქმებლებთან პირდაპირი კომუნიკაციის აქტიურ უზრუნველყოფას, რაც დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგებით და დამსაქმებლებთან გასაუბრებით;

ამდენად, ინდიკატორი 3.2.2.2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით - შპს მარნეულის კოლეჯში კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია 2020 წლის დამტკიცების შემდეგ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც მიზნად ისახავდა ყოველწლიური დასაქმების მაჩვენებლის მიღებას და პროგრამების შეფასების ფორმის მოთხოვნების შესრულებას 12-თვიან და 36-თვიან ჭრილში. ბოლო ცვლილება, რომელიც განხორციელდა 2025 წლის მაისში, უკავშირდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განახლებასა და ხარისხის მართვის ციკლის დეცენტრალიზებულ პრინციპზე გადასვლას, რის შედეგადაც კვლევის ჩატარების პასუხისმგებლობა პროფორიენტაციისა და პრაქტიკის მენეჯერს დაეკისრა.

შეცვლილი მეთოდოლოგიით დაგეგმილი კვლევის პირველადი ანალიზის მონაცემები, რომელიც 2024 წელს ჩატარდა კურსდამთავრებულთა 57%-ის მონაწილეობით, ცხადყოფს, რომ დასაქმების დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება პროგრამების მიხედვით. ყველაზე მაღალი დასაქმების მაჩვენებელი დაფიქსირდა აღმზრდელის პროგრამაზე, სადაც გამოკითხულთა დაახლოებით 90% პროფილურად არის დასაქმებული, ხოლო საექთნო განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმება 75%-ს შეადგენს. საფინანსო სერვისების პროგრამაზე დასაქმებულთა წილი დაახლოებით 50%-ია. შედარებით დაბალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მაჩვენებლები ფიქსირდება ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამაზე, სადაც პროფილურად მხოლოდ 14% მუშაობს, და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებაზე, სადაც ყოველი მეოთხე კურსდამთავრებულია დასაქმებული. კვლევამ გამოავლინა დასაქმების ხელის შემშლელი რიგი გამოწვევები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია გარე ფაქტორებთან: ვაკანსიების სიმცირე, სამუშაო გრაფიკის შეუსაბამობა/მოუქნელობა, დაბალი ხელფასი და რეგიონებში ტრანსპორტის პრობლემატიკა. საყურადღებოა, რომ საექთნო განათლების კურსდამთავრებულთა შემთხვევაში დაბალი დასაქმების ერთ-ერთ მიზეზად ოჯახის უარყოფითი დამოკიდებულებაც დასახელდა. ამის მიუხედავად, ყველა პროგრამის კურსდამთავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ადასტურებს, რომ პროფესიული განათლება მნიშვნელოვნად ზრდის დასაქმების შესაძლებლობებს და სწავლის გაგრძელების შემთხვევაში კვლავ მარნეულის კოლეჯს აირჩევდა, რაც მიუთითებს კოლეჯის საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხით კმაყოფილებაზე.

რაც შეეხება სტუდენტების დასაქმებას, 2024-2025 წლების კმაყოფილების კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კვლევაში მონაწილე 186 სტუდენტიდან 98 დასაქმებულია. ყველაზე მაღალი დასაქმების წილი ფიქსირდება ფარმაციის (26.53%) და საექთნო განათლების (25.51%) პროგრამებზე, რაც მოწმობს ამ დარგების აქტუალობას შრომის ბაზარზე. საერთო სურათი ცხადყოფს, რომ კოლეჯი სისტემატურად აუმჯობესებს კვლევის მექანიზმებს დასაქმების მონაცემების მისაღებად, ხოლო მიღებული შედეგები მიუთითებს, როგორც პროგრამული მომზადების ეფექტურობაზე, ისე რეგიონალური დასაქმების ბაზრის გამოწვევებზე, რომლებიც კოლეჯის შემდგომი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებია.

კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯში პერიოდულად ტარდება კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი სატელეფონო გამოკითხვას დასაქმების მაჩვენებლის დადგენის მიზნით, ასევე კურსდამთავრებულებთან ხდება ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა ვაკანსიებთან დაკავშირებით.

ამდენად, ინდიკატორი 3.2.2.3 პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით დაკმაყოფილებულია.

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს - შპს მარნეულის კოლეჯი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 38-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოფს კარიერული მხარდაჭერის მომსახურების მიწოდებას პროფორიენტაციის და პრაქტიკის მენეჯერის მეშვეობით, რაც ხორციელდება სისტემატური განვითარების ციკლის ფარგლებში. დაწესებულების მაღალი ეფექტურობა ამ სფეროში განპირობებულია ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიშების საფუძველზე მიღებული უკუკავშირის რეგულარული გათვალისწინებით, რის შედეგადაც 2024-2025 წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





კარიერული მომსახურება ხორციელდება ხუთი ძირითადი მიმართულებით. პირველ რიგში, სტუდენტებთან ურთიერთობის გაუმჯობესება მოიცავს პროფორიენტაციის რეგულარულ პირისპირ და ჯგუფურ შეხვედრებს, პრაქტიკული ინფორმაციის (CV-ს შევსება, ვაკანსიების ძიება, მეილის გაგზავნის ტექნიკა) მიწოდებას და ინტერაქციული სწავლების მეთოდების გამოყენებას. მეორე, დარგის სპეციალისტებთან პარტნიორობა გულისხმობს ისეთი წამყვანი ორგანიზაციების ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში, როგორიცაა „გეფა“, „ავერსი“ და „ლიბერთი ბანკი“, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, უშუალოდ გაეცნონ დარგობრივ სიახლეებს, გამოწვევებს და კონკრეტულ ვაკანსიებს. მესამე, პოტენციური სტუდენტებისა და მშობლების კონსულტაცია მოიცავს ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეხვედრებს, საინფორმაციო მასალების მომზადებას და რეგიონულ სკოლებში აქტიურ ვიზიტებს. მეოთხე, თემთან ურთიერთობის განვითარების ფარგლებში კოლეჯი რეგულარულ შეხვედრებს ატარებს თემის წარმომადგენლებთან, ავითარებს კოლაბორაციას თემობრივ ცენტრებთან და აქტიურად ახდენს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას.

მეხუთე მიმართულება, დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობა, უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის კონკრეტული დასაქმების შესაძლებლობების შეთავაზებას. 2024 წლის ნოემბრიდან 2025 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდში ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მუდმივად მუშავდებოდა და მიზნობრივად ვრცელდებოდა კოლეჯის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და პროგრამების მიხედვით დახურულ ჯგუფებში. ამის კონკრეტული მაგალითებია „საქართველოს ბანკის“ ანაზღაურებადი სტაჟირება, „ავერსის კლინიკის“ წარმომადგენლებთან შეხვედრები ვაკანსიების გაცნობის მიზნით და „ტერაბანკის“ სტაჟირება შემდგომი დასაქმების პერსპექტივით. გარდა ამისა, რეგულარულად ტარდებოდა საინფორმაციო შეხვედრები „გეფასთან“, „ლიბერთი ბანკთან“ და „ავერსის კლინიკის“ წარმომადგენლებთან, ხოლო 2025 წლის ივნისში სახელმწიფო დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს მხარდაჭერით წარმატებით ჩატარდა დასაქმების ფორუმი „ლიბერთი ბანკთან“ ერთად. კოლეჯის მიერ 2025 წელს ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ სტუდენტთა ხელმისაწვდომობა ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციაზე მაღალია. ეს მრავალმხრივი და სტრუქტურირებული მიდგომა მიუთითებს კოლეჯის მაღალ პასუხისმგებლობაზე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული წარმატების უზრუნველყოფის მიმართულებით. ზემოთ აღნიშნული დასტურდება კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად;

ინდიკატორი 3.2.2.4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





- შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის №12262 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი “;
- შპს მარნეულის კოლეჯის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში 2025. N1290 ;
- შპს მარნეულის კოლეჯის ადმინისტრაციული დირექტორის შუალედური შედეგების მონაცემი მე-3 სტანდარდთან მიმართებით;
- შპს მარნეულის კოლეჯის აკადემიური დირექტორის შუალედური შედეგების მონაცემი მე-3 სტანდარდთან მიმართებით;
- სპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N6599 ბრძანებით დამტკიცებული „შპს მარნეულის კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია“;
- შპს მარნეულის კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში-2024 წლის 19აპრილი(რ/ნ 3925);
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები;
- დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული - დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი „პერსონალის მართვის წესი“ (დამტკიცებული შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N6599 ბრძანებით) და სტრუქტურა. „პერსონალის მართვის წესი განსაზღვრავს დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პოზიციების ფუნქციებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საშტატო განრიგი (პერსონალის მართვის წესი, მუხლი 2), რომლის მიხედვითაც დაწესებულებაში მოქმედებს 16 ადმინისტრაციული პოზიცია, მათ შორის დირექტორი, აკადემიური დირექტორი, ადმინისტრაციული დირექტორი, სტრატეგიული მენეჯერი, ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის უფროსი სპეციალისტი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, სასწავლო მენეჯერი, პროფორიენტაციის და პრაქტიკის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, საქმისმწარმოებელი ადამიანური რესურსის მმართველი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, ინფორმაციული ტექნოლოგიის სპეციალისტი, დაცვის თანამშრომელი, დამლაგებელი. თითოეულ პოზიციაზე დასაქმებული პირი იცნობს თავის სამუშაო აღწერილობას. სამუშაო აღწერილობები სრულად შეესაბამება დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტს. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პერსონალს, მათ კარგად აქვთ გააზრებული მათი მოვალეობები, კარგად იცნობენ იმ მარეგულირებელ დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავს მათი საქმიანობის წარმართვის პროცედურებს. ეფექტური მართვის მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 4 მიმართულება: ადმინისტრაციული, სასწავლო, ხარისხი და სტრატეგიული დაგეგმვა. აღნიშნული მიმართულებები ნათლად და მკაფიოდ არის ასახული დაწესებულების სტრუქტურაშიც, რომელიც კარგად ასახავს დაქვემდებარებას/ანგარიშვალდებულებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული და გააზრებული, შესაბამისად ინდიკატორის 4.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას - დაწესებულებაში საშტატო განრიგის მიხედვით ადმინისტრაციულ პოზიციაზე დასაქმებულია 16 თანამშრომელი. ეფექტური მენეჯმენტის მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს დაქვემდებარებები შემდეგნაირად: დირექტორს ექვემდებარება ადმინისტრაციული და სასწავლო დირექტორი, ასევე ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი და სტრატეგიული მენეჯერი. ადმინისტრაციული დირექტორის დაქვემდებარებაშია საქმისმწარმოებელი/ადამიანური რესურსების მმართველი, ბუღალტერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, ასევე ადმინისტრაციული დირექტორია პასუხიმგებელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრისა და შრომის უსაფრთხოების ნაწილზეც, რომლებიც დაწესებულებას გატანილი აქვს აუტსორსზე. აკადემიური დირექტორის დაქვემდებარებაშია სასწავლო მენეჯერი, პროფორიენტაციის და პრაქტიკის ხელმძღვანელი და პროგრამის ხელმძღვანელი. ხარისხის მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სამსახურის ხელმღვანელს ექვემდებარება უფროსი სპეციალისტი და სპეციალისტი. დამოუკიდებლად ფუნქციონირებს სტრატეგიული მენეჯერიც. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა საქმისმწარმოებლისა და ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციების შეთავსების მიზანშეწონილობა. ამ, მიზნით ექსპერტთა ჯგუფი პირადად გაესაუბრა ამ პოზიციაზე დასაქმებულ პირს და დეტალურად შეაფასა მისი ფუნქციების შესაბამისად შესრულებული სამუშაო. აღნიშნულის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ პოზიციაზე დასაქმებული პირი კარგად უმკლავდება მასზე დაკისრებულ ფუნქციებს, სრულყოფილად აქვს შევსებული რეესტრი, კარგად ხელმძღვანელობს დოკუმენტების არქივირების პროცესს, მართავს Eflow-ზე შემოსულ კორესპონდენციებს. სრულყოფილად აქვს მოწესრიგებული და ჩალაგებული პერსონალის პირადი საქმეები, კარგად აქვს დალაგებული კონკურსის დოკუმენტაციაც. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პერსონალი თავიანთ ფუნქციებს ახორციელებს ერთმანეთთან კოორდინირებულად, ასევე პერსონალს საქმიანობის პროცესში მხარს უჭერს ადმინისტრაციული დირექტორიც. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დეტალურად შეფასდა სტრატეგიული მენეჯერის პოზიციის ხარისხისგან გამოყოფის ნაწილიც. ამ მიზნით დაწესებულება დეტალურად გაესაუბრა ხარისხის მიმართულებით დასაქმებულ პირებს და თავად სტრატეგიულ მენეჯერს. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, სტრატეგიული დაგეგმარების მიმართულების ცალკე გამოყოფა იყო საუკეთესო გადაწყვეტილება, აღნიშნულმა უზრუნველყო ხარისხის მიმართულების განტვირთვა. ხარისხს მიეცა შესაძლებლობა მეტი კონცენტრაცია მოახდინოს უშუალოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხარისხის მონიტორინგს. სრულყოფილად მართოს ვერიფიკაციის პროცედურა, სისტემატიურად გადახედოს მარეგულირებელ დოკუმენტებს და უზრუნველყოს მათში არსებული ხარვეზების დროულად გამოსწორება და სხვა. თავად დაწესებულებას ამ გადაწყვეტილებით მიეცა საშუალება მეტი ყურადღება დაუთმოს სტრატეგიულ განვითარებას, სწორად დაგეგმოს პროცესები, უზრუნველყოს მათი შესაძლებლობების სწორად შეფასება და რეალური მიზნების დასახვა. სტრატეგიული მენეჯერის განმარტებით, აღინიშნა ისიც, რომ დაწესებულება გეგმავს გაფართოებას და მეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას. **ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, შესაბამისად, ინდიკატორის 4.1.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს - ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის მიზნით, დაწესებულებას შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში გათვალისწინებული აქვთ შესაბამისი ჩანაწერები, მაგალითად დირექტორის მიერ სხვადასხვა მიზნებისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნისას გათვალისწინებულია ინტერესთა კონფლიქტის ნაწილი. ხარისხის მართვის სამსახური არ არის ჩართული ვალიდაციის პროცესში, ასევე არ მონაწილეობს სასწავლო პროცესში. ხარისხის ასრულებს მაკონტროლებელ ფუნქციას, აფასებს კოლეჯში მიმდინარე პროცესებს, მათ შორის, პასუხისმგებელია პერსონალის კმაყოფილების კვლევაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





რაც შეეხება ვერიფიკაციის პროცესს, მთავარი ვერსიფიკატორი არის ხარისხის მართვის უფროსი სპეციალისტი. ცალკეული ინსტრუმენტების ვერიფიკაციის პროცესში ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის მიზნით დარგობრივი მახასიათებლების შეფასებას ახდენს მოწვეული სპეციალისტი, როგორც დამოუკიდებელი შემფასებელი. **აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და ინდიკატორის 4.1.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- კოლეჯის დებულება;
- პერსონალის მართვის წესი;
- ხარისხის მართვის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- კოლეჯის სტრუქტურა;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად - დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შინაგანაწესი“ (დამტკიცებული შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 20 სექტემბრის N13369 ბრძანებით) და დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. შინაგანაწესი ადგენს ზოგად ნორმებს, როგორებიცაა, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების წესი, პერსონალის წახალისების და დისციპლინური ღონისძიების გატარების წესი. დაწესებულებაში სამუშაო დრო არ აღემატება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ ნორმირებულ სამუშაო დროს, კერძოდ, სამუშაო დღე იწყება 10 საათზე და სრულდება 18 საათზე ორშაბათიდან პარასკევის, ჩათვლით, სამუშაო დღის განმავლობაში შესვენება განისაზღვრება ერთი საათით , სამუშაო პროცესის შეფერხების თავიდან ასაცილებლად , პერსონალი კუთვნილი შესვენებით სარგებლობს დირექტორთან შეთანხმებული გრაფიკით, შაბათს სამუშაო დღე იწყება 10 საათზე და სრულდება 14 საათზე (შინაგანაწესი, მუხლი 16. შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებს შრომის კოდექსით განსაზღვრულ ყველა არსებით პირობას (შრომის კოდექსი, მუხლი 14), მათ შორის ასახულია ინფორმაცია შრომითი ხელშეკრულების მხარეთა შესახებ, მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა, სამუშაო დრო და დასვენების დრო, სამუშაო ადგილი, პოზიცია და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა, შრომის ანაზღაურება და მისი გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულებების მიცემის წესი, დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიერ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესი. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან ასევე შეფასდა პერსონალის სამუშაო დროის აღრიცხვის ვალდებულებაც, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის N01-15/ნ ბრძანებასთან „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“. დასაქმებულები წლების განმავლობაში იყენებენ მათ კუთვნილ ანაზღაურებად შვებულებას, ასევე სარგებლობენ შრომის კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებებით.

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა დაწესებულების შინაგანაწესის ცალკეული დებულებები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება გეგმავს ზრდას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას, რაც გაზრდის დასაქმებულთა რაოდენობას, ცალკეული სამართლებრივი რისკების შემცირების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





ა) დაწესებულებას შინაგანაწესით განსაზღვრული აქვს ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით (შინაგანაწესი, მუხლი 8, პუნქტი 1) და არაანაზრაურებადი - წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღის ოდენობით (შინაგანაწესი, მუხლი 8, პუნქტი 2). აღნიშნული ჩანაწერით, დასაქმებული მოთხოვნის შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებული იქნება დასაქმებულს მისცეს იმდენი ანაზღაურებადი ან არაანაზრაურებადი შვებულება, რამდენსაც იგი მოითხოვს, წლის განმავლობაში, რამაც შესაძლოა რისკის ქვეშ დააყენოს დაწესებულების ფინანსური რესურსი, ასევე პროგრამის განხორციელების მდგრადობა (ვინაიდან, ადმინისტრაციის გამართული ფუნქციონირება პროგრამების განხორცილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა). დამსაქმებლის მხრიდან მოთხოვნაზე უარის თქმა შესაძლოა გახდეს სადავო ფაქტობრივი გარემოება, ამასთან დაწესებულებას, ისეთი თანამშრომელთან, რომელიც მუდმივად შვებულებაშია შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა, თუნდაც დისციპლინური საქმისწარმოების დაწყება ამ კონკრეტული მოტივით რთული იქნება. შრომის კოდექსი ადგენს იმ მინიმალური დღეების ოდენობას, რომლის ქვემოთაც დაწესებულებას შიდა რეგულაციით წამოსვლის უფლება არ აქვს, თუმცა სავსებით შეუძლია საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე თავად განსაზღვროს შვებულების დღეების მაქსიმალური ოდენობა, რაც დასაქმებულისთვის შრომის კოდექსით მინიჭებულ უფლებებს არ ზღუდავს.

ბ) დაწესებულება შინაგანაწესით განსაზღვრავს უქმე დღეების ამომწურავ ჩამონათვალს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩამონათვალი ამ დროისათვის მოქმედი შრომის კოდექსის იდენტურია, არსებობს იმის რისკი, რომ დაწესებულებამ კანონში შესული სიახლე დროულად ვერ ასახოს თავის შიდა რეგულაციაში, რაც შესაძლოა დასაქმებულისთვის შრომის კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების შეზღუდვად იქნეს განხილული. გარდა ამისა, უქმე დღეების ცვლილების გამო დაწესებულებას მუდმივად რომ არ დასჭირდეს შინაგანაწესში ცვლილებების შეტანა და ამ პროცესზე ადამიანური რესურსის ხარჯვა, ექსპერტთა ჯგუფის აზრით უმჯობესია, თუ დაწესებულება დათქმას გააკეთებს შრომის კოდექსზე, ხოლო შინაგანაწესში ასახავს მხოლოდ იმ უქმე დღეებს, რომლებსაც დაწესებულება საკუთარი სურვილით იყენებს და შრომის კოდექსისგან განსხვავდება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში, შინაგანაწესში განსაზღვროს წლის განმავლობაში ანაზღაურებადი და არაანაზღაურებადი შვებულების მაქსიმალური ოდენობა (მუხლი 8, პუნქტები 1 და 2), ასევე შინაგანაწესში გააკეთოს უშუალო მითითება შრომის კოდექსზე უქმე დღეების ნაწილში, ხოლო შინაგანაწესში ასახოს მხოლოდ ის უქმე დღეები, რომლებსაც დაწესებულება საკუთარი სურვილით იყენებს და შრომის კოდექსისგან განსხვავდება (მუხლი 16, პუნქტი 9). **მიუხედავად ამისა, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად და ინდიკატორის 4.1.2.1-ის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით - „პერსონალის მართვის წესის“ მე-3 თავის მიხედვით, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის პოლიტიკა. ამ მიზნით დაწესებულება იყენებს როგორც მოწვევის, ისე კონკურსის მეთოდებს. ასევე ურთიერთშეთანხმებით მიმართავს დასაქმებულთა შიდა როტაციის მეთოდს. კონკურსი ცხადდება საჯაროდ, დასაქმების პორტალებზე. კონკურსის განხორციელების პრინციპებია: ობიექტურობა, გამჭვირვალობა, საჯაროობა, კოლეგიალობა, კორექტულობა. დაწესებულებას კონკურსის გზით ჰყავს აყვანილი რამდენიმე მასწავლებელი, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელიც. დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა განხორციელებული ყველა კონკურსის დოკუმენტაცია. კონკურსის განხორციელების მიზნით იქმნება კომისია. კონკურსი ძირითადად მიმდინარეობს ორ ეტაპად, CV-ების გადარჩევა და გასაუბრება. გასაუბრების ნაწილში კომისიის წევრები ავსებენ კანდიდატის შეფასების სპეციალურ ფორმას. კანდიდატის არჩევა ხდება მინიჭებული ქულების საფუძველზე. **აღნიშნულის გათვალისწინებით, პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით და ინდიკატორის 4.1.2.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას - ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები. პირადი საქმეები დაწესებულებას ჩალაგებული აქვს ბაინდერებში ანბანური თანმიმდევრობით. ბაინდერები შენახულია დახურულ კარადაში, უცხო პირებისათვის მიუწვდომელ ადგილას. პირად საქმეში განთავსებული დოკუმენტაციის ჩამონათვალი განსაზღვრულია “საქმისწარმოების წესში“. პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაწესებულებას გაწერილი აქვს „პერსონალის მართვის წესში“. პირად საქმეში წარმოდგენილია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები, სერტიფიკატები, როგორებიცაა „თვითშეფასებისა და სამუშაოს შეფასების სისტემის პრაქტიკაში გამოყენება“, „პირველადი გადაუდებელი დახმარება“, მასწავლებლის პროფესიული საქაღალდე, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ფარგლებში - მონაწილეობა“, პრაქტიკოსი მასწავლებლის მინიჭების სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატები, საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატები, პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმებისა და სხვა პროფესიული განათლების სპეციფიკისათვის დამახასიათებელ ტრენინგებში მონაწილეობის დამდასტურებელი სერტიფიკატები. პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დამატებით შეფასდა პირადი ინტერვიუებითაც. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დარგის ექსპერტების მხრიდან დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციაზეც. განმახორციელებელი პერსონალი იცნობს მოდულს, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით იყენებს სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სხვადასხვა მეთოდებს, ასევე, უმეტესად, აქვთ სფეროში მუშაობის გამოცდილებაც. **ამის გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და ინდიკატორის 4.1.2.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს - დაწესებულებაში პროცესების მართვისთვის შემუშავებული რეგულაციებითა და მექანიზმებით, უზრუნველყოფილია დასაქმებულთა ჩართულობა სხვადასხვა პროცესში, როგორიცაა: პროგრამის შემუშავების, ინიცირების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-ვალიდაცია-ვერიფიკაციის, გამოცდების და კონფერენციების ორგანიზების და სხვა პროცესებთან დაკავშირებით. დაწესებულების ფუნქციონირება ემყარება გუნდური მუშაობის პრინციპებს. პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი დაწესებულების ადმინისტრაციული თუ სასწავლო პროცესების მართვის საკითხებში და ხელს უწყობენ მის განვითარებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო სამუშაო ჯგუფების, კომისიების შექმნის შესახებ ბრძანებები, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები. **ამის გათვალისწინებით, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს და ინდიკატორის 4.1.2.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პერსონალის მართვის წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საქმისწარმოების წესი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი;
- შიდა საკადრო ცვლილების შესახებ სამსახურეობრივი ბარათი და დირექტორის ბრძანება;
- საკონკურსო დოკუმენტაცია;
- შინაგანაწესი;
- ტაბელი;
- ხარისხის მართვის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- დანიშვნის აქტი/ შრომითი ხელშეკრულებები/ მომსახურეობის ხელშეკრულებები;
- ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები/ cv/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატები;
- პერსონალთან და ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან/პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას - დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N6599

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ბრძანებით) ითვალისწინებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას. ამავე მარეგულირებელი დოკუმენტით, პერსონალის საქმიანობის შეფასებას, ასევე პერსონალის კმაყოფილების კვლევას ყოველწლიურად ახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური. დაწესებულებას თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრული აქვს საქმიანობის შეფასების სხვადასხვა ინდიკატორი (პუნქტი 5.3.1), მაგალითად სასწავლო მენეჯერისთვის სამუშაო გეგმა (კვარტალური მონიტორინგებით და წლიური შეფასებით), მასწავლებლების სასწავლო მენეჯერით კმაყოფილების და სტუდენტების ჩართულობის სტრატეგიების მოკვლევის ინსტრუმენტები, მეცადინეობის შეფასების ფორმა, მასწავლებლების კალენდარული გეგმების, შეფასების ინსტრუმენტების აღრიცხვა/მონიტორინგის ფორმა. ამასთან, თითოეული დასაქმებული ინდივიდუალურად ადგენს თავის სამოქმედო გეგმას და გარკვეული პერიოდულობით წარუდგენს შესაბამისი მიმართულების დირექტორს. შეფასება ხორციელდება ყველა მიმართულებით მოპოვებული მიზნობრივი მონაცემების შესწავლის და ანალიზის შემდეგ. აკადემიური და ადმინისტრაციული სტრუქტურების პერსონალი სამუშაო გეგმების შეფასებას და მონაცემების შესწავლა ანალიზს ახორციელებენ ინდივიდუალურად და ანგარიშს წარუდგენენ სტრუქუტურული ერთეულის ხელმძღვანელს და ხარისხის მართვის სამსახურს. აკადემიური და ადმინისტრაციული სტრუქტურების პერსონალი სამუშაოს შესრულების ანგარიშს წარადგენს სამოქმედო წლის დასრულებამდე 2-3 კვირით ადრე. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ მონაცემების შეგროვება/შესწავლა ანალიზს ხელმძღვანელობს და პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი. მონაცემების შესწავლის და ანალიზის პროცესში მონაწილეობს ხარისხის მართვის სამსახურის ყველა სპეციალისტი. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ მონაცემების შესწავლის და ანალიზის შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშებში, რომელიც წარედგინება კოლეჯის დირექტორს და ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას. პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის მექანიზმებთან ერთად, კოლეჯი რეაგირებს კვლევების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებზე, რაც საქმეში წარმოდგენილია საჭიროებათა კვლევის ანგარიშების სახით. მაგალითად 2024 წლის ანგარიშში დაწესებულებას პერსონალის საჭიროებები განსაზღვრული აქვს სხვადასხვა მიმართულებებით: საარქივო დოკუმენტაციის წარმოება და სტატისტიკური მონაცემების ანალიზის მიმართულებით გაძლიერება - სამქმისწარმოებელი/ადამიანური რესურსის მმართველისთვის, კომპიუტერული უნარების გაუმჯობესება-ტრენინგი, პროფ. მასწავლებლებისთვის, ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესწავლა სასწავლო პროცესთან მიმართებით. საჭიროება გამოიკვეთა როგორც პროფესიული მასწავლებლების, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან და სხვა. აღნიშნული ასახვას ჰპოვებს პერსონალის განვითარების გეგმაში.

გარდა პერსონალის საქმიანობის შეფასებისა დაწესებულება ახორციელებს პერსონალის კმაყოფილების კვლევასაც. აღნიშნულთან მიმართებით დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შპს მარნეულის კოლეჯის პერსონალის კმაყოფილების და საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგია და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





ინსტრუმენტი: (დამტკიცებული დირექტორის 2023 წლის 8 სექტემბრის N8876 ბრძანებით). კვლევის მეთოდად დაწესებულებას შერჩეული აქვს თვისებრივი კვლევა - ფოკუს ჯგუფი. კითხვარი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, კოლეჯის მხრიდან დასაქმებულთა ინფორმირებულობის ნაწილი, ტრენინგების საჭიროებები და სხვა. დაწესებულების დასაქმებულებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ასევე კმაყოფილების კვლევის მიზნით იყენებს კითხვარსაც, რომელიც არის ანონიმური. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან, გასაუბრება ჩაუტარდა დასაქმებულთა სხვადასხვა ჯგუფს, შედარებით ასაკოვანთა ჯგუფი ამბობს, რომ თვისებრივი კვლევის მეთოდი მათთვის უფრო მისაღები და მარტივია, ასევე შეფასებისა და კითხვებზე პასუხის გაცემის დროს ისინი არიან სავსებით ობიექტურები. უფრო ახალგაზრდა დასაქმებულები ამბობენ, რომ მათთვის უფრო მისაღებია კვლევა QR კოდების საშუალებით. დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ პირადი გასაუბრებებითა და მსჯელობით უფრო კარგ შედეგზე გადიან, კერძოდ უკეთ ხედავენ დასაქმებულების საჭიროებებს და ახდენენ მათზე შესაბამის რეაგირებას. იმის გათვალისწინებით, რომ თვისებრივი კვლევა არ რაის ანონიმური, არსებობს იმი რისკი, რომ დასაქმებულები არ არიან სუბიექტურები შეფასების პროცესში, არის იმის რისკიც, რომ დასაქმებულებმა თავი შეიკავონ პრობლემური საკითხების წამოჭრისგან. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან კვლევის ორივე მეთოდი შეფასდა დადებითად, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მარეგულირებელი დოკუმენტი მხოლოდ თვისებრივ კვლევას ითვალისწინებს, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, ანონიმურობისა და ობიექტურობის შენარჩუნების მიზნით თვისებრივ კვლევასთან ერთად გამოიყენოს შეფასების კითხვარიც. **ამის მიუხედავად, პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას და ინდიკატორის 4.2.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით - დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის გეგმა, ასევე პერსონალის განვითარება გათვალისწინებულია დაწესებულების ყოველწლიურ ბიუჯეტში. პერსონალის კვლევის გეგმის შედეგად განხორციელებულ აქტივობებზე დაწესებულება აკეთებს ყოველწლიურ ანგარიშს. პერსონალის განვითარების გეგმა ეფუძნება პერსონალის საჭიროების კვლევის ანგარიშს. პერსონალის ზოგად განვითარებას ითვალისწინებს დაწესებულების ყოველწლიური სამოქმედო გეგმაც. **შესაბამისად, პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით და ინდიკატორის 4.2.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით - დაწესებულებას წარმოდგენილი პერსონალის განვითარების გეგმით გათვალისწინებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება, რასაც ადასტურებს მათ პირად საქმეში არსებული სერიფიკატებიც. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განათლების მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულები უნარების სააგენტოს, ასევე კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში (დაწესებულებამ დამატებით მტკიცებულებად წარმოადგინა მივლინების დამადასტურებელი ბრძანებები და ტრენინგების ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები (საჭიროების მიხედვით). დაწესებულებას თავადაც გეგმავს კონფერენციებს და იწვევს ტრენერებს სხვადასხვა მიმართულებით ტრენინგის განხორციელების მიზნით. **ამის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით და ინდიკატორის 4.2.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან - კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით, საქმისმწარმოებელს/ადამიანური რესურსების მმართველს აქვს ვალდებულება ახალ თანამშრომელს გააცნოს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები. ამასთან, ახლად აყვანილ კადრს მუდმივი კომუნიკაცია აქვს მის უშუალო ხელმძღვანელთან, რომელიც უხსნის სამუშაო სპეციფიკას. ახალი დასაქმებულის ინტეგრაციის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია დასაქმებულთა გუნდურობა და კოლეგიალობა. ზემოაღნიშნული დასტურდება დასაქმებულებთან ინტერვიუს შედეგებითაც. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან და ინდიკატორის 4.2.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები - კოლეჯის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში „შინაგანაწესში“ (თავი 4. ინიციატივა) განსაზღვრულია პერსონალის მიერ ინიციატივის წარდგენის პროცედურა, პასუხისმგებელი პირები და ინიციატივაზე რეაგირების ვადები. დაწესებულებას 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ჰქონდა პერსონალის ინიციატივების კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა პერსონალის მიერ საკუთარი ინიციატივების წარმოჩენასა და წარდგენის შედეგად მათი მოტივაციის ჩართულობის გაზრდას. დასაქმებულებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ დასაქმებულთა ინიციატივები ნამდვილად არის მხარდაჭერილი. დასაქმებულები იხსენებენ ექსკურსიებს, კონფერენციებს, რომლებიც მათი ინიციატივით განხორციელდა. 2024 წლის გაზაფხულზე მასწავლებლებისთვის ჩატარდა ტრენინგების ციკლი, რომელიც ვალიდაციის და შეფასების ინსტრუმენტებსა და სწავლების კომპეტენციების გაძლიერებას ეხებოდა. დაწესებულება დასაქმებულთა წახალისების მიზნით იყენებს ერთჯერადად ფულადი ჯილდოს გადაცემის მექანიზმსაც, ასევე რამდენიმე თანამშრომლის მიმართ გამოცხადებული აქვს მადლობაც. **ამის გათვალისწინებით, პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები და ინდიკატორის 4.2.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- შინაგანაწესი;
- პერსონალის მართვის წესი;
- პერსონალის განვითარების გეგმები 2022-2025 წლების; და შესრულების ანგარიშები იმავე წლების;
- პერსონალის სამუშაო შედეგების შეფასების ანგარიშები;
- კოლეჯის პერსონალის სამუშაო შედეგების შეფასების სტრატეგიები;
- პერსონალის კმაყოფილების დონისა და საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი;
- პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტები/მასალა (ფოტომასალა, გადახდის დამდასტურებელი ქვითრები, წახალისების შესახებ ბრძანებები, პრემიის დარიცხვის შესახებ ბრძანებები);
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----
----

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით - დაწესებულება საქმიანობას ახორციელებს ქალაქი მარნეულის 26 მაისის N80-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე, რომელიც მისთვის გადაცემულია დროებით სარგებლობაში იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე (საკადასტრო კოდი: 83.02.18.314). დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტაცია, რომლის შესაბამისადაც იჯარის ვადა განისაზღვრებოდა 2030 წლის 1-ლ იანვრამდე პერიოდით, რაც ავტორიზაციის, 6 წლიან ვადას არ ფარავდა. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულება ითვალისწინებდა ვადის ავტომატური გაგრძელების პირობას, იმ დროისათვის საჯარო რეესტრის ამონაწერში ვადა 2030 წლამდე მაინც ფიქსირდებოდა. აღნიშნული მოსაზრება ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე გააცნო დაწესებულების წარმომადგენლებს. დაწესებულებამ იმავე დღეს წარმოადგინა განცხადების რეგისტრაციის ბარათი ვადის გაგრძელების მოთხოვნით (იხილეთ დანართი 1. განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან). სხვა მატერიალური რესურსი დაწესებულებას საკუთრებაში აქვს ნასყიდობის საფუძველზე. აღნიშნულის დასტურად მან წარმოადგინა შესაბამისი ზედნადებები.

   ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ინვენტარიზაციის აქტი, რომლის მიხედვითაც ბალანსზე აღერიცხება 173090.32 ლარის ოდენობის მოძრავი ქონება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინვენტარიზაციის აქტი მოიცავს პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მიზნებისთვის გამოყოფილ რესურსს. დოკუმენტით და ადგილზე ვიზუალური შემოწმებით დასტურდება პროგრამის შესაბამისი ინფრასტრუქტურის და მატერიალური-ტექნიკური ბაზის ფლობა. თითოეული პროგრამისთვის გამოყოფილია 2-2 აუდიტორია თეორიული სწავლებისთვის; პრაქტიკული სწავლებისთვის თითო აუდიტორია (C გარემოა), და საერთო გამოყენებისთვის 2 B გარემო/კომპიუტერული კლასი. საერთო ჯამში, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაშია 7 ადმინისტრაციულიო დანიშნულების ოთახი, 7 სველი წერტილი, 11 A გარემო, 3 B გარემო, 5 C გარემო, 1 ექსტრაკურიკულური აქტივობების სივრცე, 2 დასვენებისათვის განკუთვნილი საერთო სივრცე, 1 ბიბლიოთეკა და 1 არქივი.

დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ფართში განთავსებულია აუდიტორიები თეორიული სწავლებისთვის, რომელსაც დაწესებულება იყენებს საჭიროების მიხედვით. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით (მერხი, სკამი, დაფა) (იხ. დანართი, ინვენტარიზაციის აქტი).

შენობაში მოწყობილია ასევე ადმინისტრაციული საქმიანობისთვის კაბინეტები შესაბამისი აღჭურვითა და ტექნიკით: კანცელარია, არქივი, პერსონალისთვის სამუშაო კაბინეტები. კოლეჯში მოწყობილია სანიტარული კვანძები, ასევე გათვალისწინებულია სამეურნეო ოთახები, სამრეცხაო, სივრცე დამლაგებლისთვის. კოლეჯში მოწყობილია სივრცე სტუდენტებისთვის, რომელიც მოწყობილია შესაბამისად.

ამის გათვალისწინებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით და ინდიკატორის 5.1.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის - ექსპერტთა ვიზიტისას ადგილზე შემოწმდა დაწესებულების ინფრასტრუქტურა. შენობა ადაპტირებულია, გადაადგილების შეზღუდვის მქონე შშმ პირებისთვის, კიბეზე დამონტაჟებულია პანდუსები, დაწესებულებას აქვს ადაპტირებული ჰიგიენური კვანძი. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ პროგრამაზე ჩაირიცხება სსსმ პირი, კოლეჯი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ის ადაპტირებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსით საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, ადაპტირებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია ადმინისტრაციული დირექტორი. ამ მიმართულებით დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს შესაბამისი ჩანაწერები სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის N12262 ბრძანებით). სასწავლო სივრცეები აღჭურვილია მერხებით, სკამებით, აუდიტორიებში განთავსებულია ეკრანები. B ტიპის გარემოში განთავსებულია კომპიუტერები. ხელმისაწვდომია სტუდენტური მოსასვენებელი სივრცეებიც. დაწესებულებას აქვს გამოყოფილი სივრცე ბიბლიოთეკისთვის. ბიბლიოთეკაში დაცულია სასწავლო მასალა, პუბლიკაციები. პროფესიული სტუდენტებისთვის ინფრასტრუქტურა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხელმისაწვდომია. სტუდენტის ეს უფლება უზრუნველყოფილია ასევე შინაგანაწესით (მე-3 თავი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ კოლეჯის სივრცეებით, კარგად იცნობენ მარეგულირებელ წესს/შინაგანაწესს. **ამის გათვალისწინებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის და ინდიკატორის 5.1.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები - დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე შეამოწმა სანიტარული და ჰიგიენური პირობები, რომლების ფარგლებშიც გამოიკვეთა, რომ დაწესებულების სველი წერტილები მარაგდება წყლით, უზრუნველყოფილია ხელსაბანი სითხეებით, საშრობი ქაღალდებით და სხვა აუცილებელი რესურსით. დაწესებულებას ჰყავს დამლაგებლები, რომლებიც ზრუნავენ სივრცეებში სისუფთავის შენარჩუნებაზე. ადგილზე დათვალიერების შედეგად არ გამოკვეთილა სანიტარული და ჰიგიენური პირობების დარღვევის ფაქტი, სივრცეები იყო სუფთა და მოწესრიგებული. დაწესებულებას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი გაწერილი აქვს „უსაფრთხოების დებულებაში“ (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N6599 ბრძანებით), ჰიგიენურ-სანიტარული ნორმების დაცვის ვალდებულებები გაწერილი აქვთ დამლაგებლებს სამუშაო აღწერილობაში, ხოლო ნარჩენების უტილიზაციასთან დაკავშირებულ სპეციფიკას აწესრიგებს „უსაფრთხოების წესის“ მე-6 მუხლი. ზემოაღნიშნული რეგულაციის მიხედვით, დაწესებულებაში ნარჩენები უნდა შეგროვდეს ორგანიზებულად, „ნარჩენების კოდექსის“ შესაბამისად. ნაგვის ურნების დაცლა უნდა მოხდეს ყოველ დღე სამეცადინო პროცესის დასრულების შემდეგ ან საჭიროებისამებრ. საოფისე ნარჩენები უნდა მოთავსდეს სპეციალურ კონტეინერებში და უნდა იქნას უტილიზებული ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ სპეციალურ ადგილზე. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და ინდიკატორი 5.1.1.3-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა კოლეჯის შენობაში ცენტრალური გათბობის სისტემების ვიზუალური დათვალიერება, რომელთა ფუნქციონირება დასტურდება პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით, გაზის შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტებით და კოლეჯის ტექნიკური პერსონალის შემადგენლობითა და მათი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობით. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.1.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები - დაწესებულებას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოების დებულება“ (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N6599 ბრძანებით), რომლის ნაწილია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა (მე-2 თავი). შრომის უსაფრთხოების პოლიტიკით განსაზღვრული პროცესების შესრულებას ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით აკრედიტებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის გამოყოფას, რეკომენდაციების მომზადებას და მიწოდებას შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონებისა და რეგლამენტების საფუძველზე, შრომის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას, აღმოჩენილი დარღვევების სისტემატიზებას და შესაბამისი ანგარიშის მომზადებას, მისი შემდგომი გამოსწორების მიზნით, შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობაში სიახლეების მიწოდებას და საჭიროების შემთხვევაში უსაფრთხოების დოკუმენტების განახლებას (ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების მომსახურების გაწევის შესახებ, 13.01.2025, N103832349, შპს ''სეიფთი ლაბი''). დაწესებულებას ჰქონდა შრომის უსაფრთხოების ინსპექციასთან თანამშრომლობის გამოცდილებაც (შემოწმების აქტი N011596/შ, 21.05.2025), ინსპექტორთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელ პირებს/კომპანიის წარმომადგენლებს ჰქონდათ შესაბამისი კვალიფიკაცია. 2025 წლის იანვრამდე შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი იყო დაწესებულების ერთ-ერთი თანამშრომელი (რომელსაც ჰქონდა შესაბამისი სერტიფიკატი), რომელიც რეგულაციით დადგენილ ვადებში ახორციელებდა: პერსონალისა და სტუდენტების ინსტრუქტაჟს, ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფას. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საფრთხის შემცველი ანალიზის წერილობითი დოკუმენტი თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების შესახებ (რისკების შეფასებისა და შემცირების დოკუმენტი), დასაქმებულების სწავლება/ინსტრუქტაჟის ჩატარების შესახებ გეგმა-გრაფიკი, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოს სპეციფიკის შესაბამის კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და რისკის შეფასებისა და საფრთხის იდენტიფიცირების ანალიზზე დაფუძნებულ სისტემას, უზრუნველყოფს სამუშაოს ადაპტირებას დასაქმებულთან, განსაკუთრებით სამუშაო სივრცის მოწყობის თვალსაზრისით, მონოტონური სამუშაოს შემსუბუქებისა და დასაქმებულის ჯანმრთელობაზე სამუშაოს გავლენის შემცირების მიზნით, პერიოდულად ამოწმებს ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმებას და ახდენს შედეგების შესაბამისად დოკუმენტირებას, ახდენს სამუშაო ადგილზე დასაქმებულების ან/და სხვა პირების ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნის კონტროლის მექანიზმებს, დასაქმებულთა სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე განთავსებული აქვს უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვის გამაფრთხილებელი ნიშნები. **ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები და ინდიკატორის 5.1.1.5 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----
----

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები - დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად“ (მუხლი 16. სასწავლო პროცესის საჭირო მასალითა და ნედლეულით უზრუნველყოფა) განსაზღვრულია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსით უზრუნველყოფის პროცესები და პასუხისმგებელი პირები. კერძოდ სასწავლო პროცესის საჭირო მასალებით/რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციული დირექტორი, ხოლო მასალის გაცემაზე — საქმისმწარმოებელი/ადამიანური რესურსის მმართველი. ტექნოლოგიურ პროცესებში წარმოშობილი ნარჩენების მართვა რეგულირდება კოლეჯის უსაფრთხოების დებულებით. სტუდენტებისა და პერსონალის მიერ მატერიალური რესურსებით კმაყოფილების კვლევაზე, ასევე სასწავლო და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მდგომარეობის მონიტორინგზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის სამსახური. პროფესიული მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი წერილობით მიმართავენ საქმისმწარმოებელს საჭირო მასალის მოთხოვნით. საქმისმწარმოებელი გონივრულ ვადაში გადასცემს მოთხოვნილ რესურსს და შესაბამის ჩანაწერს ასახავს სპეციალურ აღრიცხვის ტაბელში. განლევადი რესურსების მინიმალურ ზღვართან მიახლოებისას საქმისმწარმოებელი წერილობით მიმართს ადმინისტრაციულ დირექტორს საჭირო ჩამონათვალით, რის საფუძველზეც ხდება მარაგების დროული შევსება. ზემოაღნიშნული პროცედურა დასტურდება შესაბამისი ჩანაწერებით (ტაბელი) და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზედნადებებით, ასევე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე მოხდა მატერიალური რესურსების შემოწმება/დათვალიერება და შესაბამისი პროგრამის სტანდარტთან დადარება. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა თითოეული პროგრამის მასწავლებელს/სტუდენტს/კურსდამთავრებულს. ისინი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ, რომ მატერიალური რესურსების მხრივ არ ჰქონიათ არანაირი შეფერხება და სტუდენტებისთვის ყოველთვის ხელმისაწვდომი იყო დაწესებულების ინფრასტრუქტურა. მასწავლებლები ადასტურებენ, რომ პროგრამის განხორციელებისას არ ჰქონიათ მატერიალური რესურსების უკმარისობით გამოწვეული შეფერხება, მარაგები სისტემატიურად ივსება, რაც უზრუნველყოფს სწავლების შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნული დასტურდება კმაყოფილების კვლევის შესაბამისი ანგარიშებითაც. **ამის გათვალისწინებით, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები და ინდიკატორის 5.1.1.6 მოტხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, რომელიც ხორციელდება კოლეჯის დირექტორის მიერ წინასწარ დამტკიცებული ფორმების გამოყენებით. აღნიშნული პროცესი გაწერილია ხარისხის მართვის სამსახურის წლიურ სამოქმედო გეგმაში და მოიცავს მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობასა და განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს. სასწავლო და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის შეფასების პროცესში, პროგრამულ ნაწილში, ჩართულნი არიან დარგის სპეციალისტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გასწორებაზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციული დირექტორი. დაწესებულება ნერგავს ხარისხის დეცენტრალიზებული მართვის მოდელს, რომლის ფარგლებშიც თითოეული დასაქმებული თავად უკეთებს მიმდინარე პროცესებს მონიტორინგს (სამოქმედო გეგმის ფარგლებში), შესაბამისად მატერიალური რესურსების საკმარისობას დაწესებულება აფასებს სისტემატიურად. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტები და ჩატარდა გასაუბრება ხარისხის მართვის სამსახურის უფროსთან, რომელმაც განმარტა რომ გარდა გამოკითხვებით მიღებული ინფორმაციისა რესურსების საკმარისობასთან და განვითარებასთან დაკავშირებით, დასაქმებულს სისტემატიური კონტაქტი აქვთ ადმინისტრაციის უფროსთანაც, რომელიც უზრუნველყოფს მარაგების შევსებას, ხოლო მოდულების მიხედვით გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება რესურსების შევსება მათთან კოორდინაციით. რესურსების შეფასების მიზნით გამოიყენება აგრეთვე ყოველწლიური ინვენტარიზაციის შედეგებიც, რომელსაც ახორციელებს შესაბამისი კომისია. ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით ხორციელდება დაზიანებული რესურსების ჩამოწერა და განახლების დაგეგმვა. **ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის 5.1.1.7 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. დაწესებულების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ შენობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, არის მოწესრიგებული და სუფთა, შესაძლებელია პირადი ჰიგიენის დაცვა და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია ხელსაბანით, ჰიგიენური საშუალებებით (საპონი, საშრობი ქაღალდი) და სხვა აუცილებელი რესურსით. დაწესებულებას ჰყავს დამლაგებლები, რომლებიც ზრუნავენ სანიტარული კვანძების სისუფთავის შენარჩუნებაზე. **ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორის 5.1.1.8 მოთხოვნის შესრულება შეფასდა დამაკმაყოფილებლად.**

9. კოლეჯის ყველა აუდიტორიაში, კომპიუტერულ კლასებში, პრაქტიკულ ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეებში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება, რაც დადასტურდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერებით. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.1.1.9. მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია.**

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას - დაწესებულებაში სივრცე ისეა დაგეგმილი, რომ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესი შეუფერხებლად ხორციელდება. დაწესებულებაში არაა ერთმანეთში გამავალი ოთახები. სამუშაო და სასწავლო ოთახები, ბიბლიოთეკა განლაგებულია ერთმანეთისგან იზოლირებულად და ყველა სივრცე გამოდის ჰოლში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





ასევე პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი სივრცეები ისეა განთავსებული, რომ ხელს არ უშლის საგანმანათლებლო პროცესსა და ადმინისტრაციულ საქმიანობას. საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გამოყოფილია ინდივიდუალურად თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის აუდიტორიები, მოწყობილია კომპიუტერული კაბინეტი/კლასი. სასწავლო აუდიტორიებში, პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილ დასვენების სივრცეებში შესვლა შესაძლებელია შეზღუდვების გარეშე. ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. **ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ინდიკატორის 5.1.1.10 მოთხოვნის შესრულება შეფასდა დამაკმაყოფილებლად.**

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად - კოლეჯს შემუშავებული აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი „ბიბლიოთეკის მართვა“ (დამტკიცებული დირექტორის შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 31 მაისის N4205 ბრძანებით), რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკის საქმიანობას. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს და მართავს შპს მარნეულის კოლეჯის ბიბლიოთეკარი შემდგომში - ბიბლიოთეკარი), ბიბლიოთეკის სამუშაო საათებია ორშაბათი- პარასკევი : 10.00სთ – 18.00სთ. ბიბლიოთეკის ამოცანაა უზრუნველყოს სტუდენტები/მსმენელები და მასწავლებლები საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული სასწავლო რესურსით (სახელმძღვანელო, კონსპექტი, სასწავლო მასალა) და სხვა ლიტერატურით. გარდა ბეჭდური ვერსიისა მკითხველთათვის ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერში ხელმისაწვდომია ელექტრონული კატალოგი და საბიბლიოთეკო რესურსის ელექტრონული ვერსიები, გათვალისწინებულია პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატით სარგებლობის შესაძლებლობა. ასევე ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტის გამოყენება. ბიბლიოთეკაში შემოსული მატერიალური წიგნი შემოსვლიდან 3 დღის ვადაში რეგისტრირდება ბიბლიოთეკის საინვენტარო ჟურნალში და ენიჭება ინვენტარის ნომერი. ბიბლიოთეკაში შემოსული ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩაიწერება CD დისკზე ან ფლეშმეხსიერების ბარათზე, შემოსვლიდან 3 დღის ვადაში რეგისტრირდება ბიბლიოთეკის საინვენტარო ჟურნალში და ენიჭება ინვენტარის ნომერი. სასწავლო რესურსი მინიჭებული ინვენტარის ნომრით აისახება ელექტრონულ თემატურ კატალოგში, რომელიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის კომპიუტერში. სასწავლო რესურსი დაჯგუფებულია კატალოგში თემატიკის მიხედვით. ელექტრონული კატალოგი ასევე განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ელექტრონული კატალოგის განახლება ხდება ყოველი ახალი წიგნის დამატების შემდეგ. ვებგვერდზე განთავსებულ ელექტრონულ კატალოგს მართავს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვთ ბიბლიოთეკაში გაწევრიანებულ პირებს. მატერიალური რესურსი, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. მკითხველს ასეთი რესურსით შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო ოთახში. მკითხველს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეუძლია ბიბლიოთეკიდან გაიტანოს რესურსი, რომელიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება რამდენიმე ეგზემპლარის სახით. ბიბლიოთეკიდან მატერიალური რესურსი გაიცემა ხუთი სამუშაო დღის ვადით. კოლეჯის ბიბლიოთეკარს აქვს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი (ბიბლიოთეკარის) სერტიფიკატი. ბიბლიოთეკაში მატერიალური ფორმით ივსება ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურის საინვენტარო აღრიცხვის ჟურნალი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სტუდენტებთან/კურდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სტუდენტებმა იციან ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სტატისტიკურად, ბიბლიოთეკით ძირითადად სარგებლობენ მასწავლებლები. ლიტერატურა სტუდენტებს უზიარდებათ ელექტრონული ფორმით „ფეისბუქ“ ჯგუფების საშუალებით. **ამის გათვალისწინებით, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და ინდიკატორის 5.1.1.11 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- იჯარის ხელშეკრულება;
- შენობა-ნაგებობის ფუნქციური განაწილება;
- შინაგანაწესი;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშები;
- უსაფრთხოების დებულება;
- შრომის უსაფრთხოების კომპანიის ხელშეკრულება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პერსონალის კმაყოფილების დონისა და საჭიროებათა კვლევის ანგარიშები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ხარისხის მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმა;
- ბიბლიოთეკის მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- ბიბლიოთეკის ელექტ.კატალოგი;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- მოძრავი ქონების, მათ შორის სასწავლო რესურსის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ზედნადებები, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები);
- ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინვენტარიზაციის აქტი;
- პროფესიულ სტუდენტებთან/ დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები - დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N 270 (19.06.2024) შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, რომლის მიხედვით დგინდება, რომ ქ. მარნეულში 26 მაისის 80 ნომერში მდებარე შენობის (ს/კ: 83.02.18.314) მეორე სართული ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა ქ. მარნეულში 26 მაისის 80 ნომერში მდებარე შპს "მარნეულის კოლეჯის" შენობის მდგრადობის შესახებ, რაც ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო პროცესისათვის განკუთვნილი შენობა მდგრადი და უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის (დასკვნა N2020-55, 14.09.2020, შპს შენობა-ნაგებობათა კვლევისა და ექსპერტიზის ცენტრი). ავტორიზაციის ექსპერტებმა დაათვალიერეს ვიზუალურადაც ნაგებობა და ადასტურებენ, რომ შენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

აღჭურვილი იყო სახანძრო უსაფრთხოების სისტემით. **ამის გათვალისწინებით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები და ინდიკატორის 5.1.2.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები - „უსაფრთხოების დებულების“ მე-5 თავით განსაზღვრულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის პროცედურები და პასუხისმგებელი პირები. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს დირექტორის მიერ დამტკიცებული (საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებული) პირი. მისი არყოფნის შემთხვევაში კი კოლეჯის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალი, რომლის გადამზადების ვალდებულებასაც იღებს კოლეჯი. სტუდენტებისა და პერსონალისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება უახლოეს სამედიცინო დაწესებულებასთან, კერძოდ კლინიკა მედ X-თან, რომელიც მდებარეობს იმავე შენობაში. შენობაში არსებობს 2 ცალი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ყუთი, სადაც ინახება პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო საშუალებები. პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებების შენახვა/მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირია სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში უფლებამოსილი პირი, რომელიც განსაზღვრულია დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმით. პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებების ხარჯვა აღირიცხება სამუშაო სივრცეში პირველადი გადაუდებელი დახმარების/უბედური შემთხვევების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების ჟურნალში, რომელსაც ავსებს და მართავს სამედიცინო უზრუნველყოფის შესაბამისად პასუხისმგებელი პირი. სამეცადინეო/სამუშაო საათიდან სტუდენტის ან პერსონალის გათავისუფლების შემთხვევაში პირველადი გადაუდებელი დახმარების გამწევი პირი ვალდებულია გააკეთოს ჩანაწერი სამუშაო სივრცეში პირველადი გადაუდებელი დახმარების/უბედური შემთხვევების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების ჟურნალში. კოლეჯის სტუდენტები და თანამშრომლები ინფორმირებულები არიან პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმის შესახებ. ასევე დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია გამაფრთხილებელი ნიშნები პირველადი დახმარების ყუთების ადგილმდებარეობის შესახებ. პირველადი დახმარების ყუთებში არის სტანდარტული, პირველადი დახმარების აღმოჩენის ნივთები (ვადიანი). **შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და ინდიკატორის 5.1.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი - დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (2022 წლის 19 ივლისის MIA 2 22 01982148 წერილი) შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელშიც იდენტიფიცირებული აქვს რისკები და შემუშავებული აქვს მათი მართვის მექანიზმი. ჰყავს დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შტაბი (ცვლილება: 01.08.2025, № 00014442) მუდმივმოქმედი წევრებით. დოკუმენტი არეგულირებს საგანგებო სიტუაციების დროს განსახორციელებელი ქმედებების თანმიმდევრულობას, ასევე საევაკუაციო გეგმით სარგებლობის წესს. **ინდიკატორის 5.1.2.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას - დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრებზე დამონტაჟებულია ვიდეოთვალები და მიმდინარეობს 24 საათიანი ვიდეო მონიტორინგი. ვიდეო მონიტორინგის მსვლელობის თაობაზე დაწესებულებას გამოკრული აქვს გამაფრთხილებელი ნიშნები. დაწესებულებას საშტატო განრიგით გათვალისწინებული აქვს დაცვის თანამშრომლის პოზიცია, განსაზღვრული ჰყავს ვიდეოკონტროლის „ცოცხალ“ რეჟიმში ნახვისა და ჩანაწერების ნახვაზე უფლებამოსილი პირები. ვიდეოთვალების გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიის სპეციალისტი. ვიდეოთვალებს აქვთ ჩანაწერების შენახვის ფუნქცია. კოლეჯის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვის სხვა მექანიზმები და წესები დაწესებულებას გაწერილი აქვს შინაგანაწესში. **ინდიკატორის 5.1.2.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- უსაფრთხოების დებულება;
- დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ;
- დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ;
- ხელშეკრულება კლინიკასთან სამედიცინო მომსახურებაზე;
- პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელ პირთან შეთანხმება;
- პერსონალის პირად საქმეში არსებული პირველადი გადაუდებელი დახმარების სერტიფიკატები;
- პირველადი გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო გეგმა და ანგარიშები;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ჟურნალი;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა/შეთანხმების წერილი;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და სამკურნალო საშუალებების დათვალიერების შედეგები;
- ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

- შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს - დაწესებულების შენობები აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. შენობაში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე ქსელური ინტერნეტი, რაც დადასტურდება ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებითა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინტერნეტის საფასურის გადახდის დოკუმენტაციით. დაწესებულებაში ადმინისტრაციული პერსონალისთვის და სასწავლო პროცესებისთვის გამოყოფილია პერსონალური კომპიუტერები, სასწავლო მიზნებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ნოუთბუქებიც. თითოეული მათგანი უზრუნველყოფილია უწყვეტ ინტერნეტთან კავშირით და აქვს დანიშნულების შესაბამისი პარამეტრები. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.**

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას - შპს მარნეულის კოლეჯის უსაფრთხოების დებულებით (თავი 9. ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოება) განსაზღვრულია საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციული უსაფრთხოების, ინფორმაციული აქტივების მართვის, თანამშრომელთა უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების იდენტიფიცირების, კომუნიკაციებისა და ოპერაციების მართვის, წვდომის კონტროლის მართვისა და კანონმდებლობასთან თავსებადობის საკითხებს. ამავე დებულებით გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის სარეზერვო ასლების ელექტრონულ საცავში შენახვა, რაც უზრუნველყოფს კოლეჯის დოკუმენტაციისა და ინფორმაციის დაცულობას. ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი არის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, რომელიც სისტემატურად ახორციელებს სასწავლო და ადმინისტრაციულ აუდიტორიებში ტექნიკის პროგრამულ შემოწმებას. ინფორმაციული ტექნოლოგიის სპეციალისტის სამუშაო გეგმით გათვალისწინებულია IT რისკები და მისი შემცირების/მონიტორინგის ღონისძიებები. დაწესებულება ახლო მომავალში გეგმავს შიდა სერვერზე გადასვლასაც, რაც გაზრდის IT უსაფრთხოებას. ახდენს რისკების შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში ადეკვატურად რეაგირებს ამ რისკების თავიდან აცილებაზე და ახორციელებს საპრევენციო ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა პროგრამების განახლება, ანტივირუსების განახლება, სარეზერვო ასლების შექმნა და სხვა. დაწესებულება ქსელის მართვაში იყენებს ქსელის მონიტორინგის სისტემებს, ქსელისა და სისტემების უსაფრთხოების მართვის სისტემას, რომელიც მოიცავს ანტივირუსს, აპლიკაციების კონტროლს და სხვ. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის 5.2.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.**

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას - პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით დაწესებულება თანამშრომლობს კომპანიასთან შპს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის გუნდი“ (ს/კ: 402303093), 2024 წლის 2 ოქტომბრის ოფიცრის მომსახურების ხელშეკრულება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა მართვის წესი“ (დამტკიცებული შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 19

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მაისის N7408 ბრძანებით). წესი გამომდინარეობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონიდან. დაწესებულებას შემუშავებული აქვს თანხმობის ფორმები ფოტო/ვიდეო დამუშავებაზე როგორც დასაქმებულებთან, ისე სტუდენტებთან. **წარმოდგენილი რეგულაციების შესწავლის შედეგად ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და გამომდინარე აქედან, ინდიკატორის 5.2.1.3 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.**

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას - დაწესებულების გააჩნია შესაბამისი მექანიზმები, რომელიც აფასებს როგორც IT ინფრასტრუქტურის, ისე პროცესების ეფექტიანობას და ახორციელებს მის გაუმჯობესებას. ელექტრონული სისტემების დანერგვა და განვითარების მექანიზმების თანახმად საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების პერიოდულ მონიტორინგს, ინციდენტების შეგროვებას, მათზე რეაგირების მექანიზმების შემუშავებას. იდენტიფიცირებული საჭიროების განხილვა-ანალიზში მონაწილეობენ სისტემის მომსახურებაში ან/და გამოყენებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტის მიერ რეგულარულად ხდება კომპიუტერული ტექნიკის როგორც ფიზიკური, ასევე პროგრამული შემოწმება. შემოწმებების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების შესახებ ინფორმაცია რეგულარულად მიეწოდება ადმინისტრაციულ დირექტორს. ინფორმაციული ტექნოლოგიების, ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების/დანერგვის საჭიროების იდენტიფიცირება ხდება პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე. კოლეჯს გააჩნია ელექტრონული პლატფორმების გამოყენებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა, რაც ხელს უწყობს სასწავლო/სამუშაო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებას, რისთვისაც დაწესებულება აუმჯობესებს IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას და ახალი სისტემების დაგეგმვისა და დანერგვის პროცესს. **ამის გათვალისწინებით, ინდიკატორის 5.2.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება - კოლეჯს დებულების (დამტკიცებული შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N6599 ბრძანებით) მე-7 მუხლით განსაზღვრული აქვს მოძრავი ქონების მართვის საკითხები, რომელშიც ინტეგრირებულია ჩანაწერები IT ტექნოლოგიების შესახებ. პროფესიული სწავლებისთვის და მართვისთვის განკუთვნილ ფართში კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომლებიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერული ტექნიკით. დაწესებულებაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

მისი პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისათვის, საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ ნებისმიერ სასწავლო და სამუშაო დროს ისარგებლონ ინფორმაციული ტექნოლოგიის სპეციალისტის მომსახურებითა და კონსულტაციით. კოლეჯის ყველა კომპიუტერს აქვს წვდომა ინტერნეტთან. სასწავლო აუდიტორიებში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი კომპიუტერები, რომლითაც სარგებლობენ პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები, სადაც მათთვის ხელმისაწვდომია პრინტერი, სკანერი, ინტერნეტი, რომლით სარგებლობაც შესაძლებელია შეუფერხებლად, პაროლის გარეშე. **შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება და ინდიკატორის 5.2.1.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით - დაწესებულების პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდებს. პერსონალთან და სტუდენტებთან კომუნიკაციისას გამოიყენება ელექტრონული ფოსტების მისამართები. თანამშრომლებთან, სტუდენტებთან კომუნიკაციას დაწესებულება ახორციელებს სატელეფონო საუბრებითაც. როგორც ინტერვიუდან გამოჩნდა ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს სოციალური ქსელებით კომუნიკაცია, რაც ყველაზე მეტად კომფორტული და მოსახერხებელია სტუდენტებისთვის, მიუხედავად ამისა, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომუნიკაციის სხვა მეთოდებიც, მაგალითად სატელეფონო ან/და პირდაპირი კომუნიკაცია. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კომუნიკაციების მართვის მექანიზმიც (დებულება, მე-10 მუხლი). **ამგვარად, ინდიკატორის 5.2.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დებულება;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- უსაფრთხოების დებულება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომპანიასთან ხელშეკრულება;
- პერსონალურ მონაცემთა მართვის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- ინფორმაციული ტექნოლოგიის სპეციალისტის სამუშაო გეგმა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);
- IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი;
- პსდ-ს სერვისებისათვის გამიზნული, ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის არსებობისა და პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი;
- სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი - კოლეჯში მოქმედებს „საქმისწარმოების წესი“ (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N6599 ბრძანებით), რომლის მიხედვით საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი აწარმოებს საქმიანობას, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის WWW.EFLOW.EMIS.GE-ს საშუალებით. აღნიშნულის საფუძველზე ჩატარდა გასაუბრება პასუხისმგებელ პირთან, ამასთანავე შემოწმდა დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“, რომლის საფუძველზეც ექსპერტების მიერ დასტურდება, რომ დაწესებულებაში საქმისწარმოება აგებულია ცენტრალიზაციის პრინციპით და შეესაბამება ინდიკატორით **5.2.2.1 განსაზღვრულ მოთხოვნებს, ასევე დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. შესაბამისად, ინდიკატორის 5.2.2.2მ ოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის - კოლეჯში მოქმედებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა WWW.EFLOW.EMIS.GE. ყველა თანამშრომელი ჩართულია ელექტრონულ სისტემაში. დაწესებულებას ელ. დოკუმენტბრუნვის სისტემა სრულად აქვს დანერგილი, იგი ამ სისტემას იყენებს სრულად შიდა და გასული კორესპონდენციების, ასევე ბრძანებების, ცნობებისა და სხვა სამართლებრივი აქტების მართვის მიზნით. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.2.2.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას - დაწესებულების შიდა რეგულაციით რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი/ადამიანური რესურსების მმართველი, რომელიც ახორციელებს რეესტრის წარმოების წესით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტანა-განახლებას. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების გვერდი, რეესტრში ასახული ინფორმაციის სისრულე. რეესტრში ასახულია დაწესებულების მატერიალური-ტექნიკური ბაზის, პერსონალის (ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირები), პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია სრულყოფილია. ასევე სრულყოფილადაა ინფორმაცია ასახული კურსდამთავრებულებთან დაკავშირებითაც, სავალდებულო ინფორმაციასთან ერთად ატვირთულია პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. ასევე სრულყოფილადაა შევსებული დიპლომის დანართის ველებიც. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლის შესახებ შევსებული ინფორმაციაც, სადაც პასუხისმგებელ პირს სრულყოფილად აქვს ინფორმაცია ასახული მასწავლებლების კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილებისა და სხვა მიღწევების შესახებ. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ელექტრონული რეესტრში განთავსებული ინფორმაცია შეფასდა დადებითად, პასუხისმგებლ პირს სრულყოფილად აქვს ატვირთული ინფორმაცია სტუდენტების/კურსდამთავრებულებისა და მასწავლებლების შესახებ, რაც **უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით არსებობას და ინდიკატორის 5.2.2.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან - კოლეჯი მუდმივ მოქმედ რეჟიმში, დროულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას ზემდგომ ორგანოებს. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროში წლის განმავლობაში, ეტაპობრივად ხდება ინფორმირება ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება კოლეჯის ძირითად საქმიანობას. შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება უკუკავშირი, ინფორმაციის გაცვლა, განაცხადების შეტანა, რეკომენდაციების მიღება და ა. შ. იმ მნიშვნელოვან ზემდგომ ორგანოებთან, როგორიცაა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარების ცენტრი (მასწავლებელთა სახლი), საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო და ა. შ. აღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება ზემდგომ ორგანოებს დროულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას, შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება დროული უკუკავშირი და შესაბამისი საქმისწარმოება. **ამის გათვალისწინებით, ინდიკატორის 5.2.2.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საქმისწარმოების წესი;
- კოლეჯის დებულება;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (პროგრამული უზრუნველყოფა);
- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია, გაგზავნილი ანგარიშები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს - დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ გვერდი (https://mc.edu.ge/ge) და სოციალური ქსელის ანგარიშები (https://www.facebook.com/marneulicollege, https://www.instagram.com/marneulicollege/). ორივე შემთხვევაში დაწესებულებას მითითებული აქვს საკომუნიკაციო რეკვიზიტები (საკონტაქტო ტელეფონი, ელ ფოსტა). დაწესებულების ვებ-გვერდი და „ფეისბუქ" გვერდები ასრულებენ საინფორმაციო ფუნქციას. დაწესებულება გონივრულ ვადაში განათავსებს სიახლეებს საინფორმაციო პლატფორმებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაინტერესებული პირებისთვის. მიმდინარე სიახლეები ძირითადად თავსდება სოციალურ ქსელში. გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა ჰოსტინგისა და დომენის მომსახურების ხელშეკრულება, წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფს არ შექმნია პრობლემა ოფიციალური ვებ-გვერდით სარგებლობაში. სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ვებ-გვერდი ხელმისაწვდომია მათთვის და არ ექმნებათ პრობლემა მის გახსნასა/საჭირო ინფორმაციის მოძიებაში. ვებ-გვერდის გამართულად ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება, სიახლეების განთავსებასა და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე კი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. **ინდიკატორი 5.2.3.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას - დაწესებულებას მისიით განსაზღვრული აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი, ასევე დაწესებულება ფუნქციონირებს ისეთ რეგიონში, რომელიც ძირითადად დასახლებულია ეთნიკური უმცირესობებით, შესაბამისად დაწესებულების ვებ-გვერდი ქართულის გარდა ფუნქციონირებს ინგლისურ და რუსულ ენებზე (https://mc.edu.ge/ru; https://mc.edu.ge/en). **ინდიკატორის 5.2.3.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას - დაწესებულებაში ფუნქციონირებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის პოზიცია, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებასთან, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციასა და დაწესებულების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებაზე. დაწესებულებას დებულების მე-11 მუხლით განსაზღვრული აქვს ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის გვერდების ადმინისტრირების წესი. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ფუნქციას წარმოადგენს კოლეჯსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის კოლეჯის ყველა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების გზით კომუნიკაციის წარმოება, კორესპონდენციების შესაბამისად პასუხისმგებელ პირებთან გადამისამართება, კოლეჯის ექსტრაკურიკულური აქტივობების ორგანიზება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა დაწესებულების მიერ ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. განთავსებული ინფორმაცია სანდოა და არ არის შეცდომაში შემყვანი. **აღნიშნულიდან გამომდინარე, პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ინდიკატორის 5.2.3.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----
----

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ - კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახლებული 2024 წლის კატალოგი, რომელიც მოიცავს პროგრამების დასახელებას, სხვადასხვა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციების ჩამონათვალს, პროგრამის მიზნებსა და დაშვების წინაპირობებს, ინფორმაციას პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობაზე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს, პროგრამის განხორციელების ადგილს, ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელისა და პარტნიორი ორგანიზაციების /პრაქტიკის ობიექტების შესახებ. კატალოგი გამდიდრებულია ფოტოსურათებით, სტუდენტების მონაწილეობით შესრულებული აქტივობების ამსახველი ინფორმაციით. კატალოგი მოიცავს სრულ ინფორმაციას კოლეჯის, პროგრამებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.2.3.4 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.**

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად - დაწესებულების ვებ-გვერდზე გეგმიურად ყოველწლიურად ახლდება საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. კატალოგები ახლდება ახალი პროგრამების დამატებისა და/ან არსებულ პროგრამებში ცვლილებების ასახვის შემთხვევაშიც, რაც ასევე დადასტურდა გასაუბრებისას. **აქედან გამომდინარე, ინდიკატორის 5.2.3.5 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად - დაწესებულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. კოლეჯის წარმომადგენელთა განმარტებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულება დაინტერესებულ მხარეებთან/საზოგადოებასთან კომუნიკაციის, უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების მიზნით სარგებლობს ოფიციალური ელექტრონული ფოსტით, რომელიც მითითებულია ოფიციალურ ვებ-გვერდზე. გარდა ამისა, აღნიშნული უკუკავშირის მისაღებად, შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს სოციალური ქსელიდან, დახურული ჯგუფებიდან, გამოკითხვებიდან მიღებული ინფორმაცია. კოლეჯის საკომუნიკაციო არხებიდან, როგორც ოფიციალური სოციალური ქსელიდან, ისე ელექტრონული ფორმის ტიპის გამოკითხვებიდან შემოსულ ინფორმაციაზე ხდება სათანადო რეაგირება, ხოლო ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები გამოიყენება საქმიანობის შეფასებისა და შემდგომი განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებათა დაგეგმვისას. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.2.3.6 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- კოლეჯის ვებ. გვერდი: https://www.mc.edu.ge/ge;
- კოლეჯის სოციალური ქსელის გვერდები (ფეისბუქ, ინსტაგრამ და ტიკ-ტოკ);
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- კოლეჯის დებულება;
- კოლეჯის პერსონალის მართვის წესი;
- კატალოგი: https://mc.edu.ge/storage/documents/1745558695.pdf;
- კატალოგების არქივი: https://www.mc.edu.ge/ge/media/documents/archive-of-catalogs;
- ვებგვერდზე მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი;
- ვებ-გვერდსა და სოც. ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცის, სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგი;
- ვებ-გვერდზე განთავსებული პსდ-ს მისიის, საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (არსებობის შემთხვევაში), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების -შემოწმების შედეგი;
- ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის, დაწესებულების წლიური ანგარიშების, პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობების და სხვ. განთავსებული მონაცემების შემოწმების შედეგი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით).

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ბიუჯეტი, რომლის ანალიზის მიხედვით დასტურდება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. აღნიშნულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ამ გეგმების ამოცანებისა და პროფესიული პროგრამების განხორციელება-განვითარებისა, თუ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი დაფინანსება. კოლეჯის პროგრამების განხორციელება ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსებით. ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისგან. ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი მოიცავს ინფორმაციას შრომის ანაზღაურების, იჯარისა და კომუნალური მომსახურების ხარჯების შესახებ. დაწესებულებაში სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართულნი არიან დაწესებულების საფინანსო მიმართულების თანამშრომლები. პროფესიული განათლების განვითარებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმები. აღნიშნულ გეგმებში დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის საჭირო აქტივობებზე, მითითებულია კონკრეტული აქტივობისთვის შესრულებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ინტერვიუები კოლეჯის ხელმძღვანელობასა და ფინანსურ მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, მათ დაადასტურეს ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილი თანხების საკმარისობა დაგეგმილი აქტივობებისა და სამუშაოების წარმართვისთვის. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.3.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით - დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყველა ძირითადი კომპონენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის საოპერაციო ხარჯები, რაც გარდა დოკუმენტური მტკიცებულებებისა, დასტურდება პერსონალთან და კოლეჯის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუებით. ასევე წლების მიხედვით საოპერაციო ხარჯები აღინიშნება მზარდი დინამიკით, რაც დადებითად მეტყველებს პროგრამების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფაზე. **შესაბამისად ინდიკატორის 5.3.1.2 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას - საანგარიშო წლის დასასრულს დაწესებულების ბუღალტრის მიერ მზადდება ყოველწლიურად საპროგნოზო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში სამოქმედო წლის პერიოდში ფინანსური ბრუნვის და დაბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე. დაწესებულება ამ ანგარიშებს იყენებს საკუთარი საქმიანობის ფინანსური მდგრადობის ანალიზისა და შეფასებისთვის. გარდა კანონმდებლობით დადგენილი ანგარიშებისა, დაწესებულება დაინტერესებული მხარეებისთვის საკუთარ ვებ-გვერდზეც ასაჯაროებს ბიუჯეტის შესრულების სტატისტიკურ მონაცემებს. **შესაბამისად, ინდიკატორის 5.3.1.3 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე - დაწესებულება ახორციელებს დაფინანსებისა და ხარჯვის დინამიკის ანალიზს. დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკით, წლის ბოლოს კეთდება მომავალი წლის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის დროსაც ითვალისწინებს ანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემებს, ახდენს მომდევნო წლის/წლების ფინანსური გეგმების კორექტირებასა და სამოქმედო გეგმების ფორმირებას. დაწესებულება კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების გათვალისწინებით, ანგარიშგებას ახდენს როგორც დამფუძნებელთან, ისე მაკონტროლებელ ორგანოებთან. დაინტერესებული მხარეებისთვის, სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშები, გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე. ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების პერსონალთან გასაუბრება, განხილული იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დაფინანსების, ხარჯებისა და შემოსავლების დინამიკა, **შესაბამისად, დადგინდა, რომ დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე და ინდიკატორის 5.3.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ბუღალტრის წლიური ანგარიშები;
- ფაქტობრივი ბიუჯეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

- სამოქმედო გეგმის შეფასების წლიური ანგარიშები;
- დაფინანსების დინამიკა;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 10 სექტემბრის N35 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150 (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას - საექთნო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, რომლის განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია რეგიონული საჭიროებებით. ქვემო ქართლის რეგიონში სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან მუდმივად იზრდება მოთხოვნა კვალიფიციურ ექთნებსა და ექთნის თანაშემწეებზე, რაც დაკავშირებულია როგორც ახალი მიმართულებების დამატებასთან, ისე თანამედროვე სტანდარტების დანერგვასთან. აღნიშნული დასაბუთება დეტალურად ასახულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილში. პროგრამის განხორციელება კოლეჯის მისიის შესაბამისად უზრუნველყოფს რეგიონში შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, შესაბამისი კომპეტენციების მქონე კადრის მომზადებას და მათი დასაქმების ხელშეწყობას. გარდა ამისა, პროგრამა სრულად შეესაბამება კოლეჯის სტრატეგიულ გეგმას: სტუდენტებს შეთავაზებული აქვთ სერვისები, რომლებიც მორგებულია მათ ინტერესებს, ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებას და ზრდის დასაქმების შესაძლებლობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - კოლეჯში არსებული დირექტორის მიერ დამტკიცებული საექთნო განათლების პროგრამით გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება და ასევე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატრებული გამოცდები საბუნებისმეტყველო საგნებში რომელთა დაკმაყოფილებაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა შერჩევას, ვინც დიდი ალბათობით დაძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებს. ხოლო აპლიკანტები, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართულ ენის კომპეტენცია და შერჩევის პროცესს გადიან არაქართულ ენაზე, ირიცხებიან კოლეჯში ქართული ენის მოდულებზე და მხოლოდ დადასტურების შემთხვევაში, სწავლას აგრძელებენ არჩეულ პროგრამაზე.
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში, გაწერილი აქვს სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული და დამტკიცებულია არსებული რესურსების შესაბამისად მისაღებ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა საექთნო პროგრამაზე.
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - სასწავლო დაწესებულების ბაზაზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სრულად იძლევა პროგრამის სწავლის შედეგის უზრუნველყოფის შესაძლებლობას, კერძოდ

   საერთო მონაცემები

   პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა **A გარემოს** მიხედვით - 200 ადგილი ერთ ცვლაში, 400 ადგილი ორ ცვალში;

   1. აუდიტორია N201 (30 ადგილი)
   2. აუდიტორია N202 (20 ადგილი)
   3. აუდიტორია N211 (20 ადგილი)
   4. აუდიტორია N212 (20 ადგილი)
   5. აუდიტორია N214 (20 ადგილი)
   6. აუდიტორია N216 (20 ადგილი)
   7. აუდიტორია N221 (30 ადგილი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





8. აუდიტორია N220 (20 ადგილი)

9. აუდიტორია N226 (20 ადგილი)

პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა B გარემოს მიხედვით - 56 ადგილი ერთ ცვლაში; 112 ადგილი ორ ცვლაში

1. აუდიტორია N205 (16 ადგილი)

2. აუდიტორია N207 (16 ადგილი)

3. აუდიტორია N222 (24 ადგილი)

პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა C გარემოს მიხედვით

C გარემოს (საექთნო კაბინეტი) მიხედვით - 24 ადგილი ერთ ცვალში; 48 ადგილი ორ ცვლაში;

აქედან, საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილია:

2 A გარემოში - აუდიტორია N201 და N203 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 50;

2 B გარემოში - აუდიტორია N 205 და N207 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 32;

C გარემო - აუდიტორია N 202 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 24;

კლინიკური პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციები, რომლებსაც წარმოადგენს:

შპს „ავერსის კლინიკა“

შპს „ფსიქიატრიული ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

შპს „ჯეო ჰოსპიტალი“

შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“

რომელებსაც ერთდროულად შეუძლიათ 110 სტუდენტის გატარება თვეში.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - საექთნო განათლების პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდულები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამა კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით.
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - საექთნო განათლებას შენარჩუნებული აქვს ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული სახელი, იგი შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - საექთნო განათლების პროგრამა შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სასწავლო პროცესის წესი (მუხლი-6; მუხლი - 9;);
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (N22033, 25.12.2024);
- საექთნო განათლების პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- მარნეულის კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი (მუხლი.10);
- დირექტორის ბრძანება დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა საერთო კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ. (N14106, 30.07.2025);
- საექთნო განათლების პროგრამის მატერიალური რესურსი და აღჭურვილობა (პროგრამის დანართი N42);
- ხარისხის სამსახურის სასწავლო და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის შეფასების მონიტორინგის აქტი (N39; 14-06-2024);
- ხარისხის სამსახურის სასწავლო და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის შეფასების მონიტორინგის აქტი (N6; 31.01.2025);
- პროგრამის ხელმძღვანელის საექთნო განათლების პროგრამის რესურსის შემოწმების აქტი N51 (15-10-24 წ);
- პროგრამის ხელმძღვანელის საექთნო განათლების პროგრამის რესურსის შემოწმების აქტი(N54, 18.06.2025).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - საექთნო განათლების პროგრამაზე 90 კრედიტი ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე და 90 კრედიტი - პრაქტიკის ობიექტებზეც. პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი პრაქტიკის ობიექტებზე ითვალისწინებს შესაბამისი რესურსის გამოყენებას, რაც გათვალისწინებული და ასახულია კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში, გარდა ამისა პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტებისათვის პროგრამით განსაზღვრული რესურსის და მომსახურების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

ხელმისაწვდომობის დადგენის მიზნით კოლეჯში 5 წლის მანძილზე სისტემატიურად ატარებს პრაქტიკის კვლევას (კვლევის ანგარიში N10085; 07/10/2023) (პრაქტიკის კვლევის ანგარიში N14635; 07/10/2024). ხოლო რაც შეეხება შინ მოვლისა და ავადმოვლის მოდულების საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, რომელებიც ხორციელდება კოლეჯში არსებულ C გარემოში, როგორც დოკუმენტაციის, ისე ადგილზე დათვალიერებით დასტურდება მათი საკმარისობა აღნიშნული მოდულების განხორციელებისა და შედეგის მიღწევისთვის. გარდა ამისა, როგორც ხელშეკრულებიდან ირკვევა, კოლეჯს საექთნო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული შემდეგ დაწესებულებებთან. კლინიკური პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციები, რომლებსაც წარმოადგენს:

- შპს „ავერსის კლინიკა“
- შპს „ფსიქიატრიული ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
- შპს „ჯეო ჰოსპიტალი“
- შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“
- დარგის ექსპერტმა ვიზიტი განახორციელა შპს „ავერსის კლინიკა“ - სა და შპს „ჯეო ჰოსპიტალი“- ში, სადაც გაესაუბრა, როგორც პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს, ისე სტუდენტებს. გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ პრაქტიკის ობიექტებზე მიმდინარე პროცესები და იქ არსებული მატერიალური რესურსები უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა, მოდულის შესაბამისი კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; კერძოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საექთნო საქმის პროგრამის ზოგად, საბაზისო მეცნიერებების, თეორიული სწავლება საექთნო საქმეში, პრაქტიკული სწავლების მოდულებს ახორციელებს 30 პროფესიული მასწავლებელი.
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - პროგრამის მოთხოვნის სპეციფიკის გათვალისწინებით საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ მასწავლებელთა დარგობრივი ცოდნა და სამუშაო გამოცდილება დასტურდება მათ პირად საქმეში არსებული დოკუმენტებით. პროფესიულ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია კოლეჯის პერსონალის მართვის წესით, რომელიც ითვალისწინებს განათლების დადასტურებას ან დარგში მუშაობის გამოცდილებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამას კოლეჯის პერსონალის მართვის წესით გათვალიწინებული მოთხოვნის შესაბამისად, ხელმძღვანელობს დარგის სპეციალისტი, რომლის სამუშაო გამოცდილება დასტურდება მის პირად საქმეში განთავსებული დოკუმენტაციით.
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში - კოლეჯში საგანმანათლებლო რესურსის კატალოგის და საბიბლიოთეკო რესურსის ელექტრონული და მატერიალური ვერსიების ხელმისაწვდომობას ითვალისწინებს ბიბლიოთეკის მართვის წესი. დაწესებულების ვებ გვერდზე არსებული ელექტრონული ბიბლიოთეკისა და კოლეჯში არსებულ ბიბლიოთეკაში მატერიალურად არსებულის სასწავლო რესურსი აკმაყოფილებს საექთნო განათლების პროგრამის საჭიროებებს.
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - მიმდინარე სამი სამოქმედო წლის განმავლობაში საექთნო განათლების პროგრამას არ ჰყოლია სსსმ სტუდენტი, რომელსაც სჭირდებოდა სასწავლო რესურსების ადაპტირება და შესაბამისად არც გამოკვეთილა სასწავლო რესურსის ადაპტირების საჭიროება, თუმცა კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს სტუდენტისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ის ადაპტირებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსით საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - საექთნო განათლების პროგრამის 2023-2024 წლის ფაქტობრივი ბიუჯეტი და საექთნო განათლების პროგრამის 2024-2025 წლის საპროგნოზო ბიუჯეტის თანახმად პროგრამა განხორციელდა სტაბილურად, ფინანსური დანაკლისის გარეშე და შემოსავლებმა სრულიად გადაფარა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა ხარჯი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამის რესურსი და აღჭურვილობა (პროგრამის დანართი N42)
- ხარისხის სამსახურის სასწავლო და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის შეფასება (N39; 14-06-2024);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

- ხარისხის სამსახურის სასწავლო და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის შეფასება (N6; 31.01.2025);
- პროგრამის ხელმძღვანელის საექთნო განათლების პროგრამის რესურსის შემოწმების აქტი N51 (15-10-24 წ);
- პროგრამის ხელმძღვანელის საექთნო განათლების პროგრამის რესურსის შემოწმების აქტი(N54, 18.06.2025)
- ადმინისტარციული დირექტორის სასწავლო და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის შეფასების რეაგირება (N19560 22.11.2024);
- ადმინისტარციული დირექტორის სასწავლო და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის შეფასების რეაგირება (N9664 23.06.2025)
- საექთნო განათლების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი - (პროგრამის დანართი N41);
- 2024-2025 წლის ტარიფიკაციის დოკუმენტი 1 N - 20867
- 2024-2025 წლის ტარიფიკაციის დოკუმენტი 2 N – 20867
- საექთნო განათლების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი (პროგრამის დანართი N41)
- მარნეულის კოლეჯის პერსონალის მართვის წესი
- ტრენინგების სტატისტიკა
- სასწავლო პროცესის მენეჯერის მიმდინარე პროცესების შესახებ ანგარიში - საექთნო განათლების პროგრამა N74 01.08.2025
- საექთნო განათლების პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე;
- მარნეულის კოლეჯის ბიბლიოთეკის მართვა;
- საგანმანათლებლო რესურსის კატალოგი https://www.mc.edu.ge/ge/media/documents/library-books-catralog
- ელექტრონული სახელმძღვანელოები https://mc.edu.ge/ge/media/documents/ebooks
- მარნეულის კოლეჯის პერსონალის კმაყოფილების დონისა და საჭიროებების კვლევის ანგარიში (N678; 26/01/2024);
- მარნეულის კოლეჯის პერსონალის კმაყოფილების დონისა და საჭიროებების კვლევის ანგარიში (N1520; 31.01.2025);
- მარნეულის კოლეჯის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში (N10737; 27/08/2024);
- მარნეულის კოლეჯის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში (N12902, 17.07.2025)
- საექთნო განათლების პროგრამის ფაქტობრივი ბიუჯეტი 2023-2024 - (ბუღალტრის 2024 წლის 22 ნომებრის N19613 ანგარიში)
- საექთნო განათლების პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი 2024-2025 - (N19131 20.11.2024).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ - კოლეჯს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული აქვს პროფესიული პროგრამის კომპლექსური შეფასება პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ, რომლის ფარგლებშიც განიხილება, როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივ მონაცემები. აღნიშნული პროცესი დეტალურადაა ასახული დოკუმენტებში: კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი; დაწესებულების მიერ, ექსპერტებისთვის წარმოდგენილ დოკუმენტების: დამსაქმებლის კვლევის ანგარიში (N21648, 18.12.2024), პროფორიენტაციისა და პრაქტიკის მენეჯერის კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი და საექთნო განათლების პროგრამის შეფასების ფორმა N23, 23-04-2024, რომელთა შესწავლის შემდეგ ნათლად ჩანს, რომ პსდ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად - წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების თანახმად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება დინამიური და მოქმედი პროცესია და დაწესებულების ხელმძღვანელობა ყოველთვის ითვალისწინებს პროგრამით გაუმჯობესებისთვის გამოთქმულ არგუმენტირებულ მოსაზრებას, რაც გამყარებულია ხოლმე პროგრამის შეფასების ფორმით.

პროგრამის ხარისხის შეფასების მიზნით დაწესებულება მიმართავს საკვალიფიკაციო გამოცდების სავალდებულო წესით განხორციელებას. საექთნო განათლების პროგრამაზე საკვალიფიკაციო გამოცდის განხორციელების სავალდებულოობა განსაზღვრულია უშუალოდ პროგრამის სტანდარტით. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ 416-ე დადგენილების მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, „საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა“. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნულ დადგენილებაში რამდენიმეჯერ შევიდა ცვლილება, ამის ფონზე, დაწესებულებას საექთნო განათლების პროგრამის სტუდენტებისთვის შუალედური შეფასება ჯერ არ განუხორციელებიათ, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდებოდა, რომ იგი ემზადებოდა შუალედური შეფასებს განსახორციელებლად, დადგენილებაში შესაბამისი ცვლილების (საკვალიფიკაციო გამოცდების გადავადების შესახებ) ასახვამდე. ამ ეტაპზე, დაწესებულებას კანონმდებლობის ფარგლებში სავალდებულოდ აქვს განსახორციელებელი მხოლოდ საკვალიფიკაციო გამოცდა, შუალედურ გამოცდას პროგრამის სტანდარტი უშუალოდ არ ითვალისწინებს.

მიუხედავად ამისა, ექსპერტების მიდგომა იყო ასეთი, რომ საკვალიფიკაციო გამოცდასთან ერთად, შუალედური გამოცდის განხორციელებაც აუცილებელია, რაც რეალურად საკვალიფიკაციო გამოცდის მოსამზადებელი ეტაპია, აღმოჩენილი ხარვეზების გამოსასწორებლად (სეთის არსებობის შემთხვევაში).

ამ მიმართულებით, დაწესებულებამ განმარტა, რომ შუალედური გამოცდების განხორციელების მცდელობა მათ ჰქონდათ, თუმცა ეს მექანიზმი არ აღმოჩნდა ეფექტური შემდეგი მიზეზების გამო:

1. იხარჯებოდა რესურსი, თუმცა სტუდენტები უგულებელყოფდნენ შუალედური გამოცდების კითხვარის/ტესტების შევსებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





2. იმის გათვალისწინებით, რომ შუალედური შეფასება არ არის განმსაზღვრელი ხასიათის, სტუდენტები სტუდენტებს არ ჰქონიათ შუალედური შეფასებისთვის მომზადების ვალდებულება, რის გამოც, ამ გამოცდის განხორციელებით ვერ ახერხებდნენ რეალური სურათის დანახვას.

შუალედური შეფასების მიზანს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების დონის დადგენა წარმოადგენს. შუალედური შეფასება სავალდებულოა თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა აღემატება 75 კრედიტს, ან დაწესებულება შუალედური შეფასების განხორციელების სავალდებულოობის გადაწყვეტილებას მიიღებს თავისი შიდა რეგულაციით. შუალედური შეფასება საშუალებას იძლევა, დაწესებულება დააკვირდეს პროფესიული სტუდენტის პროგრესს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და დროულად უზრუნველყოს ჩარევა სწავლა-სწავლების პროცესში. ცალკეული მოდულის ფარგლებში განხორციელებული შეფასებისგან განსხვავებით, შუალედური შეფასება ერთიანობაში უყურებს შუალედური შეფასების მომენტისათვის პროფესიული სტუდენტის მიერ განვლილი მოდულების ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება თავისი არსით სწავლის პროცესის შეფასებაა. განმავითარებელი შეფასების შედეგების ანალიზი დაწესებულებას საშუალებას აძლევს საჭიროების შემთხვევაში მოხდეს სწავლების მიდგომების გადახედვა და კორექტირება, რათა სასწავლო პროცესი გახდეს შედეგზე და ხარისხზე ორიენტირებული. განმავითარებელი შეფასებისას პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს შეფასების როგორც დიფერენცირებული, ისე არადიფერენცირებული მიდგომები. განმავითარებელი შეფასების დროს პროფესიული სტუდენტი, პროფესიული განათლების მასწავლებლის გამოხმაურებისა და უკუკავშირის დახმარებით, მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც თვითრეფლექსიაში ეხმარება. მასწავლებლის მიზანია: ასწავლოს სტუდენტს, როგორ ისწავლოს (სწავლის სწავლა) და ამავე დროს, მიიღოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სასწავლო საჭიროებების შესახებ, რათა დაეხმაროს მას სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. <u>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებსაც სტანდარტით განსაზღვრული აქვთ სავალდებულოდ საკვალიფიკაციო გამოცდის განხორციელება (ამ შემთხვევაში „საექთნო განათლება“), სტუდენტის მიღწევების შეფასების, ასევე სასწავლო პროცესის შეფასების, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნებისთვის განახორციელოს შუალედური შეფასებაც, რაც დაწესებულებისთვის იქნება პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზის ერთ-ერთი ინდიკატორი და საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში შესაბამისი ცვლილების განხორციელების ერთ-ერთი საფუძველი.</u> **მიუხედავად ამისა, ინდიკატორის 2.3.1.2 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი(მუხლი12);
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი (მუხლი, 5,6,7)
- დამსაქმებლის კვლევის ანგარიში (N21648, 18.12.2024)
- პროფორიენტაციისა და პრაქტიკის მენეჯერის კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი
- საექთნო განათლების პროგრამის შეფასების ფორმა N23, 23-04-2024
- დირექტორის ბრძანება პროგრამაში ცვლილების შესახებ (N13819, 06.11.2023).

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მიმდინარე პროცესის შესწავლა/შეფასებით გამოიკვეთა, რომ საექთნო პროგრამა ხორციელდება დაწესებულების მიერ გაწერილი სასწავლო გეგმის შესაბამისად.
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პროფესიულ სტუდენტებთან (რომლებიც წარმოდგენილი იყო, როგორც კურსდამთავრებული, ისე პირველი და მეორე წლის სტუდენტებით) გასაუბრებით დადგინდა რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, რათა მათ მიიღონ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და დააკმაყოფილონ დასაქმების ბაზარზე არსებული მოთხოვნები.
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - კოლეჯში საექთნო განათლების პროგრამაზე სწავლების პროცესი ხორციელდება დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრული სწავლის მეთოდების შესაბამისად. სწავლების პროცესი ითვალისწინებს დარგის შესაბამისი კომპეტენციების გამოყენებას, შესაბამისად პროგრამის განმახორციელებლები პარალელურად დარგის მოქმედი სპეციალისტებიც არიან, რაც დასტურდება პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით და მათთან გასაუბრებით, ასევე იმით, რომ პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტები არიან: შპს „ავერსის კლინიკა"; შპს „ფსიქიატრიული ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"; შპს „ჯეო ჰოსპიტალი"; შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა", რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ უზრუნველყონ საექთნო საქმეში დარგის შესაბამისი სტანდარტების შეთავაზება პრაქტიკულ კომპონენტში, რაც კიდევ უფრო გაამყარებს თეორიულ კომპონენტში მიღებულ ცოდნას. გარდა ამისა, დაწესებულება მუდმივ რეჟიმში უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლების გადამზადებას, რაც დასტურდება, როგორც პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით, ისე წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 21 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება) განსაზღვრულია საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. რეგულაციით განსაზღვრულია ვინ შეიძლება განიხილებოდეს სპეციალური საჭიროებების მქონე პირად. დაწესებულებას, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად ასეთი საჭიროება ქონდა 2022-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2023 სამოქმედო წელს საექთნო განათლების პროგრამაზე ერთი სტუდენტი შიდა მობილობით გადავიდა, ხოლო ერთ სტუდენტს აღუდგა სტატუსი (ბრძანება N11683, 03.12.2022). მათთვის კოლეჯმა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად და სტუდენტთა ჩართულობით, უზრუნველყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. 2023-2024 სამოქმედო წელს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ისარგებლა ორმა სტუდენტმა, მათ ისარგებლეს შიდა მობილობის უფლებით და ფარმაციის პროგრამიდან გადავიდნენ საექთნო განათლების პროგრამაზე. ფორმალური განათლების კომისიის 2023 წლის 14 ნოემბრის N43 გადაწყვეტილების საფუძველზე დირექტორის N14415 ბრძანებით დამტკიცდა მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. 2024-2025 სამოქმედო წელს პროგრამას ჰყავდა 5 სსსმ სტუდენტი, რომელთაც ისარგებლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით. მათ შორის 4 იყო სტატუსაღდგენილი, ხოლო 1 შიდა მობილობით მოსარგებლე პირი. ფორმალური განათლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე 4 სტატუსაღდგენილ სტუდენტს უღიარდა სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული მოდულები და სწავლის გაგრძელების მიზნით ჩაირიცხნენ 2023 წლის მიღების ჯგუფთან, აღნიშნულ ჯგუფთან ერთად ისინი პრაქტიკაზე წავიდნენ. ხოლო 1 შიდა მობილობით მოსარგებლე პირი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად საექთნო განათლების 2024 წლის საგაზაფხულო მიღების ჯგუფიდან გადავიდა 2024 წლის საშემოდგომო მიღების ჯგუფზე.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - ვინაიდან საექთნო განათლების პროგრამის 90 კრედიტი ითვალისწინებს პრაქტიულ სწავლებას, რომელიც მიმდინარეს პრაქტიკის ობიექტებთან ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და შესაბამისი პირობების დაცვით. კოლეჯს პრაქტიკის განხორციელების მიზნით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შემდეგ ობიექტებთან: შპს ავერსის კლინიკა, შპს ჯეოჰოსპიტალსი, შპს ბოლნისის ცენტრალური კლინიკა, შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი. გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, საჭირო კოორდინაციის საკითხებს, პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიებს, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას. ხელშეკრულებებს დანართების სახით თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულებისა და საჭირო სასწავლო რესურსის ჩამონათვალი.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად კოლეჯში უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი. პროგრამის ხელმძღვანელი წინასწარ გაწერილი სამუშაო გეგმის შესაბამისად ამოწმებს პროგრამის აღჭურვილობის უსაფრთხოებას და რეაგირებისთვის მიმართავს ადმინისტრაციულ დირექტორს. პროგრამის ხელმძღვანელი სწავლის დაწყებისთანავე სტუდენტებს უტარებს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



---------- ----------

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. საექთნო განათლების პროგრამაზე 2023 წელს განხორციელდა სასწავლო გარემოს უსაფრთხოების შემოწმება და შედეგები აისახა შემოწმების აქტში. (N29 19.06.2023); ასევე 2024 და 2025 წელსაც განხორციელდა სასწავლო გარემოს უსაფრთხოების შემოწმება და შედეგები აისახა შემოწმების აქტში. ვინაიდან საექთნო განათლების პროგრამა ითვალისწინებს გარკვეულ რისკებს, შესაბამისად საექთნო კაბინეტში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია უსაფრთხოების წესები. გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების კომპონენტები, როგორ აღსასრულებელი პუნქტი ჩადებულია პრაქტიკის ობიეტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და როგორც პრაქტიკის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან, ისე სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება/დასტურდება, რომ პირველი აცნობს, ხოლო მეორე იცნობს უსაფრთხოების წესებს, რომლიც გათვალისწინებულია, როგორ შრომის უსაფრთხოების მოქმედი კანონმდებლობით, ისე პროფესიული პროტოკოლებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საექთნო განათლების სასწავლო გეგმა - (პროგრამის დანართი N40)
- სასწავლო კალენდარი - N10598 07/11/2024
- დანართი-მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდივიდუალური გეგმის საჭიროების დასაბუთება (N8791, 11/06/2025) - დანართი 40 - ბრძანება ინდივიდუალური გეგმის დამტკიცების შესახებ (8792, 11/06/2025)
- ტრენინგის - „სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“ ბმული - https://www.mc.edu.ge/ge/posts/details/84/stsavla-stsavlebis-tanamedrove-midgomebi-profesiul-ganatlebashi-da-profesiuli-studentebis-mightsevebis-shefaseba;
- კონფერენციის -” საუკეთესო პარქტიკის გაზიარება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში” ბმულები:
- 2022 დეკემბერი - https://mc.edu.ge/ge/posts/details/50/konferentsia
- 2023 ივნისი- https://mc.edu.ge/ge/posts/details/80/mastsavlebelta-konferentsia

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

- 2024 წლის სექტემბერი "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება " ბმული - https://mc.edu.ge/ge/posts/details/199/treningi-mastsavleblebisatvis 2024 წლის მარტი-მაისი ,,მასწავლებლის საჭიროებებზე მორგებული და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების ციკლი" ბმული - https://www.mc.edu.ge/ge/posts/details/120/ghonisdziebebis-tsikli; https://mc.edu.ge/ge/posts/details/164/treningi-lagodekhshi
- 2023 წლის 14 ნოემბრის ტრენინგი "სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ" - https://mc.edu.ge/ge/posts/details/91/treningi-stsavlebisa-da-shefasebis-metodologiis-shesakheb
- სტუდენტური უნარების კვირეულის ბმული:
- 2023 წელი- https://mc.edu.ge/ge/posts/details/74/chemi-khma-profesiul-ganatlebashi
- 2024 წელი - https://www.mc.edu.ge/ge/posts/details/186/unarebis-kvireuli
- 2025 წლის 3 ივნისი - https://mc.edu.ge/ge/posts/details/266/aversis-viziti-kolejshi
- ბრძანება სსსმ სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ (N14415; 14/11/2023);
- ბრძანება სსსმ სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ: (N4777, 05.04.2025);
- ბრძანება სსსმ სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ: (N4778, 05.04.2025);
- ბრძანება სსსმ სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ: (N4602, 02.04.2025);
- ბრძანება სსსმ სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ: (N4600, 02.04.2025);
- ბრძანება სსსმ სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ: (N8792, 11.06.2025).
- განათლების პროგრამის პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალი;
- შპს მარნეულის კოლეჯსა და შპს ავერსის კლინიკას შორის გაფორმებული ხელშეკრულება საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამის კლინიკური მოდულების განხორციელების შესახებ (N76, 19.08.2019).
- შპს მარნეულის კოლეჯსა და შპს ჯეოჰოსპიტალს შორის გაფორმებული ხელშეკრულება საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამის კლინიკური მოდულების განხორციელების შესახებ;
- შპს მარნეულის კოლეჯსა და შპს ბოლნისის ცენტრალური კლინიკას შორის გაფორმებული ხელშეკრულება საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამის კლინიკური მოდულების განხორციელების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

- შპს მარნეულის კოლეჯსა და შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულება საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამის კლინიკური მოდულების განხორციელების შესახებ;
- უსაფრთხოების დებულება;
- პროგრამის ხელმძღვანელის საექთნო განათლების პროფესიული პროგრამის უსაფრთხოების შემოწმების აქტი (N24 10.06.2024);
- პროგრამის ხელმძღვანელის საექთნო განათლების პროფესიული პროგრამის უსაფრთხოების შემოწმების აქტი (N60 24.06.2025)

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (17. სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი მუხლი 19. სტუდენტის შეფასების წესი; მუხლი 20. სტუდენტის შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი მუხლი) გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი და უზრუნველყოფილია შეფასების სისტემის ვალიდურობა, სამართლიანობა, გამჭირვალობა, სანდოობა. რეგულაციის შესაბამისად, შეფასების ინსტრუმენტები შემუშავებულია კოლეჯის მასწავლებლის მიერ დარგის სპეციალისტის ჩართულობით. დასრულებული და შეთანხმებული ინსტრუმენტის რეგისტრაციასა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ახდენს სასწავლო პროცესის მენეჯერი. ვალიდირებული ინსტრუმენტები ხელმისაწვდომია ინსტრუმენტების ბანკში, ყველა მასწავლებლისათვის ელექტრონულად, კოლეჯის დრაივზე. პროფესიული მასწავლებლების გამოკითხვით დგინდება, რომ ისინი იცნობენ ვალიდაციის წესს, პროცესს და რეგულარულად იღებენ მასში მონაწილეობას. საექთნო განათლების პროგრამაზე შეფასების პროცესები ხორციელდება რეგულაციების შესაბამისად და გამოყენება მხოლოდ ვალიდური ინსტრუმენტები. რეგულაციის შესაბამისად კოლეჯში უზრუნველყოფილია სტუდენტების მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა, დაცულია განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და მტკიცებულებების მოპოვების წესი. პროგრამის მოდულების წინაპირობების გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გავიდნენ მეორე განმეორებით გამოცდაზე. შეფასების სისტემის უზრუნველყოფა კი დასტურდება ვერიფიკაციის შედეგებით.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად კოლეჯში შეფასების სისტემის შემოწმება უზრუნველყოფილია ვერიფიკაციის მექანიზმის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის შექმნას, ჯგუფის ხელმძღვანელი და შიდა ვერიფიკატორები არიან ხარისხის მართვის სამსახურის წევრები, ასევე თითოეულ სამოქმედო წლისთვის, ვერიფიკაციის რისკების სისტემის მიხედვით, შერჩეული მოდულებისთვის მოწვეულნი არიან დამოუკიდებელი დარგის ექსპერტები. დასკვნების განხილვას და ხარვეზების იდენტიფიცირებას ახდენს სამუშაო ჯგუფი, ხოლო გადაწყვეტილებას იღებს ჯგუფის ხელმძღვანელი. 2022-2023 სამოქმედო წელს რისკების სისტემის გათვალისწინებით ვერიფიკაციის გეგმაში მოხვდა საექთნო განათლების პროგრამის 3 მოდული. ვერიფიკაციის დასკვნების განხილვის შედეგად გამოიკვეთა რიგი ხარვეზებისა, რომლის შესახებაც სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ შემდგომი რეაგირებებისთვის ეცნობა კოლეჯის დირექტორს. 2023-2024 სამოქმედო წელს რისკების სისტემის გათვალისწინებით ვერიფიკაციის გეგმაში საექთნო განათლების პროგრამიდან არ მოხვდა არცერთი მოდული. ხოლო 2024-2025 სამოქმედო წელს საექთნო განათლებიდან პროგრამიდან ვერიფიკაციის გეგმაში მოხვდა ოთხი მოდული. სამი მოდული გაერთიანდა ერთ რისკ-ფაქტორში - გასული წლის ვერიფიკაციის ანგარიშით გამოვლენილი ხარვეზის მიხედვით, პროფესიული მასწავლებლების შერჩევა, ხოლო დარჩენილი ერთი მოდული შეირჩა "ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების დიდი რაოდენობა"-რისკ-ფაქტორის მიხედვით. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმის ფარგლებში, ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი და შიდა ვერიფიკატორები დამატებითი საქმიანობის სახით ახორციელებენ კოლეჯის მიერ კვალიფიკაციის მინიჭების პროცესების მონიტორინგს. გამომდინარე იქიდან, რომ საკვალიფიკაციო გამოცდები კოლეჯის მიერ განიხილება როგორც კოლეჯის შეფასების სისტემის ნაწილი, მიზანშეწონილად არის ჩათვლილი ვერიფიკაციის ჯგუფმა განახორციელოს მისი მონიტორინგიც. მონიტორინგის მიზანია ერთის მხრივ კოლეჯის რეგულაციების და მიმდინარე პროცესების ურთიერთშესაბამისობის დადგენა, ხოლო მეორე მხრივ საკვალიფიკაციო შეფასების პროცესების შეფასება. მონიტორინგი ხორციელდება ვერიფიკაციის მექანიზმით

განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. მონიტორინგის დროს სტუდენტების ინფორმირებულობის და მტკიცებულებების შერჩევა ხდება ზემოთ მოცემული ვერიფიკაციის პროცედურების შესაბამისად. მონიტორინგის პროცესებზე და მონაცემების ანალიზზე პასუხისმგებელი პირია ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი. ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი უფლებამოსილია მოიწვიოს დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტი, რომელიც უფლებამოსილი იქნება შეაფასოს საკვალიფიკაციო გამოცდების დარგობრივი საკითხები. მონიტორინგის შედეგები წარედგინება კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დირექტორს. ზემოთ მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს და ეყრდნობა ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით - კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (მუხლი 19) შესაბამისად, საექთნო განათლების პროგრამაზე განხორციელებული შეფასების მტკიცებულებები 3 წლის ვადით ინახება კოლეჯში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოებულ სტუდენტის პორტფოლიოში. ხოლო შეფასების უწყისები ინახება ცალკე, უვადოდ სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. რეგულაცია ითვალისწინებს მტკიცებულებათა განადგურების პროცედურას: შესაბამისი კომისია ახდენს სამი წლის მტკიცებულებების განადგურებას. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა მიმდინარე და კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოები, მათი შიგთავსი შეესაბამება დოკუმენტაციაში გაწერილს და ისინი დაწესებულებაში ინახება დადგენილი წესის შესაბამისად.
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის - კოლეჯში არსებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად სტუდენტების შეფასების შედეგების გაცნობაზე პასუხისმგებელი პირია მოდულის განმახორციელებელი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2023-2024 სასწავლო წლის მანძილზე, სტუდენტებს შეფასების შედეგები გაეცნოთ პერსონალური მონაცემების დაცვით და მათთან გაფორმებული წერილობითი შეთანხმების შესაბამისად. სტუდენტებს შეფასების შედეგების განხილვასა და უკუკავშირის მიცემის მიზნით შეფასების პროცესის შემდგომ ჩაენიშნათ შეხვედრები, აღნიშნული შეხვედრების ჩანიშვნა ასახული და გათვალისწინებულია მასწავლებლების მიერ წარმოებულ კალენდარულ გეგმებში. სასწავლო წლის მანძილზე პროგრამის ხელმძღვანელმა კრებსითად აღრიცხავს სტუდენტთა შეფასების შედეგების შესახებ მონაცემები, რომელთა განხილვის და ანალიზის მიზნით ჩაინიშნა შეხვედრები აკადემიურ დირექტორთან. შედეგები გამოყენებულ იქნა შემდგომი რეაგირებისთვის. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- 2023-2024 წლის ვერიფიკაციის ანგარიში (N15020 13/10/2024);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

- ვერიფიკაციის შედეგებზე აკადემიური დირექტორის რეაგირება (N9863 06/08/2024).
- ვერიფიკაციის შედეგებზე აკადემიური დირექტორის რეაგირება (N9803 25/06/2025).

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	N10, 16.02.2018 (ცვლილება: 23.05.2025, N7728)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	–
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	100
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	–
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის #55 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 14.07.2025 წელი #12262 ბრძანება) დამტკიცებული დაწესებულების „ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით„ . აღნიშნული დოკუმენტის მე–6 მუხლის თანახმად კოლეჯში ახალი პროფესიული პროგრამის დამატების შესახებ ინიციატივის წარდგენა შეუძლია დაწესებულების პერსონალს, დამსაქმებელს, სტუდენტს, კურსდამთავრებულს და სხვა დაინტერესებულ პირს. ინიციატორი წინადადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს. დირექტორის თანხმობის შემთხვევაში, აკადემიური დირექტორი 2 კვირის ვადაში ამზადებს პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დოკუმენტს (შრომის ბაზრის მოთხოვნათა ანალიზი, კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი) და წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს. მიზანშეწონილობის დოკუმენტის განხილვის და პროგრამის დამატებაზე თანხმობის შემთხვევაში, დირექტორი ქმნის პროგრამის დამატებაზე მომუშავე ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: კოლეჯის სასწავლო პროცესის სამსახურის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები/სპეციალისტები. ჯგუფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ხელმძღვანელობს დაწესებულების აკადემიური დირექტორი. სამუშაო ჯგუფი ოთხი კვირის განმავლობაში მუშაობს პროგრამის პროექტზე, საბოლოოდ კი მომზადებული პროგრამის პაკეტს დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს არგუმენტირებულ ანალიზს საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის „აღმზრდელი" განხორციელების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. დოკუმენტში აღნიშნულია, შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ დამსაქმებლებთან 2024 წელს განხორცილებული კვლევის შედეგები. კვლევის მიზანს და ამოცანებს წარმოადგენდა შრომის ბაზრის კონკრეტულ სეგმენტში მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენა და დამსაქმებლებისთვის მნიშვნელოვანი პროფესიების იდენტიფიცირება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო რეგიონში აქტიური სტატუსის მქონე ორგანიზაციებმა. გამოვლინდა ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები, რომელთაგანაც ერთ-ერთი აღმზრდელის პროფესია დასახელდა. აღსანიშნავია ასევე, რომ პოტენციური და არსებული დამსაქმებლები, როგორც მიმდინარე პერიოდისთვის, ასევე სამომავლოდ ხედავენ აღმზრდელის და აღმზრდელის თანაშემწის კომპეტენციის და უნარების მქონე თანამშრომლების საჭიროებას. დაწესებულება წარმოდგენილ მიზანშეწონილობის დოკუმენტში ასევე აღნიშნავს, რომ აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ბოლო წლებში საზოგადოებაში განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობს. ამის დასტურია, როგორც რეგისტრაციისას დაფიქსირებული აპლიკანტთა მაღალი მაჩვენებელი, ისე სოციალური მედიის სივრცეში მიღებული მრავალი შეტყობინება, სადაც მოქალაქეები აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის სურვილს გამოთქვამენ. პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციისას კოლეჯის მიერ აღმზრდელის პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამაზე ოფიციალურად გამოცხადდა 21 სასწავლო ადგილი , თუმცა დარეგისტრირდა 68 აპლიკანტი, რაც ცხადყოფს, რომ დარეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება პროგრამაზე გამოცხადებულ სტუდენტთა რაოდენობას. აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ არსებული ადგილები ვერ უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა მნიშვნელოვანი ნაწილის ჩარიცხავს პროგრამაზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქვემო ქართლის რეგიონში, კერძოდ, დმანისის, ბოლნისის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, წალკისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში, ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და მოქმედი ბაგა–ბაღების რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს, ეს უკანასკნელი კი გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც კიდევ უფრო გაზრდის მოთხოვნას კვალიფიციურ კადრზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას. საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობები და პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“–ს მე–4 თავით. აღნიშნული წესი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენისა და მობილობის წესებს. **დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, რომელიც დამტკიცებულია შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე–9 მუხლის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება თითოეულ პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობათა ჯამით. თითოეულ პროფესიულ პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობის განსაზღვრისას კი მხედველობაში მიიღება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა, დაწესებულებისა და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში პარტნიორი ორგანიზაციის შესაძლებლობები. **გამომდინარე აქედან დასტურდება, რომ პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. **დასტურდება, რომ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს.
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - საგანმანათლებლო პროგრამა „ აღმზრდელი " დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ, 2018 წლის 16 თებერვლის N10 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: 2025 წლის 23 მაისის N7728 ბრძანება) პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, შპს მარნეულის კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" მუხლი 6. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის "აღმზრდელი - 02117-პ" სახელწოდებას, პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. **დასტურდება, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა სავარაუდოდ - 21 თვე (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 26 თვე), ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 116 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 21სასწავლოთვე). ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 146 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა - 26 სასწავლოთვე) **დასტურდება, რომ პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"
- „აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი;
- გასაუბრება

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსები ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს სამი A გარემო, #221, 216# და # 214 აუდიტორიები, რომელიც ჯამში აღჭურვილია საჭირო რესურსით 70 პროფესიულ სტუდენტზე. თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია: 1 კომპიუტერი, 1დაფა, 1 პროექტორი, 1 კომბაინი, 1 მონიტორი, 1 –ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი) და კარადა რესურსებისთვის. აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 100 პროფესიული სტუდენტს, ორი მიღების გათვალისწინებით.

   საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ორი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქ. მარნეულის (დანართის სახით განსაზღვრული 11 ბაგა–ბაღი – 30 პროფესიული სტუდენტი), დმანისის (დანართის სახით განსაზღვრული 9 ბაგა–ბაღი – 20 პროფესიული სტუდენტი), ბოლნისის (დანართის სახით განსაზღვრული 4 ბაგა–ბაღი – 20 პროფესიული სტუდენტი) და თეთრიწყაროს ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან (დანართის სახით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

განსაზღვრული 1 ბაგა–ბაღი – 30 პროფესიული სტუდენტი). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დაწესებულებას გარდა ამ ორი მოდულისა პრაქტიკული უნარების გაძლიერების მიზნით პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე დამატებით გააქვს რამდენიმე მოდული, როგორიცაა „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ დაკვირვება შეფასება“ და „ ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებები“, რაც კიდევ უფრო უმყარებს ცოდნას კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს და საშუალებას აძლევს დაწესებულებაში მიღებული თეორიული ცოდნა გაიღრმავონ პრაქტიკით, რეალურ სამუშაო გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტებმა მოინახულეს ქ. მარნეულის ბაგა–ბაღების გაერთიანებაში შემავალი ერთ–ერთი დაწესებულება და გაესაუბრნენ მის ხელმძღვანელს. ვიზუალური დათვალიერებითა და გასაუბრებით დადასტურდა სრული მზაობა და ჩართულობა, ასევე ვალდებულება, რომ პრაქტიკის ობიექტზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, საგანმანათლებლო პროცესში პროფესიულ სტუდენტებს არა აქვთ რაიმე შეფერხება მატერიალურ რესურსთან მიმართებაში და ყველანაირი მასალებით უზრუნველყოფილი არიან როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტზე. აღმოჩნდა, რომ პარტნიორი დაწესებულება დაკომპლექტებულია 12 აღსაზრდელთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფით, მათ შორის ორი სასკოლო მზაობის ჯგუფით. ბაგა–ბაღი დაკომპლექტებულია ყველა საჭირო კადრით, როგორიცაა: მეთოდისტი, ლოგოპედი, ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი. ბაგა–ბაღში პროფესიულ სტუდენტებს მონაცვლეობით ანაწილებენ ბავშვთა ჯგუფებში, მათი ასაკობრივი თავისებურებების შესწავლის მიზნით. ბაგა–ბაღის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ დამოუკიდებლად მოამზადონ სხვადასხვა აქტივობა, აწარმოონ ბავშვთა დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები, შეიმუშაონ დღის განრიგი და მოამზადონ პრეზენტაციები თუ პროექტები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში, ბოლო ხუთი წლის მანძილზე დასაქმებულია კოლეჯის ექვსი კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტი. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზნით, თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი პირი, სასწავლო გეგმის და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით ჰყავს 28 პროფესიული მასწავლებელი, 14 დარგობრივი, 10 ზოგადი და 4 ქართული ენის მოდულების განმახორციელებელი პირი, შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 
---------- ----------

განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებთან. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაოს ლოკაცია, დატვირთვა, უფლება მოვალეობები, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები ხელშეკრულებებს დანართის სახით თანა ახლავს მოდულების დასახელება, რომლის განხორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს. პროფესიული მასწავლებლები შერჩეულია დაწესებულების მიერ დადგენილი შერჩევის წესის მიხედვით. თითო მოდულის განხორციელებისთვის კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. **დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია და აკადემიის მიერ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები „საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“ და „სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“. პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. **დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში (07.05.2025წ #105188941). ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში. **დასტურდება რომ ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში - ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 2 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. **დასტურდება რომ ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის # 55 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 14.07.2025წ. #12262) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"–ს მე-3-ე თავის 21

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა. დოკუმენტის თანახმად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტის) საჭიროებისთვის კოლეჯი ვალდებულია შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. მხარეებს შორის შეთანხმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სტუდენტისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გემის შემუშავების საჭიროება შეიძლება დადგეს ასევე: თუ სტუდენტმა მეორე განმეორებითი შეფასების დროს ვერ მიიღო დადებითი შეფასება არარენტაბელური ჯგუფის ფორმირების შემთხვევაში, როცა კოლეჯი ვალდებულია სტუდენტს გაატაროს აღნიშნული კომპონენტი, სატატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სტუდენტის მიერ პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ცალკეული მოდულის/მოდულის კომპონენტების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში, მიღებული და დადასტურებული არაფორმალური განათლების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში (სწავლის ან კომპეტენციის დადასტურების შესახებ) და შიდა და გარე მობილობის შემთხვევაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროებას განსაზღვრავს და შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობს აკადემიური დირექტორი. სპეციალური საჭიროების სპეციფიკის გათვალისწინებით მოდულების მოდიფიცირებას/აკომოდირებას ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის ჩართულობით. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს აკადემიური დირექტორი. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - ექსპერტთა მიერ განხილულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი, საიდანაც ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ფინანსურად მდგრადია. პროგრამა მიმდინარეობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაფინანსებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. კოლეჯის ბიუჯეტის შესაბამისად, რენტაბელობის ზღვარი არის 20 პროფესიული სტუდენტი. **შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.8 შესაბამისობაშია და შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ - კოლეჯს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული აქვს პროფესიული პროგრამის კომპლექსური შეფასება პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ, რომლის ფარგლებშიც განიხილება, როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივ მონაცემები. აღნიშნული პროცესი დეტალურადაა ასახული დოკუმენტებში: კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, დაწესებულების მიერ, ექსპერტებისთვის წარმოდგენილ დოკუმენტების: დამსაქმებლის კვლევის ანგარიში (N21648, 18.12.2024), პროფორიენტაციისა და პრაქტიკის მენეჯერის კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი, რომელთა შესწავლის შემდეგ ნათლად ჩანს, რომ პსდ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად - წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების თანახმად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება დინამიური და მოქმედი პროცესია და დაწესებულების ხელმძღვანელობა ყოველთვის ითვალისწინებს პროგრამით გაუმჯობესებისთვის გამოთქმულ არგუმენტირებულ მოსაზრებას, რის დასტურადაც დაწესებულებამ წარმოადგინა საჭიროებებზე რეაგირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ანგარიშები (ადმინისტრაციული დირექტორის N19560 და N6. 31.01.2025 კორესპონდენციები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლი12);
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი (მუხლი, 5,6,7)
- დამსაქმებლის კვლევის ანგარიში
- პროფორიენტაციისა და პრაქტიკის მენეჯერის კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი
- დირექტორის ბრძანება პროგრამაში ცვლილების შესახებ
- შეფასების ფორმა N37

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მიმდინარე პროცესის შესწავლა/შეფასებით გამოიკვეთა, რომ პროგრამა ხორციელდება დაწესებულების მიერ გაწერილი სასწავლო გეგმის შესაბამისად.
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პროფესიულ სტუდენტებთან (რომლებიც წარმოდგენილი იყო, როგორც კურსდამთავრებული, ისე პირველი და მეორე წლის სტუდენტებით) გასაუბრებით დადგინდა რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, რათა მათ მიიღონ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და დააკმაყოფილონ დასაქმების ბაზარზე არსებული მოთხოვნები.
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - კოლეჯში აღმზრდელის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების პროცესი ხორციელდება დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრული სწავლის მეთოდების შესაბამისად. სწავლების პროცესი ითვალისწინებს დარგის შესაბამისი კომპეტენციების გამოყენებას, შესაბამისად პროგრამის განმახორციელებლები პარალელურად დარგის მოქმედი სპეციალისტებიც არიან, რაც დასტურდება პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით და მათთან გასაუბრებით, ასევე იმით, რომ პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტები არიან: ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება, ააიპ "დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური", ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტი სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება" და ააიპ თეთრი წყაროს სკოლამდელი აღზრდა-განათლებისა და სოციალურად დაუცველთა ცენტრი. რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ უზრუნველყონ დარგის შესაბამისი სტანდარტების შეთავაზება პრაქტიკულ კომპონენტში, რაც კიდევ უფრო გაამყარებს თეორიულ კომპონენტში მიღებულ ცოდნას. გარდა ამისა, დაწესებულება მუდმივ რეჟიმში უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლების გადამზადებას, რაც დასტურდება, როგორც პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით, ისე წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 21 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება) განსაზღვრულია საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. რეგულაციით განსაზღვრულია ვინ შეიძლება განიხილებოდეს სპეციალური საჭიროებების მქონე პირად. დაწესებულებამ, წარმოადგინა 2024 წლის 4 მარტის N00002225 ბრძანება სტუდენტის პირადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განცხადების (2181) საფუძველზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების თაობაზე. აღნიშნული გეგმის შემუშავება კოლეჯმა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად და სტუდენტთა ჩართულობით უზრუნველყო. 2023-2024 სამოქმედო წელს პროგრამას ჰყავდა 1 სსსმ სტუდენტი, რომელმაც ისარგებლა გარე მობილობით.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები ითვალისწინებს პრაქტიკულ სწავლებას, რომელიც მიმდინარეს პრაქტიკის ობიექტებთან ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და შესაბამისი პირობების დაცვით. კოლეჯის მიერ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, საჭირო კოორდინაციის საკითხებს, პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიებს, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, მისაღწევი სწავლის შედეგებს (კონკრეტული მოდულების მითითებით). ხელშეკრულებებს დანართების სახით თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულებისა და საჭირო სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416-ე დადგენილებასთან „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად კოლეჯში უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი. პროგრამის ხელმძღვანელი წინასწარ გაწერილი სამუშაო გეგმის შესაბამისად ამოწმებს პროგრამის აღჭურვილობის უსაფრთხოებას და რეაგირებისთვის მიმართავს ადმინისტრაციულ დირექტორს. პროგრამის ხელმძღვანელი სწავლის დაწყებისთანავე სტუდენტებს უტარებს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. აღმზრდელის პროგრამაზე 2024 წელს განხორციელდა სასწავლო გარემოს უსაფრთხოების შემოწმება და შედეგები აისახა შემოწმების აქტში. (N25 10.06.2024); გარდა ამისა, პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების კომპონენტები, როგორც აღსასრულებელი პუნქტი ჩადებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და როგორც პრაქტიკის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან, ისე სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება/დასტურდება, რომ პირველი აცნობს, ხოლო მეორე იცნობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უსაფრთხოების წესებს, რომლიც გათვალისწინებულია, როგორ შრომის უსაფრთხოების მოქმედი კანონმდებლობით, ისე პროფესიული პროტოკოლებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სასწავლო გეგმა
- სასწავლო კალენდარი
- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდივიდუალური გეგმის საჭიროების დასაბუთება, ბრძანება ინდივიდუალური გეგმის დამტკიცების შესახებ
- ტრენინგის - „სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“
- კონფერენციის -” საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში” ბმულები:
- 2022 დეკემბერი - https://mc.edu.ge/ge/posts/details/50/konferentsia
- 2023 ივნისი- https://mc.edu.ge/ge/posts/details/80/mastsavlebelta-konferentsia
- 2024 წლის სექტემბერი "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება " ბმული - https://mc.edu.ge/ge/posts/details/199/treningi-mastsavleblebisatvis 2024 წლის მარტი-მაისი ,,მასწავლებლის საჭიროებებზე მორგებული და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების ციკლი” ბმული - https://www.mc.edu.ge/ge/posts/details/120/ghonisdziebebis-tsikli; https://mc.edu.ge/ge/posts/details/164/treningi-lagodekhshi
- 2023 წლის 14 ნოემბრის ტრენინგი “სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ” - https://mc.edu.ge/ge/posts/details/91/treningi-stsavlebisa-da-shefasebis-metodologiis-shesakheb
- სტუდენტური უნარების კვირეულის ბმული:
- 2023 წელი- https://mc.edu.ge/ge/posts/details/74/chemi-khma-profesiul-ganatlebashi
- 2024 წელი - https://www.mc.edu.ge/ge/posts/details/186/unarebis-kvireuli
- განათლების პროგრამის პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- უსაფრთხოების დებულება;
- პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული პროგრამის უსაფრთხოების შემოწმების აქტი;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (17. სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი მუხლი 19. სტუდენტის შეფასების წესი; მუხლი 20. სტუდენტის შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი მუხლი) გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი და უზრუნველყოფილია შეფასების სისტემის ვალიდურობა, სამართლიანობა, გამჭირვალობა, სანდოობა. რეგულაციის შესაბამისად, შეფასების ინსტრუმენტები შემუშავებულია კოლეჯის მასწავლებლის მიერ დარგის სპეციალისტის ჩართულობით. დასრულებული და შეთანხმებული ინსტრუმენტის რეგისტრაციასა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ახდენს სასწავლო პროცესის მენეჯერი. ვალიდირებული ინსტრუმენტები ხელმისაწვდომია ინსტრუმენტების ბანკში, ყველა მასწავლებლისათვის ელექტრონულად, კოლეჯის დრაივზე. პროფესიული მასწავლებლების გამოკითხვით დგინდება, რომ ისინი იცნობენ ვალიდაციის წესს, პროცესს და რეგულარულად იღებენ მასში მონაწილეობას. პროგრამაზე შეფასების პროცესები ხორციელდება რეგულაციების შესაბამისად და გამოყენება მხოლოდ ვალიდური ინსტრუმენტები. რეგულაციის შესაბამისად კოლეჯში უზრუნველყოფილია სტუდენტების მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა, დაცულია განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და მტკიცებულებების მოპოვების წესი. პროგრამის მოდულების წინაპირობების გათვალისწინებით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გავიდნენ მეორე განმეორებით გამოცდაზე. შეფასების სისტემის უზრუნველყოფა კი დასტურდება ვერიფიკაციის შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად კოლეჯში შეფასების სისტემის შემოწმება უზრუნველყოფილია ვერიფიკაციის მექანიზმის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის შექმნას, ჯგუფის ხელმძღვანელი და შიდა ვერიფიკატორები არიან ხარისხის მართვის სამსახურის წევრები, ასევე თითოეულ სამოქმედო წლისთვის, ვერიფიკაციის რისკების სისტემის მიხედვით, შერჩეული მოდულებისთვის მოწვეულნი არიან დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები. დასკვნების განხილვას და ხარვეზების იდენტიფიცირებას ახდენს სამუშაო ჯგუფი, ხოლო გადაწყვეტილებას იღებს ჯგუფის ხელმძღვანელი. ვერიფიკაციის დასკვნების განხილვის შედეგად გამოკვეთილ ხარვეზებზე რეაგირებას ახდენს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმის ფარგლებში, ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი და შიდა ვერიფიკატორები დამატებითი საქმიანობის სახით ახორციელებენ კოლეჯის მიერ კვალიფიკაციის მინიჭების პროცესების მონიტორინგს. გამომდინარე იქიდან, რომ საკვალიფიკაციო გამოცდები კოლეჯის მიერ განიხილება როგორც კოლეჯის შეფასების სისტემის ნაწილი, მიზანშეწონილად არის ჩათვლილი ვერიფიკაციის ჯგუფმა განახორციელოს მისი მონიტორინგიც. მონიტორინგის მიზანია ერთის მხრივ კოლეჯის რეგულაციების და მიმდინარე პროცესების ურთიერთშესაბამისობის დადგენა, ხოლო მეორე მხრივ საკვალიფიკაციო შეფასების პროცესების შეფასება. მონიტორინგი ხორციელდება ვერიფიკაციის მექანიზმით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. მონიტორინგის დროს სტუდენტების ინფორმირებულობის და მტკიცებულებების შერჩევა ხდება ზემოთ მოცემული ვერიფიკაციის პროცედურების შესაბამისად. მონიტორინგის პროცესებზე და მონაცემების ანალიზზე პასუხისმგებელი პირია ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი. ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი უფლებამოსილია მოიწვიოს დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტი, რომელიც უფლებამოსილი იქნება შეაფასოს საკვალიფიკაციო გამოცდების დარგობრივი საკითხები. მონიტორინგის შედეგები წარედგინება კოლეჯის დირექტორს. **ზემოთ მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს და ეყრდნობა ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით - კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (მუხლი 19) შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული შეფასების მტკიცებულებები 3 წლის ვადით ინახება კოლეჯში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოებულ სტუდენტის პორტფოლიოში. ხოლო შეფასების უწყისები ინახება ცალკე, უვადოდ სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. რეგულაცია ითვალისწინებს მტკიცებულებათა განადგურების პროცედურას: შესაბამისი კომისია ახდენს სამი წლის მტკიცებულებების განადგურებას. ექსპერტების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

შესწავლილ იქნა მიმდინარე და კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოები, მათი შიგთავსი შეესაბამება მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილს და ისინი დაწესებულებაში ინახება დადგენილი წესის შესაბამისად.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის - კოლეჯში არსებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად სტუდენტების შეფასების შედეგების გაცნობაზე პასუხისმგებელი პირია მოდულის განმახორციელებელი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სტუდენტებს შეფასების შედეგები ეცნობათ პერსონალური მონაცემების დაცვით და მათთან გაფორმებული წერილობითი შეთანხმების შესაბამისად. სტუდენტებს შეფასების შედეგების განხილვასა და უკუკავშირის მიცემის მიზნით შეფასების პროცესის შემდგომ ჩაენიშნათ შეხვედრები, აღნიშნული შეხვედრების ჩანიშვნა ასახული და გათვალისწინებულია მასწავლებლების მიერ წარმოებულ კალენდარულ გეგმებში. სასწავლო წლის მანძილზე პროგრამის ხელმძღვანელი აღრიცხავს სტუდენტთა შეფასების შედეგების შესახებ მონაცემებს, რომელთა განხილვის და ანალიზის მიზნით ინიშნება შეხვედრები აკადემიურ დირექტორთან. **ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ვერიფიკაციის ანგარიშები;
- ვერიფიკაციის შედეგებზე აკადემიური დირექტორის რეაგირება.
- სტუდენტის პორტფოლიოები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	N 1543 03-02-2025 წელი
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას - კოლეჯის მიერ პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნება კოლეჯის გრძელვადიან სტრატეგიულ ხედვას. კოლეჯის მიერ შემუშავებული და შეთავაზებული პროგრამა „მასაჟის თერაპია“ სრულად არის თანხვედრაში როგორც კოლეჯის მისიის, ისე სტრატეგიული განვითარების გეგმის ძირითად მიზნებთან. „მასაჟის თერაპიის“ პროგრამა, ჯანდაცვის სფეროს მზარდი მოთხოვნების გათვალისწინებით, მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი, კომპეტენტური კადრების მომზადებას, რაც სრულად შეესაბამება კოლეჯის ძირითად პრინციპებს. აქედან გამომდინარე, შეფასება დადებითია: გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ არამარტო დასაბუთებულია, არამედ ნათლად არის ჩადგმული კოლეჯის მისიისა და სტრატეგიული განვითარების ლოგიკაში. **ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია.**
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განხორციელებისას განსაზღვრულია გასაგები და დასაბუთებული დაშვების წინაპირობები და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევადობას განსაზღვრულ ვადებში. პროგრამაზე მიღების ძირითადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

კრიტერიუმია სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რაც შეესაბამება მოქმედ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს. აღნიშნული წინაპირობა ხელს უწყობს იმ კანდიდატთა შერჩევას, რომელთაც გააჩნიათ საწყისი საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც პროგრამის ეფექტურად ათვისების წინაპირობაა. ჩარიცხვის პროცედურები დეტალურად გაწერილია კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში“ და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროცესი განხორციელდება აპლიკანტების მიერ საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და თანასწორობას. შეფასებისას მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის დაწესებულება ითვალისწინებს მათ შესაძლებლობებზე მორგებულ მიდგომას. რეგიონის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დაწესებულება ჩარიცხვის მნიშვნელოვან წინაპირობად აყენებს ქართული ენის ცოდნას. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები რაციონალურად განსაზღვრულია და სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და სასწავლო შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, რომელიც დამტკიცებულია შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე–9 მუხლის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება თითოეულ პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობათა ჯამით. თითოეულ პროფესიულ პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობის განსაზღვრისას კი მხედველობაში მიიღება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა, დაწესებულებისა და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში პარტნიორი ორგანიზაციის შესაძლებლობები. **გამომდინარე აქედან დასტურდება, რომ პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. **დასტურდება, რომ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ მომზადებულია მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად და ითვალისწინებს არჩევითი მოდულის – „ესთეტიკური მასაჟი“ განხორციელებას. აღნიშნული მოდული უზრუნველყოფს სტუდენტების სპეციალიზებული ცოდნის გაღრმავებას და ასახავს შრომის ბაზარზე მოთხოვნად მიმართულებას. არჩევითი კომპონენტის არსებობა ხაზს უსვამს პროგრამის მოქნილობას და სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ინტერესებისა და კარიერული გეზის შესაბამისად შეარჩიონ დამატებითი უნარების განვითარების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მოდულის დანერგვა ემყარება როგორც სტანდარტულ მოთხოვნებს, ისე პრაქტიკულ საჭიროებებს, რაც კიდევ უფრო ამყარებს პროგრამის შესაბამისობას ბაზრის მოთხოვნებთან და ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციალს. **ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია**

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ (N 1543 03-02-2025 წელი), პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, შპს მარნეულის კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, ასევე კოლეჯის დებულებით. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდებას, პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. **დასტურდება, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული „მასაჟის თერაპიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 97 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 21სასწავლოთვე). ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 127 კრედიტს. პროგრამის რამდენიმე მოდული, ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად დაწესებულებას გატანილი აქვს დისტანციურ სწავლებაზე. ამ მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს რეგულაცია (მარეგულირებელი წესი, მუხლი 13). წესი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილებასთან. ამასთან, დაწესებულების მატერიალური რესურსი (ინფრასტრუქტურა, ინტერნეტთან წვდომა და დისტანციური შეხვედრების განხორციელების ელ. პლატფორმებთან წვდომა) საკმარისია იმისთვის, რომ დაწესებულებამ განსაზღვრული მოდულები განახორციელოს დისტანციურად. **დასტურდება, რომ პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი;
- გასაუბრება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

მატერიალური რესურსები ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს A გარემოში - აუდიტორია N226 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 20, და C გარემო - აუდიტორია N 227 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 20. თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია: 1 კომპიუტერი, 1 კომბაინი, 1 მონიტორი, 1 –ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი) და კარადა რესურსებისთვის. აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 40 პროფესიული სტუდენტს, ორი მიღების გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ყველა მოდულის ყველა სწავლის შედეგის მიღწევა შესაძლებელი ხდება კოლეჯის საკუთრებაში არსებული რესურსების მეშვეობით, დამატებითი საწარმოების ან საგანმანათლებლო ობიექტების საჭიროების გარეშე. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა სრულად შეესაბამება მის მიზნებსა და მოდულურ სტრუქტურას. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი პირი, სასწავლო გეგმის და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ 2 განმახორციელებელი პირი, შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. ხელშეკრულებებს ახლავს მოდულების დასახელება, რომლის განხორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს. პროფესიული მასწავლებლები შერჩეულია დაწესებულების მიერ დადგენილი შერჩევის წესის მიხედვით. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. **დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია და აკადემიის მიერ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

---

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები „საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით და „სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“. პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. **დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში. **დასტურდება რომ ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში - ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. **დასტურდება რომ ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის # 55 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 14.07.2025წ. #12262) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"–ს მე-3-ე თავის 21 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა. დოკუმენტის თანახმად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტის) საჭიროებისთვის კოლეჯი ვალდებულია შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. მხარეებს შორის შეთანხმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სტუდენტისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გემის შემუშავების საჭიროება შეიძლება დადგეს ასევე: თუ სტუდენტმა მეორე განმეორებითი შეფასების დროს ვერ მიიღო დადებითი შეფასება არარენტაბელური ჯგუფის ფორმირების შემთხვევაში, როცა კოლეჯი ვალდებულია სტუდენტს გაატაროს აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

კომპონენტი, სატატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სტუდენტის მიერ პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ცალკეული მოდულის/მოდულის კომპონენტების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში, მიღებული და დადასტურებული არაფორმალური განათლების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში (სწავლის ან კომპეტენციის დადასტურების შესახებ) და შიდა და გარე მობილობის შემთხვევაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროებას განსაზღვრავს და შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობს აკადემიური დირექტორი. სპეციალური საჭიროების სპეციფიკის გათვალისწინებით მოდულების მოდიფიცირებას/აკომოდირებას ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის ჩართულობით. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს აკადემიური დირექტორი. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - ექსპერტთა მიერ განხილულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი, საიდანაც ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ფინანსურად მდგრადია. პროგრამა მიმდინარეობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. კოლეჯის ბიუჯეტის შესაბამისად, რენტაბელობის ზღვარი არის 17 პროფესიული სტუდენტი. **შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.8 შესაბამისობაშია და შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ - კოლეჯს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული აქვს პროფესიული პროგრამის კომპლექსური შეფასება პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ, რომლის ფარგლებშიც განიხილება, როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივ მონაცემები. აღნიშნული პროცესი დეტალურადაა ასახული დოკუმენტებში: კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, დაწესებულების მიერ, ექსპერტებისთვის წარმოდგენილ დოკუმენტების: დამსაქმებლის კვლევის ანგარიში (N21648,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

18.12.2024), პროფორიენტაციისა და პრაქტიკის მენეჯერის კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი, რომელთა შესწავლის შემდეგ ნათლად ჩანს, რომ პსდ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიული პროგრამის კომპლექსური შეფასება პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ, რომელსაც ახორციელებს სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიური დირექტორი. სამუშაო ჯგუფი შედგება 9 წევრისგან, რომლებიც განიხილავენ სხვადასხვა საკითხების როგორც თვისობრივ ისე რაოდენობრივ მონაცემებს (მაგ: პროფესიული პროგრამის სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც მოიცავს რეგისტრანტების, სტუდენტების, სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და კურსდამთავრებული პირების ინფორმაციას; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს და დამსაქმებელთა მონაცემებს კოლეჯის კურსდამთავრებულთა კომპეტენციის შეფასების ნაწილში, პერსონალის სამუშაოს შეფასების შედეგებს, შუალედური შეფასების მონაცემებს, ვერიფიკაციის პროცესების ანალიზს და დამსაქმებელთა კვლევის ძირითად მიგნებებს). ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ყველა მონაცემი აისახება პროგრამის შეფასების სპეციალურ ფორმაში, რომელიც გაიხსნება პროგრამაზე გამოცხადების დაწყებიდან და ივსება პროგრამის დასრულებიდან არანაკლებ სამი წლის განმავლობაში ელექტრონული სისტემით. ფორმის წარმოებაზე პასუხისმგებელია აკადემიური დირექტორი, რომელიც დასრულებული ფორმას წარუდგენს დირექტორს შემდგომი რეაგირებისა და დამტკიცებისთვის. **შესაბამისად ინდიკატორის 2.3.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად - წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების თანახმად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება დინამიური და მოქმედი პროცესია და დაწესებულების ხელმძღვანელობა ყოველთვის ითვალისწინებს პროგრამით გაუმჯობესებისთვის გამოთქმულ არგუმენტირებულ მოსაზრებას, რის დასტურადაც დაწესებულებამ წარმოადგინა საჭიროებებზე რეაგირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ანგარიშები. საფინანსო სერვისების პროგრამის შეფასება მოხდა სამუშაო ჯგუფის მიერ. სამუშაო ჯგუფმა პროგრამის შეფასებისთვის გამოიყენა კოლეჯის მიერ ადაპტირებული პროგრამის შეფასების ფორმა, თუმცა ფორმის კოლეჯის საჭიროებებზე მორგება გახდა საჭირო, რადგან ხარისხის ცენტრის მიერ დამტკიცდა ახალი ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის ახალი ფორმის გამოყენება არ წარმოადგენდა ვალდებულებას კოლეჯისთვის, კოლეჯმა გადაწყვიტა ამ ფორმის ადაპტირებული ვერსია გამოეყენებინათ კოლეჯის პროგრამების შეფასებისათვის, რათა წინასწარ შეეფასებინათ არსებული რეალობა და თან გაევარჯიშათ ახალ ფორით მუშაობაში. კოლეჯისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა დასრულებული ციკლის შეფასების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლი12);
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი (მუხლი, 5,6,7)
- დამსაქმებლის კვლევის ანგარიში
- პროფორიენტაციისა და პრაქტიკის მენეჯერის კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი
- დირექტორის ბრძანება პროგრამაში ცვლილების შესახებ
- შეფასების ფორმები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მიმდინარე პროცესის შესწავლა/შეფასებით გამოიკვეთა, რომ პროგრამა ხორციელდება დაწესებულების მიერ გაწერილი სასწავლო გეგმის შესაბამისად.
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პროფესიულ სტუდენტებთან (რომლებიც წარმოდგენილი იყო, როგორც კურსდამთავრებული, ისე პირველი და მეორე წლის სტუდენტებით) გასაუბრებით დადგინდა რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, რათა მათ მიიღონ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და დააკმაყოფილონ დასაქმების ბაზარზე არსებული მოთხოვნები.
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას. სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც ზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა. გასაუბრებები ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და განვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად გამიყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს და ვიზუალურ თვალსაჩინოებებს. შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში. **შესაბამისად, ინდიკატორის 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

---

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 21 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება) განსაზღვრულია საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. რეგულაციით განსაზღვრულია ვინ შეიძლება განიხილებოდეს სპეციალური საჭიროებების მქონე პირად. სსსმ პირად შეიძლება ჩაითვალოს: სტატუსაღდგენილი პირი; შიდა მობილობით გადმოსული პირი; გარე მობილობით გადმოსული პირი; დასაქმებული; შშმ პირი. ინდივიდუალური სასწავლო გემის შემუშავების საჭიროება შეიძლება დადგეს თუ სტუდენტმა მეორე განმეორებითი შეფასების დროს ვერ მიიღო დადებითი შეფასება. არარენტაბელური ჯგუფის ფორმირების შემთხვევაში, როცა კოლეჯი ვალდებულია სტუდენტს გაატაროს აღნიშნული კომპონენტი. სატატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში. სტუდენტის მიერ პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ცალკეული მოდულის/მოდულის კომპონენტების დაუდასტურებლობის შემთხვევაში; მიღებული ფორმალური განათლების აღიარების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში. მიღებული და დადასტურებული არაფორმალური განათლების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში (სწავლის ან კომპეტენციის დადასტურების შესახებ); შიდა და გარე მობილობის შემთხვევაში. **ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - კოლეჯს საკუთარ ბაზაზე აქვს უზრუნველყოფილი პროგრამა სრულად ყველა საჭირო რესურსით. შესაბამისად დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების საჭიროება არ დგას. **ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია.**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად კოლეჯში უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი. პროგრამის ხელმძღვანელი წინასწარ გაწერილი სამუშაო გეგმის შესაბამისად ამოწმებს პროგრამის აღჭურვილობის უსაფრთხოებას და რეაგირებისთვის მიმართავს ადმინისტრაციულ დირექტორს. პროგრამის ხელმძღვანელი სწავლის დაწყებისთანავე სტუდენტებს უტარებს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. აღმზრდელის პროგრამაზე 2024 წელს განხორციელდა სასწავლო გარემოს უსაფრთხოების შემოწმება და შედეგები აისახა შემოწმების აქტში. სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება/დასტურდება, რომ პირველი აცნობს, ხოლო მეორე იცნობს უსაფრთხოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წესებს, რომლიც გათვალისწინებულია, როგორ შრომის უსაფრთხოების მოქმედი კანონმდებლობით, ისე პროფესიული პროტოკოლებით. **ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სასწავლო გეგმა
- სასწავლო კალენდარი
- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდივიდუალური გეგმის საჭიროების დასაბუთება, ბრძანება ინდივიდუალური გეგმის დამტკიცების შესახებ
- ტრენინგის - „სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“
- კონფერენციის -” საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში” ბმულები:
- 2022 დეკემბერი - https://mc.edu.ge/ge/posts/details/50/konferentsia
- 2023 ივნისი- https://mc.edu.ge/ge/posts/details/80/mastsavlebelta-konferentsia
- 2024 წლის სექტემბერი "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება " ბმული - https://mc.edu.ge/ge/posts/details/199/treningi-mastsavleblebisatvis 2024 წლის მარტი-მაისი ,,მასწავლებლის საჭიროებებზე მორგებული და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების ციკლი” ბმული - https://www.mc.edu.ge/ge/posts/details/120/ghonisdziebebis-tsikli; https://mc.edu.ge/ge/posts/details/164/treningi-lagodekhshi
- 2023 წლის 14 ნოემბრის ტრენინგი “სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ” - https://mc.edu.ge/ge/posts/details/91/treningi-stsavlebisa-da-shefasebis-metodologiis-shesakheb
- სტუდენტური უნარების კვირეულის ბმული:
- 2023 წელი- https://mc.edu.ge/ge/posts/details/74/chemi-khma-profesiul-ganatlebashi
- 2024 წელი - https://www.mc.edu.ge/ge/posts/details/186/unarebis-kvireuli
- განათლების პროგრამის პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- უსაფრთხოების დებულება;
- პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული პროგრამის უსაფრთხოების შემოწმების აქტი;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (17. სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი მუხლი 19. სტუდენტის შეფასების წესი; მუხლი 20. სტუდენტის შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი მუხლი) გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი და უზრუნველყოფილია შეფასების სისტემის ვალიდურობა, სამართლიანობა, გამჭირვალობა, სანდოობა. რეგულაციის შესაბამისად, შეფასების ინსტრუმენტები შემუშავებულია კოლეჯის მასწავლებლის მიერ დარგის სპეციალისტის ჩართულობით. დასრულებული და შეთანხმებული ინსტრუმენტის რეგისტრაციასა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ახდენს სასწავლო პროცესის მენეჯერი. ვალიდირებული ინსტრუმენტები ხელმისაწვდომია ინსტრუმენტების ბანკში, ყველა მასწავლებლისათვის ელექტრონულად, კოლეჯის დრაივზე. პროფესიული მასწავლებლების გამოკითხვით დგინდება, რომ ისინი იცნობენ ვალიდაციის წესს, პროცესს და რეგულარულად იღებენ მასში მონაწილეობას. პროგრამაზე შეფასების პროცესები ხორციელდება რეგულაციების შესაბამისად და გამოყენება მხოლოდ ვალიდური ინსტრუმენტები. რეგულაციის შესაბამისად კოლეჯში უზრუნველყოფილია სტუდენტების მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა, დაცულია განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და მტკიცებულებების მოპოვების წესი. პროგრამის მოდულების წინაპირობების გათვალისწინებით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გავიდნენ მეორე განმეორებით გამოცდაზე. შეფასების სისტემის უზრუნველყოფა კი დასტურდება ვერიფიკაციის შედეგებით. **ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად კოლეჯში შეფასების სისტემის შემოწმება უზრუნველყოფილია ვერიფიკაციის მექანიზმის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის შექმნას, ჯგუფის ხელმძღვანელი და შიდა ვერიფიკატორები არიან ხარისხის მართვის სამსახურის წევრები, ასევე თითოეულ სამოქმედო წლისთვის, ვერიფიკაციის რისკების სისტემის მიხედვით, შერჩეული მოდულებისთვის მოწვეულნი არიან დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები. დასკვნების განხილვას და ხარვეზების იდენტიფიცირებას ახდენს სამუშაო ჯგუფი, ხოლო გადაწყვეტილებას იღებს ჯგუფის ხელმძღვანელი. ვერიფიკაციის დასკვნების განხილვის შედეგად გამოკვეთილ ხარვეზებზე რეაგირებას ახდენს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმის ფარგლებში, ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი და შიდა ვერიფიკატორები დამატებითი საქმიანობის სახით ახორციელებენ კოლეჯის მიერ კვალიფიკაციის მინიჭების პროცესების მონიტორინგს. გამომდინარე იქიდან, რომ საკვალიფიკაციო გამოცდები კოლეჯის მიერ განიხილება როგორც კოლეჯის შეფასების სისტემის ნაწილი, მიზანშეწონილად არის ჩათვლილი ვერიფიკაციის ჯგუფმა განახორციელოს მისი მონიტორინგიც. მონიტორინგის მიზანია ერთის მხრივ კოლეჯის რეგულაციების და მიმდინარე პროცესების ურთიერთშესაბამისობის დადგენა, ხოლო მეორე მხრივ საკვალიფიკაციო შეფასების პროცესების შეფასება. მონიტორინგი ხორციელდება ვერიფიკაციის მექანიზმით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. მონიტორინგის დროს სტუდენტების ინფორმირებულობის და მტკიცებულებების შერჩევა ხდება ზემოთ მოცემული ვერიფიკაციის პროცედურების შესაბამისად. მონიტორინგის პროცესებზე და მონაცემების ანალიზზე პასუხისმგებელი პირია ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი. ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი უფლებამოსილია მოიწვიოს დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტი, რომელიც უფლებამოსილი იქნება შეაფასოს საკვალიფიკაციო გამოცდების დარგობრივი საკითხები. მონიტორინგის შედეგები წარედგინება კოლეჯის დირექტორს. **ზემოთ მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს და ეყრდნობა ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით - კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (მუხლი 19) შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული შეფასების მტკიცებულებები 3 წლის ვადით ინახება კოლეჯში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოებულ სტუდენტის პორტფოლიოში. ხოლო შეფასების უწყისები ინახება ცალკე, უვადოდ სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. რეგულაცია ითვალისწინებს მტკიცებულებათა განადგურების პროცედურას: შესაბამისი კომისია ახდენს სამი წლის მტკიცებულებების განადგურებას. ექსპერტების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

შესწავლილ იქნა მიმდინარე და კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოები, მათი შიგთავსი შეესაბამება მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილს და ისინი დაწესებულებაში ინახება დადგენილი წესის შესაბამისად.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის - კოლეჯში არსებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად სტუდენტების შეფასების შედეგების გაცნობაზე პასუხისმგებელი პირია მოდულის განმახორციელებელი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სტუდენტებს შეფასების შედეგები ეცნობათ პერსონალური მონაცემების დაცვით და მათთან გაფორმებული წერილობითი შეთანხმების შესაბამისად. სტუდენტებს შეფასების შედეგების განხილვასა და უკუკავშირის მიცემის მიზნით შეფასების პროცესის შემდგომ ჩაენიშნათ შეხვედრები, აღნიშნული შეხვედრების ჩანიშვნა ასახული და გათვალისწინებულია მასწავლებლების მიერ წარმოებულ კალენდარულ გეგმებში. სასწავლო წლის მანძილზე პროგრამის ხელმძღვანელი აღრიცხავს სტუდენტთა შეფასების შედეგების შესახებ მონაცემებს, რომელთა განხილვის და ანალიზის მიზნით ინიშნება შეხვედრები აკადემიურ დირექტორთან. **ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ვერიფიკაციის ანგარიშები;
- ვერიფიკაციის შედეგებზე აკადემიური დირექტორის რეაგირება.
- სტუდენტის პორტფოლიოები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 16 თებერვლის N10 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	44

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას - პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; საფინანსო სერვისების პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. მისი განხორციელება დასაბუთებულია საჭიროებიდან გამომდინარე, რაც დეტალურად არის აღწერილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის მიერ. პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რაც შეესაბამება საფინანსო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

სერვისების ჩარჩო დოკუმენტს. დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საბაზო განათლება და ასაკი სულ მცირე 17 წელი. პროგრამაზე შერჩევის პროცესს კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის შესაბამისად, ახორციელებს მარნეულის კოლეჯი, შერჩევის პროცედურები და შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს ისეთი პირების გამოვლენას, ვინც უფრო მოტივირებულია, კარგად აქვს გააზრებული საკუთარი კარიერული შესაძლებლობები და მეტი ალბათობით დაძლევს არჩეულ პროგრამას. აპლიკანტები, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართულ ენის კომპეტენცია და შერჩევის პროცესს გადიან არაქართულ ენაზე, ირიცხებიან კოლეჯში ქართული ენის მოდულებზე და დადასტურების შემთხვევაში, სწავლას აგრძელებენ არჩეულ პროგრამაზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. *პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით* - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით კოლეჯის მიერ დეტალურად არის გაწერილი სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისადაც კოლეჯის დირექტორის მიერ განისაზღვრება და მტკიცდება კოლეჯში სათითაო პროგრამისათვის სტუდენტების ზღვრული ოდენობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. *საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას* - კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის ჩამონათვალი. აღნიშნული რესურსის ერთის მხრივ ავტორიზაციის სტანდარტთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას და მეორეს მხრივ, რესურსების უზრუნველყოფის შეფასებას, ახორციელებს კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური. პროგრამის სასწავლო რესურსების შემოწმება ასევე ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
5. *საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან* - საფინანსო სერვისების საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდულები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
6. *საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ* - კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად საფინანსო სერვისების პროგრამა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

---

7. *პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი* - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საფინანსო სერვისების სახელწოდება შესაბამისობაშია მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებასთან და სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს. საფინანსო სერვისების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შენარჩუნებული აქვს შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სახელწოდება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
8. *პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს* - საფინანსო სერვისების პროგრამა შემუშავებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მიზნები, პროგრამის ხანგრძლივობა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას, რომელიც ითვალისწინებს მოდულების დაშვების წინაპირობებს და სტუდენტის კვირეულ დატვირთვას, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტუდენტთა დატვირთვასთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. სასწავლო პროცესის წესი
2. საფინანსო სერვისების პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი
3. საფინანსო სერვისების პროფესული საგანმანათლებლო პროგრამა
4. მარნეულის კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი
5. საფინანსო სერვისების პროგრამის მატერიალური რესურსი და აღჭურვილობა
6. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მარნეულის კოლეჯის საფინანსო სერვისების პროგრამის სასწავლო რესურსის შემოწმების აქტი
7. ხარისხის სამსახურის მიერ სასწავლო და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის შეფასების აქტი

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - საფინანსო სერვისების პროგრამაზე სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე და ერთი მოდულის შემთხვევაში - საწარმო პრაქტიკა-საფინანსო სერვისები, სწავლის შედეგების ნაწილი ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე. კოლეჯის ბაზაზე კი განსაზღვრულია (პროგრამის დანართი N22) სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი აღჭურვილობა და მასალა, რომლის საჭიროების დადგენა კოლეჯის 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ და გადამოწმდა და შეფასდა ხარისხის სამსახურის მიერ. კოლეჯს პროგრამა „საფინანსო სერვისები“-სთვის გააჩანია ერთი A და ერთი B გარემო, სადაც განთავსებულია 20 ლეპტოპი და 20 ადგილი პროფესიული სტუდენტისათვის; მაგიდა, სკამი და კომპიუტერი პროფესიული მასწავლებლისათვის; ასევე სადემონსტრაციო საშუალებები:ეკრანი, პრინტერი, დაფა. ლიბერთი ბანკის სიმულაციური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

სივრცე აღჭურვილია თვალსაჩინოებებით, მულაჟებით, შესაბამისი მატერიალურული რესურსით (ფულის სათველი მანქანა, ფულის ამომცნობი დეტექტორი, ფულის ნიმუშები, ბანდეროლები, ლუქები, გამომთველელბი, ლუპები, სხვადასხვა სახეობის შტამპები) და პროგრამული უზრუნველყოფით. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციებთან: სს „ლიბერთი ბანკი“, სს „ტერაბანკი“, შპს „ნოვა“, შპს „გორგია“, შპს „კრალის სავაჭრო ობიექტი“ . პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით ხელშეკრულების ფარგლებში თანამშრმომლობს შპს „ალტა სოფთვეართან“. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები პრაქტიკის მენეჯერთან ერთად იმყოფებოდნენ შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციებში: სს „ლიბერთი ბანკსა“ და შპს „გორგიაში“ . ისინი ადგილზე გაესაუბრნენ მენეჯრებს, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის გავლის უზრუნველყოფაზე. გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ კოლეჯთან, მათთვისაც საინტერესოა კოლეჯის სტუნტების პრაქტიკაზე მიღება, რადგან აქტიური ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში ხდება გამორჩეული სტუდენტისთვის დასაქმების შეთავაზება. აღნიშნული დადასტურდა ბანკში ვიზიტის პერიოდშიც, სადაც კოლეჯის სტუდენტი სულ რამდენიმე კვირის დასაქმებული იყო და მისი შერჩევა სწორედ კოლეჯთან თანამშრომლობით მოხდა. ვიზიტის პერიოდში ასევე განხორციელდა გასაუბრება, როგორც პროფესიულ სტუდენტებთან, ისე კურსდამთავრებულებთან. მათთან ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროცესში შეფერხების გარეშე იყენებენ მოდულების შესაბამის რესურს, როგორც აკადემიაში ასევე რეალურ სამუშაო ადგილებზე- ბანკებსა და მაღაზიაში პრაქტიკული სწავლების დროს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - პროგრამის განმახორციელებელ პირთა ჩამონათვალი მოდულის შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მითითებით განსაზღვრულია პროგრამის დანართით. „საფინანსო სერვისები“-ს განხორციელებაში ჩართული პირების საერთო რაოდენობა პროგრამაზე შეადგენს 28 პროფესიული განათლების მასწავლებელს. აქედან: 9 - პროფესიული მოდულების და 19 - ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირია. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა შესაბამისობაშია კონონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, რაც დასტურდება დირექტორის მიერ მომზადდა ტარიფიკაციის დოკუმენტით. მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდება არის 28/44. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - პროფესიულ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია კოლეჯის პერსონალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მართვის წესით, აღნიშნული ითალისწინებს შესაბამისი განათლების დადასტურებას ან დარგში მუშაობის გამოცდილებას. საფინანსო სერვისების პროგრამაზე სწავლების განმახორციელებელთა დარგობრივი ცოდნა და სამუშაო გამოცდილება პროგრამის მოთხოვნის სპეციფიკის გათვალისწინებით დასტურდება მათ პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციით. სწავლებისა და შეფასების კომპეტენციების ამაღლების მიზნით, კოლეჯში მასწავლებელებისათვის განხორციელებულია არაერთი ტრენინგი. ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერი მთელი წლის მანძილზე მეთოდოლოგიურ კონსულტირებას უწევს მასწავლებლებს სწავლებისა და შეფასების მიმართულებით. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაესაუბრნენ როგორც დარგობრივი, ისე ზოგადი მოდულების პროფესიულ მასწავლებლებს. გასაუბრებით დადასტურდა, რომ თითოეული მათგანი იცნობს პროგრამას, განსახორციელებელ მოდულებს, იყენებენ განახლებულ საგანმანათლებლო რესურსს და სხვადასხვა საშუალებებით (კოლეგების მიერ გაზიარებული ინფორმაციით, ბანკებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ლიბერთი ბანკის წარმომადგნლების მიერ ჩატარებული შეხვედრით) ეცნობიან დარგის თანამედროვე მიდგომებს. მათი კვალიფიკაცია განსახორციელებელი მოდულების შესაბამისია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - კოლეჯის შინაგანაწესის შესაბამისად საფინანსო სერვისების პროგრამას ხელმძღვანელობს დარგის გამოცდილი სპეციალისტი, რომლის დარდში მუშაობის გამოცდილება დასტურდება მის პირად საქმეში განთავსებული დოკუმენტაციით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში - კოლეჯის მიერ განსაზღვრული ბიბლიოთეკის მართვის წესი ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსის კატალოგის და საბიბლიოთეკო რესურსის ელექტრონული და მატერიალური ვერსიების ხელმისაწვდომობას. ყველაზე ხშირად გამოყენებადი სახელმძღვანელოები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ გვერდზე. ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით სრგებლობა სტუდენტებს და პერსონალს შეუძლიათ კოლეჯის ბიბლიოთეკაში. მომხმარებლის მიერ ბიბლიოთეკაში არსებული რესურსის გამოყენება დასტურდება ბიბლიოთეკარის მიერ წარმოებული აღრიცხვიანობით. ბიბლიოთეკაში საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის შემოწმება პერიდულად ხორციელდება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





6. *სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად* - კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება. კოლეჯი იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სსსმ ადაპტირებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსით საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მიმდინარე ორი სამოქმედო წლის განმავლობაში საფინანსო სერვისების პროგრამაზე არ ყოფილა სსსმ სტუდენტი და შესაბამისად არც გამოკვეთილა სასწავლო რესურსის ადაპტირების საჭიროება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - პროფესიული პროგრამა „საფინანსო სერვისები“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით მიიღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯვითი ნაწილისგან. შემოსავლის მთავარი წყაროა პროფესიული სტუდენტის ვაუჩერი, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროფესიული მასწავლებლის, ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურებას, მასალა-ნედლეულის შესყიდვის, კომუნალურ და სხვა ხარჯებს. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მდგრადია. რენტაბელობის ზღვარი არის 22. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საფინანსო სერვისების საგანმანათლებლო პროგრამის რესურსი და აღჭურვილობა
- პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მარნეულის კოლეჯის საფინანსო სერვისები პროგრამის სასწავლო რესურსის შემოწმების აქტი
- ხარისხის სამსახურის მიერ სასწავლო და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის შეფასების აქტი
- ადმინისტრაციული დირექტორის სასწავლო და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის შეფასების რეაგირება
- საფინანსო სერვისების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი
- 2024-2025 წლის ტარიფიკაციის დოკუმენტები
- მარნეულის კოლეჯის პერსონალის მართვის წესი
- ტრენინგების სტატისტიკა
- სასწავლო პროცესის მენეჯერის მიმდინარე პროცესების შესახებ ანგარიში - საფინანსო სერვისების პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება
- პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტი და გასაუბრება
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- სტუდენტენთან და კურსდამტავრებულებთან გასაუბრება
- A და B გარემოს ფოტომასალა

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა - შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიული პროგრამის კომპლექსური შეფასება პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ, რომელსაც ახორხიელებს სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიური დირექტორი. სამუშაო ჯგუფი შედგება 9 წევრისგან, რომლებიც განიხილავენ სხვადასხვა საკითხების როგორც თვისობრივ ისე რაოდენობრივ მონაცემებს (მაგ: პროფესიული პროგრამის სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც მოიცავს რეგისტრანტების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

სტუდენტების, სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და კურსდამთავრებული პირების ინფორმაციას; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს და დამსაქმებელთა მონაცემებს კოლეჯის კურსდამთავრებულთა კომპეტენციის შეფასების ნაწილში, პერსონალის სამუშაოს შეფასების შედეგებს, შუალედური შეფასების მონაცემებს, ვერიფიკაციის პროცესების ანალიზს და დამსაქმებელთა კვლევის ძირითად მიგნებებს...). ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ყველა მონაცემი აისახება პროგრამის შეფასების სპეციალურ ფორმაში, რომელიც გაიხსნება პროგრამაზე გამოცხადების დაწყებიდან და ივსება პროგრამის დასრულებიდან არანაკლებ სამი წლის განმავლობაში ელექტრონული სისტემით. ფორმის წარმოებაზე პასუხისმგებელია აკადემიური დირექტორი, რომელიც დასრულებული ფორმას წარუდგენს დირექტორს შემდგომი რეაგირებისა და დამტკიცებისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად - საფინანსო სერვისების პროგრამის შეფასება მოხდა სამუშაო ჯგუფის მიერ. სამუშაო ჯგუფმა პროგრამის შეფასებისთვის გამოიყენა კოლეჯის მიერ ადაპტირებული პროგრამის შეფასების ფორმა, თუმცა ფორმის კოლეჯის საჭიროებებზე მორგება გახდა საჭირო, რადგან ხარისხის ცენტრის მიერ დამტკიცდა ახალი ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის ახალი ფორმის გამოყენება არ წარმოადგენდა ვალდებულებას კოლეჯისთვის, კოლეჯმა გადაწყვიტა ამ ფორმის ადპტირებული ვერსია გამოეყენებინათ კოლეჯის პროგრამების შეფასებისათვის, რათა წინასწარ შეეფასებინათ არსებული რეალობა და თან გაევარჯიშათ ახალ ფორით მუშაობაში. კოლეჯისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა დასრულებული ციკლის შეფასების შედეგები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი
- საფინანსო სერვისების პროგრამის შეფასების ფორმა
- ჩატარებული კვცლევის ანგარიშები
- დირექტორის ბრძანება პროგრამაში ცვლილების შესახებ

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - საფინანსო სერვისების პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ და წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს. ამ გეგმის საფუძველზე აკადემიური დირექტორი ყოველ სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს სასწავლო კალენდარს, რომელშიც განსაზღვრულია მოდულების დაწყებისა და დასრულების ვადები, ასევე წინაპირობების დაცვა. სასწავლო კალენდრის მიხედვით მზადდება მეცადინეობის ცხრილები და შეფასების განრიგი სტუდენტთა ჯგუფებისთვის, ხოლო მასწავლებლები ადგენენ კალენდარულ გეგმებს, რომლებიც შეთანხმებულია სასწავლო მენეჯერთან. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება ემყარება მარეგულირებელი დოკუმენტის მოთხოვნებს. ამრიგად, პროგრამის განხორციელება სრულად უზრუნველყოფილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის, სასწავლო კალენდრისა და კალენდარული გეგმების შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს გამოკვეთილი საჭიროების შემთხვევაში აკადემიური დირექტორის მიერ სასწავლო კალენდარში ცვლილების შეტანას, რაც გულისხმობს ინდივიდუალურ სასწავლო კალენდარს კონკრეტული სტუდენტისთვის ან ჯგუფისთვის. მაგ. სტუდენტმა მოითხოვა მეორე განმეორებით შეფასებაზე გასვლას გაცნობითი პრაქტიკის მოდულში და აკადემიური დირექტორის პროფესიულ მასწავლებელთან შეთანხმებით მას დაენიშნა მეორე განმეორებითი გამოცდა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - საფინანსო სერვისების პროგრამაზე სწავლების პროცესის განხორციელება გათვალიწინებულია დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრული სწავლის მეთოდების შესაბამისად. კოლეჯი ყოველწლიურად უზურველყოფს პროფესიული მასწავლებლებისთვის სხვადასხვა ტრენინგების და პრაქტიკული კონფერენციების ჩატრებას, სადაც პროფესიულ მასწავლებლებლებს შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ სწავლებბის თანამედროვე მეთოდებს, გააზიარონ გამოცდილება და სხვისი ცოდნის და სიახლეების გაცნობით აიმაღლონ კვალიფიკაცია. მსგავს ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილეობას იღებენ საფინანსო სერვისების მასწავლებლებლებიც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა საჭიროების შემთხვევაში. რეგულაციიით განსაზღვრულია ვინ შეიძლება განიხილებოდეს სპეციალური საჭიროებების მქონე პირად. წინა წლებში პროგრამას არ ჰყოლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე სტუდენტი. თუმცა 2024-2025 წელს საფინანსო სერვისების პროგრამაზე ერთმა სტუდენტმა ისარგებლა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. მას აღუდგა სტატუსი, ფორმალური განათლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მას უღიარდა 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე ათვისებული ყველა მოდული, დამტკიცდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მიეცა უფლება დაიშვას საკვალიფიკაციო გამოცდაზე 2025 წლის 9 ივლისს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - საფინანსო სერვისების საგანმანათლებლო პროგრამის მოდული-„საწარმოო პრაქტიკა“ ითვალისწინბს პრაქტიულ კომპონენტს, რომელიც მიმდინარებს პრაქტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ობიექტებთან ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და შესაბამისი პირობების დაცვით. კოლეჯს პრაქტიკის განხორციელების მიზნით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ორგანიზაციებთან: სს „ლიბერთი ბანკი"; შპა „ნოვა"; შპს" გორგია"; სს „ტერა ბანკი"; შპს „კრალის სავაჭრო ობიექტი". გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევ სწავლის შედეგებს, მათ მისაღწევად საჭირო კოორდინაციის საკითხებს, პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიებს და პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას.

სს „ლიბერთი ბანკთან" ხელშეკრულება N 234158498/11042025 გაფორმებულია 2025 წლის 11 აპრილს. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად მხარეთა თანამშრომლობა გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის-„საფინანსო სერვისებში" შემავალი მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობას შემდეგი მოდულის ფარგლებში:

1) საწარმოო პრაქტიკა-საფინანსო სერვისები-კლიენტის მომხმარებლის საბანკო სერვისებით მომსახურება გაყიდვების ტექნიკის მეთოდების გამოყენებით

ბანკი ერთდროულად 30 პროფესიული სტუდენტის მიღებით უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობას სხვადახვა ფილიალის გათვალისწინებით. თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკული კომპონენტის პერიოდი განისაზღვრება 37 საათის ვადით, ბანკის სამუშაო დროის შუალედებში. ბანკი უფლებამოსილია პრაქტიკის ობიექტზე მყოფ სტუდენტებს გამოუყოს პრაქტიკის ხელმძღვალენელი და უზრუნველყოს შესაბამისი შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის და მათი დადასტურების შესაძლებლობა. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2 კალენდრული წლის ვადით.

სს „ტერაბანკთან" მემორანდუმი N 102868218 გაფორმებულია 2024 წლის 29 აპრილს. წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად მხარეთა თანამშრომლობა გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის-„საფინანსო სერვისებში" შემავალი მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობას შემდეგი მოდულის ფარგლებში:

1) საწარმოო პრაქტიკა-საფინანსო სერვისები-კლიენტის მომხმარებლის საბანკო სერვისებით მომსახურება გაყიდვების ტექნიკის მეთოდების გამოყენებით

ბანკი ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის მიღებით უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობას. თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკული კომპონენტის პერიოდი განისაზღვრება 37 საათის ვადით, ბანკის სამუშაო დროის შუალედებში. ბანკი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

უფლებამოსილია პრაქტიკის ობიექტზე მყოფ სტუდენტებს გამოუყოს პრაქტიკის ხელმძღვალენელი და უზრუნველყოს შესაბამისი შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის და მათი დადასტურების შესაძლებლობა.

მემორანდუმი ძალაში შედის 2024 წლის 29 აპრილიდან და მოქმედებს 2 კალენდრული წლის ვადით.

შპს „ნოვა"-სთან ურთიერთთანამშრომლობის და სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ ხელშეკრულება N68 გაფორმებულია 2024 წლის 6 მარტს და ძალაშია 2026 წლის 5 მარტის ჩათვლით.

თანამშრომლობის საგანია პრაქტიკის ობიექტის კუთვნილ სავაჭრო ობიექტზე (ობიექტებზე) კოლეჯის პროფესიული სტუდენტების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გავლა. კოლეჯთან შეთანხმებით პრაქტიკაზე ერთდროულად ერთ ობიექტზე შეუძლია 4 პროფესიული სტუდენტის მიღება (მისამართების გათვალისწინებით ჯამში 20). თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკული კომპონენტის პერიოდი განისაზღვრება 37 საათის ვადით.

პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ჩამონათვალი და შესაბამისი თემატიკა გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის-„საფინანსო სერვისებში" შემავალი მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ხელშეწყობას ჩამოთვლილი „საწარმოო პრაქტიკა-საფინანსო სერვისები"-ის ფარგლებში.

შპს „გორგია"-სთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი N131 გაფორმებულია 2021 წლის 22 ივლისს 1 წლის ვადით და ყოველწლიურად გრძელდება ავტომატურად, თუ მხარე წერილობით არ მოითხოვს მის გაუქმებას.

თანამშრომლობის საგანია პრაქტიკის ობიექტის კუთვნილ სავაჭრო ობიექტზე კოლეჯის პროფესიული სტუდენტების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გავლა. კოლეჯთან შეთანხმებით პრაქტიკაზე ერთდროულად ერთ ობიექტზე შეუძლია 10 პროფესიული სტუდენტის მიღება.

შპს „კრალ XXI" სავაჭრო ობიექტთან ხელშეკრულება N44 გაფორმებულია 2018 წლის 27 მარტს და ძალაშია 2023 წლის 27 მარტამდე ავტომატური გაგრძელების პირობით.

თანამშრომლობის საგანია პრაქტიკის ობიექტის კუთვნილ სავაჭრო ობიექტზე კოლეჯის პროფესიული სტუდენტების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გავლა. კოლეჯთან შეთანხმებით პრაქტიკაზე შეუძლია 3 პროფესიული სტუდენტის მიღება.

პსდ-ს მიერ წარმოდგენილი იყო შპს „ალტა სოფთვეართან" გაფორმებული მემორანდუმი ურთერთთანამშრომლობის შესახებ N111022023, რომელიც 2023 წლის ოქტომბრით თარიღდება. მემორანდუმის მიზანია სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





განსახორციელებლად კომპანიის მხრიდან ხელშეწყობა და თანამშრომლობა წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში სასწავლო დაწესებულების, სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლება, მათი პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი განათლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადების ხელშეწყობა და პროფესიული განათლების განვითარება. მემორანდუმის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელმოწერის მომენტიდან 3 წლის ვადით.

ექსპერტთა შეფასებით, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. სტუდენტებს პირველივე შეხვედრაზე ეცნობებთან უსაფრთხოების წესები, მათ შორის ტექნიკურ აღჭურვილობასთან ქცევის წესები. აღნიშნული დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებითაც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საფინანსო სერვისების პროგრამის სასწავლო გეგმა
- სასწავლო კალენდარი
- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტუდენტის განცხადება მეორე განმეორებითი გამოცდის თხოვნის შესახებ
- აკადემიური დირექტორისა და პროფესიული მასწავლებლის შეთანხმება მეორე განმეორებითი გამოცდის დანიშვნის შესახებ
- 6.ტრენინგის - „სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“ ბმული - https://www.mc.edu.ge/ge/posts/details/84/stsavla-stsavlebis-tanamedrove-midgomebi-profesiul-ganatlebashi-da-profesiuli-studentebis-mightsevebis-shefaseba ;
- კონფერენციის -” საუკეთესო პარქტიკის გაზიარება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში” ბმულები: https://mc.edu.ge/ge/posts/details/50/konferentsia
- ; https://mc.edu.ge/ge/posts/details/80/mastsavlebelta-konferentsia
- ბრძანება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ
- საფინანსო სერვისების პროგრამის პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტი
-

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, შერჩევითობის პრინციპით გადამოწმდა სტუდენტების პორტფოლიოები, სადაც განთავსებული იყო გავლილი მოდულების დადასტურებები. ტესტირების პროცესი სრულად ელექტრონულად აქვთ. რაც შეეხება პრაქტიკულ დავალებას დაკვირვებით, შერჩერვითობის პრინციპით გადამოწმებული დავალება, მტკიცებულეები და ჩეკლისტი სრულად შესაბამისობაში იყო ერთმანეთთან, დაცული იყო შეფასების ინსტრუნტის შემუშავების ინსტრუქცია და დამოწმებული იყო შესაბამისი პირების მიერ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - ვერიფიკაციის მექანიზმის საფუძველზე კოლეჯში მოწმდება შეფასების სისტემა. ვერიფიკაციის მექანიზმის შესაბამისად იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელი და შიდა ვერიფიკატორები არიან ხარისხის მართვის სამსახურის წევრები და დამოუკიდებელი დარგის სპეციალისტები, რომლებიც მოწვეულნი არიან ყოველი სამოქმედო წლისთვის ვერიფიკაციის რისკების სისტემის მიხედვით შერჩეული მოდულებისთვის. შიდა ვერიფიკატორები და დარგის სპეციალისტები ვერიფიკაციის მექანიზმით და დამტკიცებული ვერიფიკაციის დასკვენის ფორმების გამოყენებით ახორციელებენ ვერიფიკაციის სამ ფაზას. სამუშაო ჯგუფი ახდენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

დასკვნების განხილვას და ხარვეზების იდენტიფიცირებას, გადაწყვეტილებას კი იღებს ჯგუფის ხელმძღვანელი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. *ჰსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით* - კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, საფინანსო სერვისების პროგრამაზე განხორციელებული შეფასების მტკიცებულებები 3 წლის ვადით ინახება კოლეჯში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოებულ სტუდენტის პორტფოლიოში. ხოლო შეფასების უწყისები ინახება ცალკე, უვადოდ სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. რეგულაცია ითვალისწინებს მტკიცებულებათა განადგურების პროცედურას: შესაბამისი კომისია, ახდენს სამი წლის მტკიცებულებების განადგურებას.
4. *პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის* - კოლეჯში სტუდენტების შეფასების შედეგების გაცნობაზე პასუხისმგებელი პირია მოდულის განმახორციელებელი. სტუდენტებისთვის შეფასების შედეგების გაცნობა განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვით და მათთან გაფორმებული წერილობითი შეთანხმების შესაბამისად. სტუდენტებს შეფასების პროცესის შემდგომ ენიშნებათ შეხვედრები შეფასების შედეგების განხილვასა და უკუკავშირის მიცემის მიზნით, რაც ასახულია მასწავლებლების მიერ წარმოებულ კალენდარულ გეგმებში. სასწავლო წლის მანძილზე გათვალისწინებულია პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტთა შეფასების შედეგების შესახებ კრებსითი მონაცემების აღრიცხვა, ჩაინიშნა შეხვედრები აკადემიურ დირექტორთან მონაცემების განხილვის და ანალიზის მიზნით, შედეგები კი გამოყენებულ იქნება შემდგომი რეაგირებისთვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- სერვისების პროგრამის 2020-2021 წლის კურსდამთავრებულების მტკიცებულებების განადგურების კომისიის ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2019 წლის 10 სექტემბრის N35 ბრძანებით
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	44

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას - კოლეჯის მიერ პროგრამის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნება კოლეჯის გრძელვადიან სტრატეგიულ ხედვას. კოლეჯის მიერ შემუშავებული და შეთავაზებული პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ სრულად არის თანხვედრაში როგორც კოლეჯის მისიის, ისე სტრატეგიული განვითარების გეგმის ძირითად მიზნებთან. პროგრამა, თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროს მზარდი მოთხოვნების გათვალისწინებით, მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი, კომპეტენტური კადრების მომზადებას, რაც სრულად შეესაბამება კოლეჯის ძირითად პრინციპებს. აქედან გამომდინარე, შეფასება დადებითია: გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ არამარტო დასაბუთებულია, არამედ ნათლად არის ჩადგმული კოლეჯის მისიისა და სტრატეგიული განვითარების ლოგიკაში. **ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია.**
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განხორციელებისას განსაზღვრულია გასაგები და დასაბუთებული დაშვების წინაპირობები და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევადობას განსაზღვრულ ვადებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

პროგრამაზე მიღების ძირითადი კრიტერიუმია საშუალო განათლების ქონა, რაც შეესაბამება მოქმედ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს. აღნიშნული წინაპირობა ხელს უწყობს იმ კანდიდატთა შერჩევას, რომელთაც გააჩნიათ საწყისი საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც პროგრამის ეფექტურად ათვისების წინაპირობაა. ჩარიცხვის პროცედურები დეტალურად გაწერილია კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში“ და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროცესი განხორციელდება აპლიკანტების მიერ საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და თანასწორობას. შეფასებისას მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის დაწესებულება ითვალისწინებს მათ შესაძლებლობებზე მორგებულ მიდგომას. რეგიონის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დაწესებულება ჩარიცხვის მნიშვნელოვან წინაპირობად აყენებს ქართული ენის ცოდნას. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები რაციონალურად განსაზღვრულია და სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და სასწავლო შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, რომელიც დამტკიცებულია შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მე–9 მუხლის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება თითოეულ პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობათა ჯამით. თითოეულ პროფესიულ პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობის განსაზღვრისას კი მხედველობაში მიიღება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა, დაწესებულებისა და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში პარტნიორი ორგანიზაციის შესაძლებლობები. **გამომდინარე აქედან დასტურდება, რომ პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. **დასტურდება, რომ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - პროგრამას არჩევითი მოდული არ აქვს.
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ (2019 წლის 10 სექტემბრის N35 ბრძანებით), პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, შპს მარნეულის კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, ასევე კოლეჯის დებულებით. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდებას, პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. **დასტურდება, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის მოდულების (A2; B1) სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

შესაბამისად, პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 55 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 21სასწავლოთვე). ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 70 კრედიტს. პროგრამის რამდენიმე მოდული, ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად დაწესებულებას გატანილი აქვს დისტანციურ სწავლებაზე. ამ მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს რეგულაცია (მარეგულირებელი წესი, მუხლი 13). წესი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 416-ე დადგენილებასთან. ამასთან, დაწესებულების მატერიალური რესურსი (ინფრასტრუქტურა, ინტერნეტთან წვდომა და დისტანციური შეხვედრების განხორციელების ელ. პლატფორმებთან წვდომა) საკმარისია იმისთვის, რომ დაწესებულებამ განსაზღვრული მოდულები განახორციელოს დისტანციურად. **დასტურდება, რომ პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი;
- გასაუბრება

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსები ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს A გარემოში - აუდიტორია N211 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 20, B გარემოში - აუდიტორია N222 პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 24. თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია: 1 კომპიუტერი, 1 კომბაინი, 1 მონიტორი, 1 –ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი) და კარადა რესურსებისთვის. აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 44 პროფესიული სტუდენტს, ორი მიღების გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ყველა მოდულის ყველა სწავლის შედეგის მიღწევა შესაძლებელი ხდება კოლეჯის საკუთრებაში არსებული რესურსების მეშვეობით, დამატებითი საწარმოების ან საგანმანათლებლო ობიექტების საჭიროების გარეშე. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა სრულად შეესაბამება მის მიზნებსა და მოდულურ სტრუქტურას. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი პირი, სასწავლო გეგმის და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ 2 განმახორციელებელი პირი, შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. ხელშეკრულებებს ახლავს მოდულების დასახელება, რომლის განხორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს. პროფესიული მასწავლებლები შერჩეულია დაწესებულების მიერ დადგენილი შერჩევის წესის მიხედვით. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. **დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია და აკადემიის მიერ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები „საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით და „სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“. პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. **დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია და**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში. **დასტურდება რომ ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში - ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. **დასტურდება რომ ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის # 55 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 14.07.2025წ. #12262) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"–ს მე-3-ე თავის 21 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა. დოკუმენტის თანახმად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტის) საჭიროებისთვის კოლეჯი ვალდებულია შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. მხარეებს შორის შეთანხმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სტუდენტისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.
ინდივიდუალური სასწავლო გემის შემუშავების საჭიროება შეიძლება დადგეს ასევე: თუ სტუდენტმა მეორე განმეორებითი შეფასების დროს ვერ მიიღო დადებითი შეფასება არარენტაბელური ჯგუფის ფორმირების შემთხვევაში, როცა კოლეჯი ვალდებულია სტუდენტს გაატაროს აღნიშნული კომპონენტი, სატატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სტუდენტის მიერ პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ცალკეული მოდულის/მოდულის კომპონენტების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში, მიღებული და დადასტურებული არაფორმალური განათლების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში (სწავლის ან კომპეტენციის დადასტურების შესახებ) და შიდა და გარე მობილობის შემთხვევაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროებას განსაზღვრავს და შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობს აკადემიური დირექტორი. სპეციალური საჭიროების სპეციფიკის გათვალისწინებით მოდულების მოდიფიცირებას/აკომოდირებას ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის ჩართულობით. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს აკადემიური დირექტორი. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - ექსპერტთა მიერ განხილულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი, საიდანაც ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ფინანსურად მდგრადია. პროგრამა მიმდინარეობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. კოლეჯის ბიუჯეტის შესაბამისად, რენტაბელობის ზღვარი არის 22 პროფესიული სტუდენტი. **შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.8 შესაბამისობაშია და შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ - კოლეჯს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული აქვს პროფესიული პროგრამის კომპლექსური შეფასება პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ, რომლის ფარგლებშიც განიხილება, როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივ მონაცემები. აღნიშნული პროცესი დეტალურადაა ასახული დოკუმენტებში: კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი, დაწესებულების მიერ, ექსპერტებისთვის წარმოდგენილ დოკუმენტების: დამსაქმებლის კვლევის ანგარიში (N21648, 18.12.2024), პროფორიენტაციისა და პრაქტიკის მენეჯერის კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი, რომელთა შესწავლის შემდეგ ნათლად ჩანს, რომ პსდ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიული პროგრამის კომპლექსური შეფასება პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ, რომელსაც ახორციელებს სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიური დირექტორი. სამუშაო ჯგუფი შედგება 9 წევრისგან, რომლებიც განიხილავენ სხვადასხვა საკითხების როგორც თვისობრივ ისე რაოდენობრივ მონაცემებს (მაგ: პროფესიული პროგრამის სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც მოიცავს რეგისტრანტების, სტუდენტების, სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და კურსდამთავრებული პირების ინფორმაციას; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს და დამსაქმებელთა მონაცემებს კოლეჯის კურსდამთავრებულთა კომპეტენციის შეფასების ნაწილში, პერსონალის სამუშაოს შეფასების შედეგებს, შუალედური შეფასების მონაცემებს, ვერიფიკაციის პროცესების ანალიზს და დამსაქმებელთა კვლევის ძირითად მიგნებებს). ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ყველა მონაცემი აისახება პროგრამის შეფასების სპეციალურ ფორმაში, რომელიც გაიხსნება პროგრამაზე გამოცხადების დაწყებიდან და ივსება პროგრამის დასრულებიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

არანაკლებ სამი წლის განმავლობაში ელექტრონული სისტემით. ფორმის წარმოებაზე პასუხისმგებელია აკადემიური დირექტორი, რომელიც დასრულებული ფორმას წარუდგენს დირექტორს შემდგომი რეაგირებისა და დამტკიცებისთვის. **შესაბამისად ინდიკატორის 2.3.1.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად - წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების თანახმად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება დინამიური და მოქმედი პროცესია და დაწესებულების ხელმძღვანელობა ყოველთვის ითვალისწინებს პროგრამით გაუმჯობესებისთვის გამოთქმულ არგუმენტირებულ მოსაზრებას, რის დასტურადაც დაწესებულებამ წარმოადგინა საჭიროებებზე რეაგირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ანგარიშები. საფინანსო სერვისების პროგრამის შეფასება მოხდა სამუშაო ჯგუფის მიერ. სამუშაო ჯგუფმა პროგრამის შეფასებისთვის გამოიყენა კოლეჯის მიერ ადაპტირებული პროგრამის შეფასების ფორმა, თუმცა ფორმის კოლეჯის საჭიროებებზე მორგება გახდა საჭირო, რადგან ხარისხის ცენტრის მიერ დამტკიცდა ახალი ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის ახალი ფორმის გამოყენება არ წარმოადგენდა ვალდებულებას კოლეჯისთვის, კოლეჯმა გადაწყვიტა ამ ფორმის ადაპტირებული ვერსია გამოეყენებინათ კოლეჯის პროგრამების შეფასებისათვის, რათა წინასწარ შეეფასებინათ არსებული რეალობა და თან გაევარჯიშათ ახალ ფორით მუშაობაში. კოლეჯისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა დასრულებული ციკლის შეფასების შედეგები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლი12);
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი (მუხლი, 5,6,7)
- დამსაქმებლის კვლევის ანგარიში
- პროფორიენტაციისა და პრაქტიკის მენეჯერის კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი
- დირექტორის ბრძანება პროგრამაში ცვლილების შესახებ
- შეფასების ფორმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მიმდინარე პროცესის შესწავლა/შეფასებით გამოიკვეთა, რომ პროგრამა ხორციელდება დაწესებულების მიერ გაწერილი სასწავლო გეგმის შესაბამისად.
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და პროფესიულ სტუდენტებთან (რომლებიც წარმოდგენილი იყო, როგორც კურსდამთავრებული, ისე პირველი და მეორე წლის სტუდენტებით) გასაუბრებით დადგინდა რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, რათა მათ მიიღონ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და დააკმაყოფილონ დასაქმების ბაზარზე არსებული მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას. სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც ზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა. გასაუბრებები ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და განვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად გამიყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს და ვიზუალურ თვალსაჩინოებებს. შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში. **შესაბამისად, ინდიკატორის 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 21 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება) განსაზღვრულია საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. რეგულაციით განსაზღვრულია ვინ შეიძლება განიხილებოდეს სპეციალური საჭიროებების მქონე პირად. სსსმ პირად შეიძლება ჩაითვალოს: სტატუსაღდგენილი პირი; შიდა მობილობით გადმოსული პირი; გარე მობილობით გადმოსული პირი; დასაქმებული; შშმ პირი. ინდივიდუალური სასწავლო გემის შემუშავების საჭიროება შეიძლება დადგეს თუ სტუდენტმა მეორე განმეორებითი შეფასების დროს ვერ მიიღო დადებითი შეფასება. არარენტაბელური ჯგუფის ფორმირების შემთხვევაში, როცა კოლეჯი ვალდებულია სტუდენტს გაატაროს აღნიშნული კომპონენტი. სატატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში. სტუდენტის მიერ პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ცალკეული მოდულის/მოდულის კომპონენტების დაუდასტურებლობის შემთხვევაში; მიღებული ფორმალური განათლების აღიარების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში. მიღებული და დადასტურებული არაფორმალური განათლების საფუძველზე დარჩენილი კომპონენტის გავლის შემთხვევაში. სააპელაციო კომისიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში (სწავლის ან კომპეტენციის დადასტურების შესახებ); შიდა და გარე მობილობის შემთხვევაში. **ინდიკატორის 2.4.1.4 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - კოლეჯს საკუთარ ბაზაზე აქვს უზრუნველყოფილი პროგრამა სრულად ყველა საჭირო რესურსით. შესაბამისად დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების საჭიროება არ დგას. **ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია.**
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად კოლეჯში უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორი. პროგრამის ხელმძღვანელი წინასწარ გაწერილი სამუშაო გეგმის შესაბამისად ამოწმებს პროგრამის აღჭურვილობის უსაფრთხოებას და რეაგირებისთვის მიმართავს ადმინისტრაციულ დირექტორს. პროგრამის ხელმძღვანელი სწავლის დაწყებისთანავე სტუდენტებს უტარებს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. აღმზრდელის პროგრამაზე 2024 წელს განხორციელდა სასწავლო გარემოს უსაფრთხოების შემოწმება და შედეგები აისახა შემოწმების აქტში. სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება/დასტურდება, რომ პირველი აცნობს, ხოლო მეორე იცნობს უსაფრთხოების წესებს, რომლიც გათვალისწინებულია, როგორ შრომის უსაფრთხოების მოქმედი კანონმდებლობით, ისე პროფესიული პროტოკოლებით. **ინდიკატორის 2.4.1.6 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სასწავლო გეგმა
- სასწავლო კალენდარი
- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინდივიდუალური გეგმის საჭიროების დასაბუთება, ბრძანება ინდივიდუალური გეგმის დამტკიცების შესახებ
- ტრენინგის - „სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“
- კონფერენციის -” საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში” ბმულები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- 2022 დეკემბერი - https://mc.edu.ge/ge/posts/details/50/konferentsia
- 2023 ივნისი- https://mc.edu.ge/ge/posts/details/80/mastsavlebelta-konferentsia
- 2024 წლის სექტემბერი "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება " ბმული - https://mc.edu.ge/ge/posts/details/199/treningi-mastsavleblebisatvis 2024 წლის მარტი-მაისი ,,მასწავლებლის საჭიროებებზე მორგებული და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების ციკლი" ბმული - https://www.mc.edu.ge/ge/posts/details/120/ghonisdziebebis-tsikli; https://mc.edu.ge/ge/posts/details/164/treningi-lagodekhshi
- 2023 წლის 14 ნოემბრის ტრენინგი "სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ" - https://mc.edu.ge/ge/posts/details/91/treningi-stsavlebisa-da-shefasebis-metodologiis-shesakheb
- სტუდენტური უნარების კვირეულის ბმული:
- 2023 წელი- https://mc.edu.ge/ge/posts/details/74/chemi-khma-profesiul-ganatlebashi
- 2024 წელი - https://www.mc.edu.ge/ge/posts/details/186/unarebis-kvireuli
- განათლების პროგრამის პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალი;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- უსაფრთხოების დებულება;
- პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული პროგრამის უსაფრთხოების შემოწმების აქტი;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (17. სტუდენტის შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი მუხლი 19. სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

შეფასების წესი; მუხლი 20. სტუდენტის შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი მუხლი) გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი და უზრუნველყოფილია შეფასების სისტემის ვალიდურობა, სამართლიანობა, გამჭირვალობა, სანდოობა. რეგულაციის შესაბამისად, შეფასების ინსტრუმენტები შემუშავებულია კოლეჯის მასწავლებლის მიერ დარგის სპეციალისტის ჩართულობით. დასრულებული და შეთანხმებული ინსტრუმენტის რეგისტრაციასა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ახდენს სასწავლო პროცესის მენეჯერი. ვალიდირებული ინსტრუმენტები ხელმისაწვდომია ინსტრუმენტების ბანკში, ყველა მასწავლებლისათვის ელექტრონულად, კოლეჯის დრაივზე. პროფესიული მასწავლებლების გამოკითხვით დგინდება, რომ ისინი იცნობენ ვალიდაციის წესს, პროცესს და რეგულარულად იღებენ მასში მონაწილეობას. პროგრამაზე შეფასების პროცესები ხორციელდება რეგულაციების შესაბამისად და გამოყენება მხოლოდ ვალიდური ინსტრუმენტები. რეგულაციის შესაბამისად კოლეჯში უზრუნველყოფილია სტუდენტების მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა, დაცულია განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და მტკიცებულებების მოპოვების წესი. პროგრამის მოდულების წინაპირობების გათვალისწინებით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გავიდნენ მეორე განმეორებით გამოცდაზე. შეფასების სისტემის უზრუნველყოფა კი დასტურდება ვერიფიკაციის შედეგებით. **ინდიკატორის 2.4.2.1 მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად კოლეჯში შეფასების სისტემის შემოწმება უზრუნველყოფილია ვერიფიკაციის მექანიზმის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სამუშაო ჯგუფის შექმნას, ჯგუფის ხელმძღვანელი და შიდა ვერიფიკატორები არიან ხარისხის მართვის სამსახურის წევრები, ასევე თითოეულ სამოქმედო წლისთვის, ვერიფიკაციის რისკების სისტემის მიხედვით, შერჩეული მოდულებისთვის მოწვეულნი არიან დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები. დასკვნების განხილვას და ხარვეზების იდენტიფიცირებას ახდენს სამუშაო ჯგუფი, ხოლო გადაწყვეტილებას იღებს ჯგუფის ხელმძღვანელი. ვერიფიკაციის დასკვნების განხილვის შედეგად გამოკვეთილ ხარვეზებზე რეაგირებას ახდენს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმის ფარგლებში, ვერიფიკაციის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი და შიდა ვერიფიკატორები დამატებითი საქმიანობის სახით ახორციელებენ კოლეჯის მიერ კვალიფიკაციის მინიჭების პროცესების მონიტორინგს. გამომდინარე იქიდან, რომ საკვალიფიკაციო გამოცდები კოლეჯის მიერ განიხილება როგორც კოლეჯის შეფასების სისტემის ნაწილი, მიზანშეწონილად არის ჩათვლილი ვერიფიკაციის ჯგუფმა განახორციელოს მისი მონიტორინგიც. მონიტორინგის მიზანია ერთის მხრივ კოლეჯის რეგულაციების და მიმდინარე პროცესების ურთიერთშესაბამისობის დადგენა, ხოლო მეორე მხრივ საკვალიფიკაციო შეფასების პროცესების შეფასება. მონიტორინგი ხორციელდება ვერიფიკაციის მექანიზმით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. მონიტორინგის დროს სტუდენტების ინფორმირებულობის და მტკიცებულებების შერჩევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

ხდება ზემოთ მოცემული ვერიფიკაციის პროცედურების შესაბამისად. მონიტორინგის პროცესებზე და მონაცემების ანალიზზე პასუხისმგებელი პირია ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი. ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი უფლებამოსილია მოიწვიოს დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტი, რომელიც უფლებამოსილი იქნება შეაფასოს საკვალიფიკაციო გამოცდების დარგობრივი საკითხები. მონიტორინგის შედეგები წარედგინება კოლეჯის დირექტორს. **ზემოთ მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს და ეყრდნობა ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით - კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (მუხლი 19) შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული შეფასების მტკიცებულებები 3 წლის ვადით ინახება კოლეჯში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოებულ სტუდენტის პორტფოლიოში. ხოლო შეფასების უწყისები ინახება ცალკე, უვადოდ სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. რეგულაცია ითვალისწინებს მტკიცებულებათა განადგურების პროცედურას: შესაბამისი კომისია ახდენს სამი წლის მტკიცებულებების განადგურებას. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა მიმდინარე და კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოები, მათი შიგთავსი შეესაბამება მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწერილს და ისინი დაწესებულებაში ინახება დადგენილი წესის შესაბამისად.
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის - კოლეჯში არსებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად სტუდენტების შეფასების შედეგების გაცნობაზე პასუხისმგებელი პირია მოდულის განმახორციელებელი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სტუდენტებს შეფასების შედეგები ეცნობათ პერსონალური მონაცემების დაცვით და მათთან გაფორმებული წერილობითი შეთანხმების შესაბამისად. სტუდენტებს შეფასების შედეგების განხილვასა და უკუკავშირის მიცემის მიზნით შეფასების პროცესის შემდგომ ჩაენიშნათ შეხვედრები, აღნიშნული შეხვედრების ჩანიშვნა ასახული და გათვალისწინებულია მასწავლებლების მიერ წარმოებულ კალენდარულ გეგმებში. სასწავლო წლის მანძილზე პროგრამის ხელმძღვანელი აღრიცხავს სტუდენტთა შეფასების შედეგების შესახებ მონაცემებს, რომელთა განხილვის და ანალიზის მიზნით ინიშნება შეხვედრები აკადემიურ დირექტორთან. **ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ვერიფიკაციის ანგარიშები;
- ვერიფიკაციის შედეგებზე აკადემიური დირექტორის რეაგირება.
- სტუდენტის პორტფოლიოები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს - მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 10 სექტემბრის N35 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	100
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------



IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას -

   შპს **„მარნეულის კოლეჯს“** შემუშავებული აქვს **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“** (2020 წლის 29 სექტემბრის №55 ბრძანებით დამტკიცებული; ცვლილება შეტანილია 2025 წლის 14 ივლისის №12262 ბრძანებით – მუხლი 6: *„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამატება“*). აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის **დაგეგმვის ეტაპი**, რომელიც მოიცავს ინიციატივის წარდგენას, პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დოკუმენტის მომზადებას (შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების შეფასება), ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალთან და პოტენციურ პარტნიორებთან/ დამსაქმებლებთან, დაწესებულების რესურსების ანალიზს და კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან (სასწავლო პროცესის სამსახურის წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები/მასწავლებლები). პროგრამის შემუშავებისა და დასაბუთების პროცესის უზრუნველსაყოფად იქმნება **სამუშაო ჯგუფი**, რომლის ხელმძღვანელი წარუდგენს პროგრამის პაკეტს დირექტორს დასამტკიცებლად. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“** შემუშავებულია ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დოკუმენტაციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

ფარმაციის სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადებისა და დასაქმების მნიშვნელობა საერთაშორისოდ აღიარებულია. მრავალი საერთაშორისო კვლევა მიუთითებს, რომ კვალიფიციური ფარმაცევტების მომზადება და დასაქმება პირდაპირ კავშირშია ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობასთან, პაციენტთა უსაფრთხოებასთან და მედიკამენტების მართვის ხარისხთან. ამ კვლევების საფუძველზე, სხვადასხვა ქვეყნები აქტიურად ახორციელებენ ფარმაცევტთა განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პოლიტიკას, რაც მიზნად ისახავს ჯანდაცვის სისტემის მდგრადობისა და პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას. გლობალური ტენდენციები და ადგილობრივი კვლევები ერთსულოვნად მიუთითებს, რომ ფარმაცევტების პროფესიული განათლება წარმოადგენს ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობისა და პაციენტთა დაცვის მნიშვნელოვან საფუძველს. ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. მისი განხორციელება დაფუძნებულია რეალურ საჭიროებებზე, რაც დასტურდება ქვემო ქართლის რეგიონში ფარმაცევტების, პარაფარმაცევტების, კონსულტანტებისა და აფთიაქის მენეჯერების პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მზარდი მოთხოვნით.

შპს „მარნეულის კოლეჯი“ 2019 წლიდან ახორციელებს ფარმაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ქალაქის დემოგრაფიული ზრდისა და ინფრასტრუქტურის გაფართოების პარალელურად იზრდება აფთიაქების რაოდენობაც, რაც ზრდის კვალიფიციური სპეციალისტების მოთხოვნას. პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული უნარების განვითარებასა და პრაქტიკულ ცოდნაზე დაფუძნებულ სწავლებას. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმდინარეობს რეალურ სამუშაო გარემოში – აფთიაქში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განმტკიცებას და მათი დასაქმების პოტენციალის ზრდას.

საქართველოში ჯანდაცვის მიმართულება სახელმწიფო პრიორიტეტადაა გამოცხადებული, რაც პროფესიისადმი ინტერესს და შრომის ბაზარზე მის მოთხოვნას კიდევ უფრო ზრდის. აღსანიშნავია, რომ წამყვანი ფარმაცევტული კომპანიები – შპს „ავერსი ფარმა“, „ჯი-პი-სი“, „ფარმადეპო“, „პსპ“ და „იმპექსი“ – აქტიურად იჩენენ ინიციატივას პროფესიული კადრების მომზადებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით. კოლეჯის კურსდამთავრებულთა უმეტესობა წარმატებითაა დასაქმებული ზემოაღნიშნულ სააფთიაქო ქსელებში, აგრეთვე ადგილობრივ ფარმაცევტულ დაწესებულებებში, რომლებიც მარნეულის ბაზარზე მრავალრიცხოვნად მოქმედებენ. პსდ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფარმაცია (სააფთიაქო) პროგრამის განხორციელების შესახებ სრულად ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

კოლეჯის მისია, რომელიც გამომდინარეობს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შეესაბამება პროფესიული განათლების საერთო მიზნებს, არის: მრავალპროფილური პროფესიული პროგრამების განხორციელების გზით ქვემო ქართლის რეგიონის შიდა და საერთაშორისო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

ბაზრის მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, დასაქმების ხელშეწყობა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება. დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციას, ქართული ენის პოპულარიზაციას, ასევე ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის კულტურის დამკვიდრებას ახალგაზრდებში.

კოლეჯი უკვე ექვსი წელია წარმატებით ამზადებს ფარმაციის მიმართულების სპეციალისტებს, ხელს უწყობს ნებისმიერი სოციალური სტატუსის მქონე პირისათვის განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, მათ დასაქმებასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. პროგრამა სრულად მორგებულია შრომის ბაზრის საჭიროებებზე და აკმაყოფილებს სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობის მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საფუძვლიანად დასაბუთებულია და ემყარება კოლეჯის მისიას.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად,

სტრატეგიული მიზანი N3 გულისხმობს პროფესიული სტუდენტების ინტერესებზე მორგებული და მოქნილი სერვისების განვითარებას,

ხოლო სტრატეგიული მიზანი N1 – საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებას.

საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება ხორციელდება სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებზე მორგებულ სერვისებს, პროფესიული ზრდის ხელშეწყობას და დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებას. დაწესებულება მუდმივად აფართოებს საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრს შრომის ბაზრის დეფიციტის დასაკმაყოფილებლად და მოთხოვნადი კადრების მოსამზადებლად.

ამრიგად, ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებთან. მისი განხორციელება გამართლებულია როგორც რეგიონული და ეროვნული შრომის ბაზრის მოთხოვნებით, ასევე ჯანდაცვის სფეროს პრიორიტეტულობითა და კურსდამთავრებულთა მაღალი დასაქმების მაჩვენებლებით.

შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.1 ***დაკმაყოფილებულია: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პსდ) გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას განსაზღვრულია გასაგები და დასაბუთებული დაშვების წინაპირობები და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევადობას განსაზღვრულ ვადებში. პროგრამაზე მიღების ძირითადი კრიტერიუმია სრული ზოგადი განათლების ქონა, რაც შეესაბამება მოქმედ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს. აღნიშნული წინაპირობა ხელს უწყობს იმ კანდიდატთა შერჩევას, რომელთაც გააჩნიათ საწყისი საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც პროგრამის ეფექტურად ათვისების წინაპირობაა. ჩარიცხვის პროცედურები დეტალურად გაწერილია კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში“ და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროცესი განხორციელდება აპლიკანტების მიერ საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და თანასწორობას. შეფასებისას მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის დაწესებულება ითვალისწინებს მათ შესაძლებლობებზე მორგებულ მიდგომას. რეგიონის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დაწესებულება ჩარიცხვის მნიშვნელოვან წინაპირობად აყენებს ქართული ენის ცოდნას. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები რაციონალურად განსაზღვრულია და სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და სასწავლო შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - *დაწესებულების* დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (2020 წლის 29 სექტემბრის №55 ბრძანებით; ცვლილება შეტანილია 2025 წლის 14 ივლისის №12262 ბრძანებით, მუხლი 9 – „საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა“), რომლის თანახმად, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

პროგრამის სპეციფიკა;

სასწავლო გარემო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;

პროგრამის ხანგრძლივობა;

ადამიანური რესურსების რაოდენობა და კვალიფიკაცია;

პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობები და პრაქტიკული სწავლების პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის რესურსებსა და სტუდენტთა რაოდენობას შორის ოპტიმალური ბალანსის დაცვას. საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ხორციელდება სრულად შესაბამისი ინფრასტრუქტურის პირობებში. კოლეჯს გააჩნია შემდეგი სასწავლო გარემო:

№	აუდიტორიის ნომერი	კატეგორია	დანიშნულება
1	N212	A	თეორიული სწავლების აუდიტორია
2	N205	B	პრაქტიკული სწავლების აუდიტორია
3	N207	B	პრაქტიკული სწავლების აუდიტორია
4	N210	A/C	იმიტირებული აფთიაქი
5	N218	A/C	ფარმაცევტული ლაბორატორია

ყველა სასწავლო გარემო აღჭურვილია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე – აუდიტორიებში უზრუნველყოფილია სასწავლო ინვენტარი 20, 32 და 48 სტუდენტისთვის. სასწავლო სივრცეები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და უსაფრთხოების სტანდარტებს. გარდა ამისა, კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები და ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთა პრაქტიკული სწავლების შესაძლებლობებს განსაზღვრული რაოდენობისათვის. მეთოდოლოგიისა და არსებული მატერიალური, ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსების შეფასების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განისაზღვრა 100 პროფესიულ სტუდენტზე.

დადგენილი ზღვრული ოდენობა შეესაბამება კოლეჯის ინფრასტრუქტურულ, ადამიანურ და საგანმანათლებლო რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის სრულად დასაბუთებული, რეალისტური და შესაბამისობაშია დაწესებულების შესაძლებლობებთან

2.1.1.3. ინდიკატორი დაკმყოფილებულია: ***პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას -

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევას.

პროგრამას თან ერთვის დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალს. აღნიშნული რესურსების რელევანტურობა დადასტურებულია ექსპერტთა შეფასებით, რაც ეფუძნება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზს, ასევე განმახორციელებელ პირთა და სტუდენტთა ინტერვიუების შედეგებს. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა სათანადოდ არის უზრუნველყოფილი მის განხორციელებაზე საჭირო რესურსებით.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების (სასწავლო საწარმოსა და პრაქტიკის ობიექტის) მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსებით, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამითა და მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გარემო

1. სასწავლო გარემო A (აუდიტორია N212):

განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის. აღჭურვილია 10 ორსაწევრიანი სამუშაო მაგიდით, 20 სკამით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა/სკამი), ციფრული დემონსტრირების საშუალებით, დაფით და კომპიუტერით.

2. სასწავლო გარემო B (აუდიტორია N205):

განკუთვნილია 16 პროფესიული სტუდენტისთვის და 1 პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. საერთო ჯამში განთავსებულია 17 პერსონალური კომპიუტერი, მაგიდები და სკამები, ციფრული დემონსტრირების საშუალება და დაფა. აღნიშნული გარემო გამოიყენება მხოლოდ ერთი მოდულის ფარგლებში (3 კრედიტი), რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 22–38 კვირას სასწავლო გეგმის მიხედვით. აუდიტორიის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს.

3. სასწავლო გარემო B (აუდიტორია N207):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





ანალოგიურად აღჭურვილია 16 სტუდენტისა და 1 მასწავლებლისთვის განკუთვნილი კომპიუტერებითა და ინვენტარით. გამოიყენება იმავე მოდულის ფარგლებში ზემოთ აღნიშნული დატვირთვით.

4. სასწავლო გარემო A/C (აუდიტორია N210 – იმიტირებული აფთიაქი):

განკუთვნილია 24 პროფესიული სტუდენტისთვის. მოიცავს 12 ორსაწევრიან სამუშაო მაგიდას, 24 სკამს, მასწავლებლის სამუშაო ადგილს, ციფრულ დემონსტრირების საშუალებას, დაფას და კომპიუტერს. აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პლაკატებით, სტენდური ვიზუალიზაციით, ღია და დახურული კარადებით, აფთიაქის დახლით, დამცავი მინითა და შესაბამისი ინვენტარით. უსაფრთხოების მიზნით განთავსებულია ცეცხლმაქრები.

5. სასწავლო გარემო A/C (აუდიტორია N218 – ფარმაცევტული ლაბორატორია):

განკუთვნილია 24 სტუდენტისა და 1 მასწავლებლისთვის. აღჭურვილია სასწავლო ვიზუალიზაციით, გამწოვი მოწყობილობით, ქიმიური ჭურჭლისა და რეაქტივების კარადებით, ასევე პროგრამის მოდულების განსახორციელებლად საჭირო ინვენტარითა და აღჭურვილობით.

პარტნიორი ორგანიზაციები

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან:

შპს „გეფა“ (ს/კ: 201991229) – 40 სტუდენტზე;

შპს „იმპექსფარმი“ (ს/კ: 204927909) – 20 სტუდენტზე;

შპს „ელსტარის აფთიაქი“ (ს/კ: 434165440) – 4 სტუდენტზე;

ი/მ რუსლან ბაბაქიშიევის აფთიაქი (ს/კ: 28001027719) – 4 სტუდენტზე;

ი/მ ლია ჭიღლაძე – აფთიაქი (ს/კ: 38001037631) – 4 სტუდენტზე;

ი/მ მალვინა შახპაზიანი (ს/კ: 434165903) – 4 სტუდენტზე;

შპს „აფთიაქი +1“ (ს/კ: 438738555) – 4 სტუდენტზე.

ხელშეკრულებები მოიცავს პროგრამის სახელწოდებას, ხელშეკრულების საგანს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას (100 სტუდენტი), მომსახურების პირობებს, ანაზღაურების წესს, ცვლილებების შეტანის მექანიზმს, ფორს-მაჟორის პირობებსა და პერსონალური მონაცემების დამუშავების შეთანხმებას.

პარტნიორი ორგანიზაციები ვალდებულებას იღებენ პროგრამის ფარგლებში თითოეული სტუდენტისათვის უზრუნველყონ პრაქტიკული სწავლების შესაბამისი გარემო და რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





პრაქტიკული კომპონენტის მოდულები:

პრაქტიკული სწავლებისას სტუდენტები მონაწილეობენ შემდეგ მოდულებში:

სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;

მზა წამლის ფორმების დაფასოება, შეფუთვა და მარკირება;

პროდუქციის მიღება, განთავსება, ნაშთის კონტროლი და ანგარიშგება;

მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში;

სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა;

ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საშუალებების შერჩევა

ავადმყოფის მოვლისა და ჰიგიენის საშუალებების შერჩევა;

მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური ბაზითა და პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (100 სტუდენტი). თითოეულ მიღებაზე კოლეჯი იღებს 50 სტუდენტს, შესაბამისად მეორე სასწავლო წელს მეორე ნაკადის მიღების შედეგად სტუდენტთა საერთო რაოდენობა კვლავ 100-ის ფარგლებში რჩება.

პარტნიორი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ყოველწლიურად 100 სტუდენტის მიღებასა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას არსებული მატერიალური და ტექნიკური რესურსებით. თვითშეფასების დანართად წარმოდგენილია შევსებული ფორმა, რომელიც ასახავს საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“-ს განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების სრულ აღწერას.

2.1.1.4. ინდიკატორი დაკმყოფილებულია: ***საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;***

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ერთ არჩევით მოდულს- „მზა სამკურნალწამლო ფორმები“ 0911028“ (მოცულობა 3 კრედიტი), რომელიც თეორიულია და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





შინაარსს. აღნიშნული მოდული მოცემულია შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტში. არჩევითი მოდული სრულ ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან, **შესაბამისად, 2.1.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ, 2019 წლის 10 სექტემბრის N35 ბრძანებით, ბოლო ცვლილება შევიდა 2024 წლის 5 სექტემბრის N11657 ბრძანებით. პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (დამტკ.2020 წლის 29 სექტემბერს N55 ბრძანებით, ბოლო ცვლილება-2025 წლის 5 მაისის N6599 ბრძანებით-მუხლი13- მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავება/ცვლილების განხორციელება) შესაბამისად, რაც ადასტურებს რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. **2.1.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ფარმაცია (სააფთიაქო), საგანმანათლებლო სტანდარტის ჩარჩო დოკუმენტის პროფესიული სპეციალიზაციის სახელწოდების იდენტურია და სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა არის ფარმაცია (სააფთიაქო), Pharmacy. აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი. **ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია.**
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს -

პარალელურად პროგრამის დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესების სრული დაცვით.

კოლეჯის ადმინისტრაციასთან ჩატარებული გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამა შეიქმნა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც აერთიანებდა პროგრამის პოტენციურ ხელმძღვანელებს, განმახორციელებელ პირებსა და ადმინისტრაციის შესაბამის წარმომადგენლებს. პროგრამის შემუშავების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესი განხორციელდა თანამშრომლობისა და კონსულტაციების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფდა მისი შინაარსის შესაბამისობას პროფესიული განათლების სტანდარტებთან და ბაზრის მოთხოვნებთან.

დაწესებულებას მიღებული აქვს დოკუმენტი – „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (თავი II), სადაც განსაზღვრულია შემდეგი მუხლები:

მუხლი 6 – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამატება;

მუხლი 7 – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელება;

მუხლი 8 – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება.

აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად, პროგრამაში ყოველწლიურად ხორციელდება მიზნობრივი ცვლილებები მისი მუდმივი განვითარების უზრუნველსაყოფად.

პროგრამა თავდაპირველად დამტკიცდა დირექტორის 2019 წლის 10 სექტემბრის №35 ბრძანებით, ხოლო ბოლო ცვლილება განხორციელდა 2024 წლის 5 სექტემბრის №11657 ბრძანების საფუძველზე.

სისტემატურად ტარდება პროგრამის განმახორციელებელ პირთა სამუშაო შეხვედრები, რომლებიც ინიცირდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. აღნიშნულ შეხვედრებზე განიხილება დარგში არსებული სიახლეები და ცვლილებები, რათა პროგრამის შინაარსი და სასწავლო რესურსები მუდმივად პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებსა და ტენდენციებს. განხორციელებული ცვლილებები ძირითადად ეხება საგანმანათლებლო რესურსების განახლებას და სწავლების თემატიკის მოდიფიცირებას.

პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე – „ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy“, სარეგისტრაციო ნომერი 09110-პ.

დამტკიცებულ პროგრამაში განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი კომპონენტები:

პროგრამის სახელწოდება და მიზნები;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;

მისაღწევი სწავლის შედეგები;

შეფასების მიმართულებები;

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა;

სწავლების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები.

მოდულთა სტრუქტურაში გათვალისწინებულია ქართული ენის სწავლების მოდულები (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების მომზადება ქართულ ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის სრულფასოვნად შესასრულებლად.

ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ამ ჯგუფის სტუდენტებისთვის სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით, შესაბამისად, პროგრამის საერთო მოცულობა შეადგენს 153 კრედიტს, მათ შორის:

„ქართული ენა A2“ – 15 კრედიტი;

„ქართული ენა B1“ – 15 კრედიტი

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- შპს მარნეულის კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2026(2019 წლის 31 ოქტომბრის N61 ბრძანებით; ცვლილება 2024 წლის 25 დეკემბრის N 22033 ბრძანებით) ;
- პროგრამა ,,ფარმაცია(საფთიაქო”) -დამტკ. დირექტორის 2019 წლის 10 სექტემბრის N35 ბრძანებით, ბოლო ცვლილება შევიდა 2024 წლის 5 სექტემბრის N11657 ბრძანებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“(დამტ.2020 წლის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით ;ცვლილება 2025 წლის 14 ივლისის N12262 ბრძანებით);
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტთან;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება დამტკ.(2020 წლის 29 სექტემბერს N55 ბრძანებით,ცვლილება-2025 წლის 5 მაისის N6599 ბრძანებით);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით (დამტკ. დირექტორის მიერ 2021 წლის 12 ივლისის N3243 ბრძანებით; ცვლილება შევიდა 2025 წლის 25 ივნისის N 79814 ბრძანებით)
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (დირექტორის 2020 წ . 29 სექტემბრის N54 ბრძანებით,ცვლილება-2025 წლის 5 მაისის N6599 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ თეორიულ კომპონენტს ახორციელებს ქალაქ მარნეულში, 26 მაისის ქუჩა N80-ში მდებარე შენობაში. აღნიშნულ მისამართზე კოლეჯს განთავსებული აქვს სწავლებისათვის სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო სივრცეები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის ეფექტიან განხორციელებას.

სასწავლო გარემო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

პროგრამის განხორციელების მიზნით კოლეჯს გააჩნია შემდეგი სასწავლო გარემო:

A ტიპის სასწავლო გარემო – აუდიტორია №212, რომელიც განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის და აღჭურვილია აუცილებელი სასწავლო ინვენტარით.

B ტიპის სასწავლო გარემო – აუდიტორიები №205 და №207, რომლებიც განკუთვნილია ჯამში 32 პროფესიული სტუდენტისთვის (16+16). თითოეული აუდიტორია უზრუნველყოფილია სამუშაო ადგილებით, სკამებით, მაგიდებით, დაფებით, სადემონსტრაციო საშუალებებით, მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი) და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. აღნიშნული სივრცე გამტარუნარიანია მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება“ განხორციელებისათვის, რაც დადასტურებულია ექსპერტთა მიერ.

A/C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც მოიცავს ორ სივრცეს -ლაბორატორიასა და იმიტირებულ აფთიაქს:

A/C 1 – იმიტირებული აფთიაქი (აუდიტორია №210) — განკუთვნილია 24 პროფესიული სტუდენტისთვის. აღჭურვილია სამუშაო მაგიდებითა და სკამებით (20 სტუდენტისა და 1 მასწავლებლისთვის), დაფით, კომპიუტერით, სასწავლო პლაკატებით, ვიზუალური მასალებითა და მოდულების განსახორციელებლად საჭირო ფარმაცევტული ინვენტარით. სივრცე უზრუნველყოფილია ცეცხლმაქრებითა და უსაფრთხოების ნიშნებით.

A/C 2 – ფარმაცევტული ლაბორატორია (აუდიტორია №218) — განკუთვნილია 24 პროფესიული სტუდენტისთვის. ლაბორატორია აღჭურვილია გამწოვი სისტემებით, ქიმიური სამუშაო მაგიდებით, სასწორებით, გრადუირებული ცილინდრებით, ქიმიური ჭურჭლით, რეფრაქტომეტრით, მიკროსკოპებით, რეაქტივებით, მაშრობი კარადით, მაცივრით, თერმომეტრებით, შტატივებითა და სხვა სპეციალიზებული აღჭურვილობით. კედლებზე განთავსებულია უსაფრთხოების წესები და პირველადი დახმარების ინსტრუქციები.

აღნიშნულ სასწავლო გარემოში ერთდროულად შესაძლებელია 100 პროფესიული სტუდენტის სწავლება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებასა და რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას.

პრაქტიკული კომპონენტების განხორციელება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან. თითოეული პარტნიორი უზრუნველყოფს სტუდენტთა მიღებას და პრაქტიკული სწავლების უწყვეტ მიმდინარეობას.

პარტნიორი ორგანიზაციები და სტუდენტთა განაწილება:

შპს „გეფა“ (ს/კ: 201991229) — 40 პროფესიული სტუდენტი

შპს „იმპექსფარმი“ (ს/კ: 204927909) — 20 პროფესიული სტუდენტი

შპს „ელსტარის აფთიაქი“ (ს/კ: 434165440) — 4 პროფესიული სტუდენტი

ი/მ რუსლან ბაბაქიშიევის აფთიაქი (ს/კ: 28001027719) — 4 პროფესიული სტუდენტი

ი/მ ლია ჭიღლაძე (ს/კ: 38001037631) — 4 პროფესიული სტუდენტი

ი/მ მალვინა შახპაზიანი (ს/კ: 434165903) — 4 პროფესიული სტუდენტი

შპს „აფთიაქი +1“ (ს/კ: 438738555) — 4 პროფესიული სტუდენტი

საერთო ჯამში, კოლეჯს შეუძლია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ფარგლებში მიიღოს და უზრუნველყოს 100 პროფესიული სტუდენტის სწავლება.

ექსპერტთა შეფასება

ვიზიტის დროს ექსპერტებმა განახორციელეს ინტერვიუები როგორც აფთიაქების მენეჯერებთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ყველა რესპონდენტმა დაადასტურა, რომ სასწავლო პროცესში სრულად გამოიყენება პროგრამის მოდულების შესაბამისი რესურსები, როგორც კოლეჯის აუდიტორიებში, ასევე რეალურ სამუშაო გარემოში — აფთიაქებში.

ექსპერტთა დასკვნით, კოლეჯს გააჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ორგანიზაციული რესურსი და პარტნიორული ქსელი, რაც საშუალებას აძლევს ეფექტიანად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტი თავის მფლობელობაში *არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 30 პირი, მათ შორის 17 ზოგადი მოდულების განმახორციელებლით, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 13. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. **ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელი თავისი საქმის პროფესიონალია, კარგად იცნობს მოდულს, ზოგი მათგანი ჩართული იყო აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში და შეფასების ინსტრუმენტების ბანკის შექმნის სამუშაოებშიც, რაც დასტურდება მათი დოკუმენტაციით და გამოკითხვის შედეგებით. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი. ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ყველა მათგანი არის კვალიფიციური და გამოცდილი, პროფესიული განათლების მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობას იღებენ მოდულების ადაპტირებაში. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია, სწავლების და ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება, მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროცესებში. გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და ა(ა)იპ უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის კუთხით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კოლეჯი მუდმივად მართავს შეხვედრებს სწავლის შედეგებისა და შეფასების კომპეტენციის გაძლიერების მიზნით. ასევე კოლეჯი უზრუნველყოფს მასწავლებლების ჩართულობას სხვა დაწესებულებების მიერ ჩატარებულ ტრენინგებში. წარმოდგენილი პირადი საქმეებითა და ინტერვიუირების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას და **ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ხელმძღვანელი შესაბამისი დარგობრივი განათლების მქონე პირია, არის დარგის ექსპერტი, აქვს დარგობრივი საქმიანობისა და სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება პირის შესაბამისობა საკანონმდებლო, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან შესაბამისობა. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში, პერიოდულად ესწრება მეცადინეობებს, კომპეტენციის ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, ერთვება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში. ზრუნვებს პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებაზე. **2.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის ყველა კომპიუტერში, ასევე დარგობრივი კაბინეტების კომპიუტერებში. დაწესებულების ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა„Open Biblio”, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ასევე, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული რესურსები. ამდენად, პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები, რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში, მათი უმრავლესობა გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე. პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია პროგრამის ხელმძღვანელისთვის და პერსონალისთვის პირადი ავტორიზებული მომხმარებლების სახით სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (www.matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემაში და საჭიროების შემთხვევაში ისინი ახდენენ განმახორციელებელი პირების ინფორმირებას განხორციელებული ცვლილებების შესახებ. **2.2.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - დაწესებულებას სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა განსაზღვრული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 21- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება). განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში-შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროებას განსაზღვრავს და შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობს აკადემიური დირექტორი; სპეციალური საჭიროების სპეციფიკის გათვალისწინებით მოდულების მოდიფიცირებას/აკომოდირებას ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის ჩართულობით; ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს აკადემიური დირექტორი;ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში აკადემიური დირექტორი ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დოკუმენტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

ინდივიდუალური გეგმის საფუძველზე, შესაძლებელია დამატებითი ადაპტირებული ტექნიკის/პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, სასწავლო რესურსების ადაპტირება (შინაარსობრივი, ვიზუალური), დამატებითი მომსახურების მიწოდება, თუმცა პრაქტიკაში კოლეჯის სტუდენტებს ჯერ არ დაჭირვებია. დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

2.2.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, საჭირეობის შემთხვევაში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება .პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პრაქტიკის განხორციელების ხარჯი, მასალა და ნედლეული, საკანცელარიო ხარჯები, კომუნალურები და საიჯარო ქირა, პერსონალის განვითარება, სტუდენტური ღონისძიებები, პერსონალის განვითარების და სხვა ხარჯები. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 15 პროფესიული სტუდენტი (126225 ₾). პროგრამის ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;
- "ფარმაცია (სააფთიაქო)ს" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით-(დამტკიცებული დირექტორის 2019 წლის 10 სექტემბრის N35 ბრძანებით,ბოლო ცვლილება შევიდა 2024 წლის 5 სექტემბრის N11657 ბრძანებით).
- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული მემორანდუმით/ხელშეკრულებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





- ბიბლიოთეკის დებულებით ;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ადმინისტრაციასა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ - პროგრამის შეფასების მექანიზმი ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირსა და პროცესების უწყვეტ კონტროლს. აღნიშნული მექანიზმი განხორციელებულია „დაგეგმე–განახორციელე–შეამოწმე–განავითარე“ (PDCA) მოდელის პრინციპების შესაბამისად და მიმართულია პროგრამის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისკენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომლებიც რეგულაციის სახით დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის №54 ბრძანებით (ცვლილება განხორციელდა 2025 წლის 5 მაისის №6599 ბრძანებით). აღნიშნული რეგულაცია განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მიზნებს, პრინციპებსა და განხორციელების ფორმებს.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების კვლევასა და მათი უკუკავშირის სისტემატურ ანალიზზე. კოლეჯს შემუშავებული აქვს მრავალმხრივი კვლევითი ინსტრუმენტები (კითხვარები, ინტერვიუების ფორმები და სხვა), რომელთა მეშვეობითაც რეგულარულად ტარდება გამოკითხვები შემდეგ ჯგუფებს შორის:

- პროფესიული სტუდენტები;
- ადმინისტრაციული პერსონალი;
- პროგრამის ხელმძღვანელები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლები;
- პრაქტიკის ინსტრუქტორები;
- კურსდამთავრებულები;
- დამსაქმებლები.

კვლევების მიზანია შეფასდეს საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი, სასწავლო რესურსების ხარისხი, მათი საკმარისობა და ეფექტიანობა.

ინტერვიუირების შედეგად (ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და პრაქტიკის ინსტრუქტორებთან) დადგინდა, რომ აღნიშნული პროცესები რეალურად ხორციელდება და შედეგები გამოიყენება პროგრამების გაუმჯობესების მიზნით.

კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ამზადებს რეკომენდაციებს, რომელთა საფუძველზე კოლეჯი:

- ახორციელებს ცვლილებებს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში; ან
- საჭიროების შემთხვევაში, ინფორმირებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
- ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ საჭიროებისამებრ, კონკრეტული მიზნებისთვის შესაძლებელია კვლევის ინსტრუმენტთა დამატება ან მოდიფიცირება, რაც უზრუნველყოფს პროცესის მოქნილობას და შესაბამისობას კონკრეტულ ამოცანებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





- ექსპერტთა ჯგუფმა გაეცნო კოლეჯში ჩატარებული კვლევების პრაქტიკას, შეისწავლა ანგარიშები და რეაგირების დოკუმენტაცია. მათი შეფასებით, კოლეჯში ფუნქციონირებს გამართული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამების შეფასების ციკლურობას, სისტემურობას და პრაქტიკული შედეგების გამოყენებას ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
- შეჯამებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი სრულად ითვალისწინებს:
- შრომის ბაზრის მოთხოვნებს;
- დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს;
- საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას;
- მუდმივი განვითარების პრინციპს, რომელიც გამყარებულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციებითა და კვლევითი პრაქტიკით.

2.3.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, *პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;*

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად - დაწესებულება სისტემატურად აანალიზებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამის ცვლილებებს პროგრამასა და მის მოდულებში, საკუთარი შიდა რეგულაციებით განსაზღვრული წესებისა და პროცედურების დაცვით. შეფასების შედეგების ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება გამოკითხვებისა და კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე, იდენტიფიცირებული რეკომენდაციებიდან გამომდინარე, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც განიხილავს პროგრამის შინაარსში ცვლილების მიზანშეწონილობასა და ფორმატს. პროგრამაში ცვლილებების განხორციელება მიმდინარეობს იმავე ეტაპების მიხედვით, როგორც მისი შემუშავების პროცესი — სამუშაო ჯგუფის მონაწილეობით, განხილვისა და შიდა შეთანხმების გზით.

დამტკიცების პროცედურა საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, რომელიც გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს (ბრძანებას). ყველა ცვლილება ხორციელდება რეგულაციების შესაბამისად, მათ შორის:

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ (დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის №54 ბრძანებით, ცვლილება – 2025 წლის 5 მაისის №6599 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის №55 ბრძანებით, ცვლილება – 2025 წლის 14 ივლისის №12262 ბრძანებით) მოთხოვნათა საფუძველზე.

შრომის ბაზრის კვლევის გამოყენება და გარე ანალიზი ქვემო ქართლის რეგიონის შრომის ბაზრის სრულმასშტაბიანი კვლევის განხორციელება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებთან, რის გამოც აღნიშნული აქტივობა ინდივიდუალურად ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას ვერ ეკისრება. მიუხედავად ამისა, კოლეჯი აღიარებს შრომის ბაზრის მონაცემების მნიშვნელობას და უზრუნველყოფს არსებული კვლევების შედეგების მიზნობრივ გამოყენებას. კერძოდ, ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ახორციელებს სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების მონაცემთა ანალიზს, მათი გამოყენებით ადგენს ტენდენციებსა და შესაბამის რეკომენდაციებს.

პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და ცვლილებების დანერგვა კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ყოველწლიურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგს. გამოვლენილი საჭიროებებისა და მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამაში ხორციელდება მიზნობრივი ცვლილებები.

ექსპერტთა ვიზიტისას წარმოდგენილი იქნა დირექტორის ბრძანებები, რომლებიც ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების კანონიერებასა და შიდა პროცედურების დაცვას. დოკუმენტაციის განხილვამ აჩვენა, რომ ყველა ცვლილება განხორციელებულია განსაზღვრული შიდა რეგულაციების შესაბამისად, ხოლო დაწესებულებამ სათანადოდ უზრუნველყო ცვლილებების შესაბამისობა მოქმედ საგანმანათლებლო სტანდარტთან და განსაზღვრულ ვადებში შესრულება.

შეჯამება

კოლეჯი ეფექტიანად ახორციელებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და უზრუნველყოფს დროულ რეაგირებას. ცვლილებების განხორციელება მიმდინარეობს გამჭვირვალე, სამართლებრივად გამართულ და პროცედურულად დადგენილ წესში, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტ განვითარებასა და შესაბამისობას შრომის ბაზრისა და საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნებთან.

2.3.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (დირექტორის 2020 წ . 29 სექტემბრის N54 ბრძანებით,ცვლილება-2025 წლის 5 მაისის N6599 ბრძანებით);
- კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტ.2020 წლის 29 სექტემბრის N55 ბრძანებით ;ცვლილება 2025 წლის 14 ივლისის N12262 ბრძანებით);
- კვლევის ანგარიშები (პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალის კმაყოფილების კვლევების შესახებ);
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკის ინსტრუქტორებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - კოლეჯში ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხორციელდება სტრუქტურირებული და კანონმდებლობით განსაზღვრული მიდგომით. პროცესი იწყება კოლეჯის დირექტორის მიერ პროგრამის სასწავლო გეგმის ოფიციალური დამტკიცებით, რაც წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელ ნაწილს და ეფუძნება ეროვნული განათლების კანონმდებლობის მოთხოვნებს.

   დამტკიცებული სასწავლო გეგმის საფუძველზე აკადემიური დირექტორი ახორციელებს სასწავლო პროცესის სტრატეგიულ დაგეგმვას. აღნიშნულ ეტაპზე იქმნება დეტალური სასწავლო კალენდარი, რომელიც რეგისტრირებულია ნომრით N10598, 2024 წლის 7 ნოემბერს. სასწავლო კალენდარი განსაზღვრავს მოდულების განხორციელების კონკრეტულ ვადებს და უზრუნველყოფს წინაპირობების დაცვას, რაც სწავლის პროცესში ლოგიკური თანმიმდევრობის შენარჩუნების წინაპირობას წარმოადგენს.

   სასწავლო კალენდრის შემუშავების პარალელურად იგეგმება სამეცადინეო ცხრილები, რომლებიც ითვალისწინებს სტუდენტთა ჯგუფების სპეციფიკურ საჭიროებებსა და სასწავლო მოდულების შინაარსობრივ თავისებურებებს. ამასთან ერთად, ფორმირდება შეფასების დეტალური განრიგი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების სისტემატურ მონიტორინგს და ობიექტურ შეფასებას.

   პროგრამის განხორციელების საბოლოო და უმნიშვნელოვანესი ეტაპია კალენდარული გეგმების შემუშავება. თითოეული პროფესიული საგნის მასწავლებელი, სასწავლო გეგმისა და შესაბამისი მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით, ადგენს დეტალურ კალენდარულ გეგმას, რომელიც ზუსტად ასახავს თითოეული მეცადინეობის შინაარსს, გამოყენებულ მეთოდებსა და მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს.

   პროგრამას ფარმაცია (სააფთიაქო)ს დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პსდ-ს მოთხოვნების თანახმად შემუშავებული აქვს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არაქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. გეგმა გაწერილია 2 აკადემიურ წელზე - არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის

   პროგრამის ხანგრძლივობაა 31,5 სასწავლო თვე, 126 სასწავლო კვირა, ხოლო არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 22 ,5სასწავლო თვე, 90 სასწავლო კვირა.

   საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





ექსპერტების მიერ შემოწმებული და დადასტურებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით კოლეჯში მოქმედი სასწავლო ცხრილების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან.

აღნიშნული სისტემის ფუნქციონირება ადასტურებს, რომ კოლეჯში ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია დამტკიცებული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს განათლების მაღალი ხარისხის დაცვასა და პროფესიული სტანდარტების შესრულებას, რაც ქმნის მყარ საფუძველს სტუდენტების პროფესიული კომპეტენციების განვითარებისა და პრაქტიკული უნარების განმტკიცებისთვის.

2.4.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, ***პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;***

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვა ეფუძნება სტუდენტ-ცენტრირებულ მიდგომას, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების მოქნილობასა და პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებებისადმი ადეკვატურ რეაგირებას. აღნიშნული პრინციპი მკაფიოდ არის ასახული კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, რომელიც აკადემიურ დირექტორს ანიჭებს უფლებამოსილებას, სტუდენტთა ინტერესებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით, განახორციელოს ცვლილებები სასწავლო კალენდარში.

მოქნილი მენეჯმენტური მოდელი პრაქტიკაში წარმატებით ფუნქციონირებს, რაც დადასტურებულია კონკრეტული შემთხვევების ანალიზით.

2024–2025 სამოქმედო წლის განმავლობაში, ფარმაციის პროგრამის სტუდენტთა ჯგუფს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ ჰქონდა შესაძლებლობა დასწრებოდა „სითხოვანი სამკურნალწამლო ფორმების მომზადების“ მოდულის ძირითად და განმეორებით შეფასებებს. სტუდენტებმა აკადემიურ დირექტორს მიმართეს ოფიციალური განცხადებით (№41, 2025 წლის 22 მაისი) მეორე განმეორებითი შეფასების დანიშვნის თხოვნით. აკადემიურმა დირექტორმა, პროფესიულ მასწავლებელთან შეთანხმებით (№105448651, 2025 წლის 22 მაისი), სტუდენტთა გონივრული თხოვნა დააკმაყოფილა და დანიშნა მეორე განმეორებითი გამოცდა.

მსგავსი მოქნილობა კოლეჯმა გამოავლინა წინა პერიოდებშიც.

2023–2024 სამოქმედო წლის განმავლობაში, ფარმაციის პროგრამის სტუდენტებმა განაცხადით (№5, 2024 წლის 28 თებერვალი) ითხოვეს დამატებითი მეცადინეობების დანიშვნა „პირველადი დახმარების“ მოდულში. მათი თხოვნა დაუყოვნებლივ განიხილა აკადემიურმა დირექტორმა და მასწავლებელთან შეთანხმების საფუძველზე (№6, 2024 წლის 29 თებერვალი) დანიშნა დამატებითი კონსულტაციები, რაც მნიშვნელოვანი იყო სტუდენტთა სასწავლო შედეგების გაუმჯობესებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





კიდევ ერთ მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს 2022–2023 სამოქმედო წელი, როდესაც ფარმაციის პროგრამის სტუდენტებმა ოჯახური გარემოებების გამო მიმართეს (№21, 2023 წლის 15 მაისი) პრაქტიკის პერიოდის გადატანის თხოვნით – აგვისტოდან სექტემბრის თვეზე. აკადემიურმა დირექტორმა, სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, სამსახურეობრივი ბარათით (№4914, 2023 წლის 17 მაისი) შეიტანა შესაბამისი ცვლილება სასწავლო კალენდარში, რაც უზრუნველყოფდა სტუდენტთა ოჯახურ და აკადემიურ ვალდებულებათა ჰარმონიულ შერწყმას.

მრავალწლიანი პრაქტიკა ნათლად ადასტურებს, რომ კოლეჯი არა მხოლოდ დეკლარირებულად, არამედ რეალურად ახორციელებს სტუდენტ-ცენტრირებულ მიდგომას. სასწავლო პროცესის ორგანიზება ხორციელდება სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები გამოირჩევა მოქნილობითა და ადაპტირებულობით. აღნიშნული მიდგომა ქმნის ხელსაყრელ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა მოტივაციის ამაღლებას და აკადემიური წარმატების მიღწევას.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან. კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე რეაგირებისა და შესაბამისი მომსახურების გაწევას ადასტურებენ ასევე პროფესიული სტუდენტებიც.

2.4.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით *და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;*

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრული სწავლის მეთოდების შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეფუძნება დარგის შესაბამისი კომპეტენციების აქტიურ გამოყენებას, რის საფუძველზეც პროგრამის განმახორციელებლები პარალელურად არიან დარგის მოქმედი სპეციალისტებიც.

2022–2023 სასწავლო წლის განმავლობაში კოლეჯმა უზრუნველყო პროფესიული მასწავლებლებისთვის ტრენინგის ჩატრება თემაზე: „სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“. პროფესიული მასწავლებლების ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით, იმავე სასწავლო წელს ორჯერ გაიმართა კონფერენცია თემაზე: „საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ორგანიზებული სტუდენტური უნარების კვირეული იყო კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც აჩვენებდა სტუდენტთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ეფექტიან წარმოჩენას. კვირეულის ფარგლებში ფარმაციის პროგრამის ორი სტუდენტი წარადგინა მოხსენება, ხოლო ერთი სტუდენტი პრაქტიკულად განახორციელა ვიტამინის დამზადება.

2023–2024 სასწავლო წელს კოლეჯმა განახორციელა მრავალფეროვანი ტრენინგები, მათ შორის:

- 2024 წლის სექტემბერში – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება“;
- 2024 წლის მარტი–მაისი – „მასწავლებლის საჭიროებებზე მორგებული და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების ციკლი“;
- 2023 წლის 14 ნოემბერს – ახალი მასწავლებლებისთვის ტრენინგი სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ.

პროფესიული პროგრამის სწავლებისას აქტიურად გამოიყენება თანამედროვე მეთოდები და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. ღია მეცადინეობა იყო ნათელი მაგალითი, სადაც სტუდენტებმა პირველადი დახმარების პრაქტიკული უნარების დემონსტრირება განახორციელეს.

სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები მოიცავს ინტერაქციულ ლექციებს, დემონსტრირებას, პრეზენტაციებს, გონებრივ იერიშებს, ფოტო-ვიდეო მასალების განხილვას, ჯგუფურ სამუშაოს, პრაქტიკული და კრიტიკული შემთხვევების ანალიზს, როლურ თამაშებს და პრაქტიკულ დავალებებს. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება ხორციელდება დარგის ლიდერი კომპანიების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად ჩართულები არიან პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებულ პროექტებში, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების განხილვასა და ცვლილებების ინიცირებაში, ასევე უნიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში.

კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს: კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიებს. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას. სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც ზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ თავისუფლად აქვთ წვდომა სასწავლო რესურსებზე. პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და ვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. შეფასების პროცესში ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რომელთა შეფასებებიც დადებითია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





ეს მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების მაღალი ხარისხის შენარჩუნებას, ხელს უწყობს სტუდენტთა კომპეტენციების განვითარებას და თანამედროვე პროფესიული მოთხოვნებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების ფორმირებას.

2.4.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტთა საჭიროებების სისტემატურ აღრიცხვას და მათ შესაბამის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში ინტეგრირებას, რაც უზრუნველყოფს სწავლების მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვას და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები დაწესებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

შპს „მარნეულის კოლეჯის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (მუხლი 21 – ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება) განსაზღვრულია საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა და კონკრეტიზებულია, ვინ ითვლება სპეციალური საჭიროებების მქონე პირად.

2024–2025 სასწავლო წელს ფარმაციის პროგრამას ჰყავდა ორი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი, რომელთათვისაც შეიქმნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ორივე სტუდენტს აღუდგა სტატუსი და ფორმალური განათლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე უღიარათ სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული მოდულები. სწავლის გაგრძელების მიზნით, ერთი მათგანი ჩაირიცხა 2023 წლის მიღების ჯგუფში, ხოლო მეორე – 2024 წლის საშემოდგომო მიღების ჯგუფში.

2023–2024 სასწავლო წელს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ისარგებლა სტატუსშეჩერებულმა სტუდენტმა მაკა ბერუაშვილმა (ბრძანება N8216; 12.07.2024). ფორმალური განათლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებით მას უღიარათ სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული მოდულები, რის შედეგადაც სტუდენტმა შეძლო სწავლა შესაბამის მიღების ჯგუფთან არსებული მოდულების ასათვისებლად.

2022–2023 სასწავლო წელს ფარმაციის პროგრამაზე გარე მობილობით გადმოვიდა სამი სტუდენტი, რომლებსაც ასევე სჭირდებოდათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად მათ უღიარათ სხვა კოლეჯში გავლილი მოდულები და დაიწყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესი. თუმცა, ვერ მოხდა შეთანხმება კოლეჯსა და სტუდენტებს შორის ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გეგმების პირობებზე, რის შედეგადაც სტუდენტებმა გადაწყვიტეს კვლავ გარე მობილობით ისარგებლონ და გადასულიყვნენ სხვა კოლეჯში (სტატუსის შეწყვეტის ბრძანება N11152, 17.11.2022).

ექსპერტების ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა მობილობის, სტატუსის აღდგენის მეთოდოლოგია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ კოლეჯი ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის რეგულაციას.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეესაბამება სტუდენტთა ინტერესებს და საჭიროებებს. სტუდენტთა, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის უკუკავშირი ადასტურებს, რომ პროცესი ეფექტურად და რეგულაციის შესაბამისად იმართება.

დოკუმენტაციით და პროფესიული სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მობილობით გადმოსული და სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას. დაწესებულება, გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას სრულად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.4.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის რვა მოდული მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც მიმდინარეობს პრაქტიკის ობიექტებთან ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულებების ან მემორანდუმების საფუძველზე, ყველა შესაბამისი რეგულაციისა და პირობების დაცვით. კოლეჯს პრაქტიკის განხორციელების მიზნით ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შემდეგ ობიექტებთან: შპს „გეფა“, შპს „იმპექსფარმი“, შპს „ელსტარის აფთიაქი“, ი/მ რუსლან ბაბაქიშიევის აფთიაქი, ი/მ ლია ჭიღლაძის აფთიაქი, ი/მ მალვინა შახპაზიანი და შპს „აფთიაქი+1“.

აღნიშნული ხელშეკრულებები დეტალურად ასახავს:

- ხელშეკრულების საგანს და მომსახურების პირობებს;
- მხარეთა პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





- მოდულებს (8 პროფესიული მოდული) და მისაღწევ სწავლის შედეგებს;
- საათობრივ დატვირთვას, რომელიც განხორციელდება ბაზაზე;
- თანამშრომლობის ვადას;
- ორგანიზების საკითხებს;
- კომპანიის გამტარუნარიანობას (სულ 100 პროფესიული სტუდენტის მიღება);
- მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე წვდომას და უსაფრთხოების პირობებს;
- პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას.

დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლების პროცესს შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. კოლეჯში დაცულია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. პრაქტიკის განხორციელებისას გამოიყენება შესაბამისი მატერიალური რესურსები, რომლებიც თანხვედრაშია მისაღწევ სწავლის შედეგებთან. ხელშეკრულებაში ასევე გაწერილია კოლეჯსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის კოორდინაციის საკითხები.

ექსპერტების ვიზიტის დროს შეფასდა ხელშეკრულებებით განსაზღვრული პრაქტიკის პირობების შესრულება. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუები და დოკუმენტაციის შესწავლა ადასტურებს, რომ სტუდენტები კმაყოფილი არიან პრაქტიკული სწავლების ორგანიზაციით. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების ვიზიტებისა და სტუდენტებთან შეხვედრების შესახებ, რაც ასევე ადასტურებს თანამშრომლობას.

2.4.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია: პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ითვალისწინება პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებები, პრაქტიკული კომპონენტი სრულად ხორციელდება შესაბამისი პარტნიორობით, ინტერაქტიულ გარემოში, უსაფრთხო და კონტროლირებად პირობებში.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - სასწავლო პროცესი ფარმაციის პროგრამაზე მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებას და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოებას. უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებისა და სპეციალური სამსახურების არსებობის საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კოლეჯში მოქმედებს უსაფრთხოების დებულება (დამტკიცებულია შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 ოქტომბრის N60 ბრძანებით, ცვლილება შევიდა 2025 წლის 5 მაისის N6599 ბრძანებით, თავი 3 – სასწავლო პროცესის უსაფრთხოების დაცვა, მუხლი 10-11). დებულება განსაზღვრავს შესაძლო საფრთხეების შეფასებას პროფესიული პროგრამების განხორციელების პროცესში.

შრომის უსაფრთხოების პასუხისმგებლობა ეკისრება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს. პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფა რეგულირდება დებულებით (დამტკიცებულია N60, ცვლილება N6599, თავი 5, მუხლი 25-40) და განხორციელდება დირექტორის მიერ დასახელებული პირის მიერ, რომელიც აღიარებულია საგანგებო მართვის გეგმის ფარგლებში. უსაფრთხოების მიმართულებით პასუხისმგებელი პირი ასევე არის სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი.

ექსპერტების ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ კოლეჯში უსაფრთხოების წესებს. სასწავლო პროცესის დასაწყისში ადმინისტრაცია სპეციალურ შეხვედრებს უძღვნის უსაფრთხო სწავლების წესების გაცნობისთვის. ფარმაცევტულ ლაბორატორიებში პრაქტიკული სამუშაოების დაწყებამდე პროფესიული მასწავლებლები ახსენებენ ლაბორატორიაში ქცევის წესებს, მუშაობას ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ და უბედური შემთხვევის შემთხვევაში მოქმედების წესებს.

სასწავლო გარემოში განთავსებულია:

- ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (დამუხტული ცეცხლმაქრები);
- უსაფრთხოების წესები ფარმაცევტულ ლაბორატორიებში;
- ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესები;
- უბედური შემთხვევის დროს მოქმედების ინსტრუქციები;
- გამწოვი კარადა.

დაწესებულია სისტემატური პირადი დაცვის საშუალებების შეძენა, ნარჩენების შეგროვება და გატანა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ასევე უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას.

კოლეჯში მოქმედებს სპეციალური ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების მომსახურების გაწევაზე (N103832349, 13 იანვარი 2025) შპს „სეიფთი ლაბი“-თან, ვადით ერთი წელი. ხელშეკრულება მოიცავს:

- შრომის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





- აკრედიტებული სპეციალისტის უზრუნველყოფას;
- ობიექტზე ზედამხედველობას და სამუშაო ადგილის დათვალიერებას;
- საფრთხეების გამოვლენა-საფრთხეების კონტროლს;
- უბედური შემთხვევების კვლევას და აღრიცხვას;
- პრევენციული ღონისძიებების გატარებას;
- დასაქმებულთა ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარებას;
- დარღვევების სისტემატიზებას და რეკომენდაციების მომზადებას.

კოლეჯში პერიოდულად ტარდება რისკების შეფასება და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. ფარმაცევტულ ლაბორატორიებში თვალსაჩინო ადგილზე არის უსაფრთხოების წესები, უსაფრთხოების ტრენინგები აღირიცხება „შრომის უსაფრთხოების ჟურნალში". ნარჩენების მართვა ხორციელდება აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლებით (მუხლი 31 – პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი, მუხლი 32 – ნარჩენების მართვის წესი), რომლის მიხედვითაც ნარჩენები უტილიზირდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დაწყებულ დებულებას ახლავს დანართები:

- დანართი 1 – ლაბორატორიაში ქცევის წესები;
- დანართი 7 – ფარმაცევტულ ლაბორატორიაში წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის წესი.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს უსაფრთხო გარემოში, ყველა საჭირო რეგულაციების დაცვით. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირი დადებითია, რაც ადასტურებს უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დაცვას. პარტნიორთან/სასწავლო განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ასევე ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის დირექტორი, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი უწევს სტუდენტებს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ფარმაციის პროგრამის განხორციელების დროს უსაფრთხო გარემოს მუდმივი მონიტორინგი ხორციელდება, რის შესახებაც არსებობს შემოწმების აქტები (N32, 21.06.2023; შემოწმებები 2024 და 2025 წლებში), რაც ადასტურებს, რომ კოლეჯი სრულად ასრულებს უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4.1.6. ***ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ფარმაცია (სააფთიაქო)-ს სასწავლო გეგმა - (პროგრამის დანართი N32) ;
- სასწავლო კალენდარი - N10598 07/11/2024;
- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტუდენტების განცხადება დამატებითი პრაქტიკის მეცადინეობების განხორციელების შესახებ (N5, 28-02-2024);
- აკადემური დირექტორის და მასწავლებლის შეთანხმება დამატებითი კონსულტაციების ჩატარების შესახებ (N6; 29 02-2024);
- სტუდენტების განცხადება მეორე განმეორებითი გამოცდის თხოვნის შესახებ (N41, 22.05.2025)
- აკადემიური დირექტორისა და პროფესიული მასწავლებლის შეთანხმება მეორე განმეორებითი გამოცდის დანიშვნის თაობაზე (N105448651, 22.05.2025);
- შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ტრენინგის - „სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება“ ბმული - https://www.mc.edu.ge/ge/ posts/details/84/stsavlastsavlebis-tanamedrove midgomebi-profesiul ganatlebashi-da profesiuli-studentebis mightsevebis-shefaseba ;
- კონფერენციის -” საუკეთესო პარქტიკის გაზიარება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში
  ბმულები:
  - ✓ 2022 დეკემბერი - https://mc.edu.ge/ge/posts/ details/50/konferentsia
  - ✓ 2023 ივნისი- https://mc.edu.ge/ge/posts/ details/80/mastsavlebelta konferentsia
  - ✓ 2024 წლის სექტემბერი "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების შესაძლებლობებისგაძლიერება " ბმული - https://mc.edu.ge/ge/posts/details/199/treningi mastsavleblebisatvis
  - ✓ 2024 წლის მარტი-მაისი ,,მასწავლებლის საჭიროებებზე მორგებული და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების ციკლი” ბმული - https://www.mc.edu.ge/g e/posts/details/120/ghon isdziebebis-tsikli; https://mc.edu.ge/ge/pos ts/details/164/treningi lagodekhshi

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





- 2023 წლის 14 ნოემბრის ტრენინგი "სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ" - https://mc.edu.ge/ge/posts/ details/91/treningi stsavlebisa-da-shefasebis metodologiis-shesakheb
- სტუდენტური უნარების კვირეულის ბმული: 2023 წელი- https://mc.edu.ge/ge/posts/details/74/chemi-khma profesiul-ganatlebashi ფარმაციის სტუდენტების ღია მეცადინეობა - https://www.mc.edu.ge/ge/ posts/details/126/farmatsiis-studentebi
- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- ინდ.გეგმის დამტკიცების ბრძანება (N5593, 23.04.2025)
- ინდ.გეგმის დამტკიცების ბრძანება (N2994, 28.02.2025)
- ინდ.გეგმის დამტკიცების ბრძანება (N8216; 12/07/2024);
- შპს მარნეულის კოლეჯსა და სს გეფას შორის მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ (N74 , 02.09.2019).
- პფარმაციის (სააფთიაქო)-ს პროგრამის პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალი;
- უსაფრთხოების დებულება;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფარმაციის პროფესიული პროგრამის უსაფრთხოების შემოწმების აქტი (N27 11.06.2024);
- პროგრამის ხელმძღვანელის ფარმაციის პროფესიული პროგრამისუსაფრთხოების შემოწმების აქტი (N59 24.06.2025)

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლები 17–20) განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემას. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი: შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობისა და გასაჩივრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---------- 

პროცედურები, შუალედური შეფასება, საკვალიფიკაციო გამოცდა, შეფასების პროცესის დოკუმენტირება, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურები.

შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. მათთვის, ვინც ვერ ავითარებს სწავლების შედეგებს, მინიჭებულია მაქსიმუმ ორი შესაძლებლობა განმეორებითი შეფასების ჩასაბარებლად პროგრამის დასრულებამდე, გარდა შემთხვევისა, როდესაც მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას. ასეთ შემთხვევაში ვადები შეზღუდულია და განისაზღვრება ორი კვირით.

პროფესიული სტუდენტის ინფორმირება შეფასების პროცესის შესახებ ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს. პროფესიული განათლების მასწავლებელი ან მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების მტკიცებულებების განთავსება პროფესიული სტუდენტების პორტფოლიოში, რომელიც შემდეგ გადასცემია ადმინისტრაციას.

აკადემიის შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაციის პროცესში. კოლეჯი სისტემატურად ატარებს ტრენინგებს შეფასების სისტემის ერთგვაროვნებისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად. ყველა შეფასების ინსტრუმენტი გადის ვალიდაციას, რათა იყოს ადეკვატური და შედეგზე ორიენტირებული.

ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები და ჩატარებული ვერიფიკაციის მასალები, რათა დადგინდეს სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. წარმოდგენილი ინსტრუმენტები უზრუნველყოფს შეფასების კომპონენტების სრულ რეგისტრაციას, მოიცავს საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე, ხოლო შეფასების მტკიცებულებები არის რელევანტური.

პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირით დადასტურდა, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება სამართლიანად, ყველასთვის თანაბარ პირობებში. მასწავლებლებთან ინტერვიუების მიხედვით, ისინი ფლობენ შესაბამის ცოდნას და აქტიურად არიან ჩართულნი შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაციის პროცესში.

ამრიგად,კოლეჯის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების ობიექტურად, სანდოდ და სამართლიანად შეფასებას, ატარებს ვალიდაციის პროცედურებს და იცავს პროფესიული სტუდენტების ინტერესებს.

2.4.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, *პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა კოლეჯში უზრუნველყოფილია შიდა ვერიფიკაციის მექანიზმით, რომელიც დამტკიცებულია შპს მარნეულის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 სექტემბრის N54 ბრძანებით, ბოლო ცვლილება განხორციელდა 2024 წლის 20 სექტემბერს N13369 ბრძანებით. პროცედურა სრულად რეგულირდება დამტკიცებული მექანიზმით.

ვერიფიკაციის მექანიზმის ორგანიზაცია:

- ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, რომლის ხელმძღვანელი და შიდა ვერიფიკატორები არიან ხარისხის მართვის სამსახურის წევრები.
- თითოეული სამოქმედო წლისთვის, ვერიფიკაციის რისკების სისტემის მიხედვით, შერჩევილი მოდულებისთვის მოიწვევენ დარგის ექსპერტებს.
- შიდა ვერიფიკატორები და დარგის სპეციალისტები ვერიფიკაციის სამ ფაზას ახორციელებენ დამტკიცებული ვერიფიკაციის დასკვნის ფორმების გამოყენებით.
- დასკვნების განხილვა და ხარვეზების იდენტიფიცირება განხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ჯგუფის ხელმძღვანელი.

ვერიფიკაციის განხორციელება:

- 2022-2023 სამოქმედო წელს ფარმაციის პროგრამიდან ვერიფიკაციის გეგმაში მოხვდა სამი მოდული რისკების სისტემის გათვალისწინებით. ვერიფიკაციის დასკვნების განხილვის შედეგად გამოვლინდა ხარვეზები, რომლის შესახებაც ჯგუფის ხელმძღვანელმა შეტყობინება გაუგზავნა კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.
- 2023-2024 სამოქმედო წელს ვერიფიკაციის გეგმაში ფარმაციის პროგრამიდან არცერთი მოდული არ მოხვდა.
- 2024-2025 სამოქმედო წელს ვერიფიკაციის გეგმაში ფარმაციის პროგრამიდან მოხვდა ორი მოდული, იგივე რისკ-ფაქტორის გათვალისწინებით, რომელიც 2022-2023 ვერიფიკაციის ანგარიშით გამოვლინდა (პროფესიული მასწავლებლების შერჩევა).

ვერიფიკაციის შედეგებზე რეაგირება:

- ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმის ფარგლებში, ვერიფიკაციის შედეგებზე აკადემიური დირექტორის რეაგირება განხორციელდა ბრძანებებით N9863 (06/08/2024) და N9803 (25/06/2025).

საკვალიფიკაციო გამოცდების მონიტორინგი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





- შიდა ვერიფიკატორები დამატებითი საქმიანობის ფარგლებში ახორციელებენ კოლეჯის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდების მონიტორინგს, რაც წარმოადგენს შეფასების სისტემის ნაწილს.
- მონიტორინგის მიზანია:

  1. კოლეჯის რეგულაციების შესაბამისობის დადგენა მიმდინარე პროცესებთან.

  2. საკვალიფიკაციო შეფასების პროცესების ობიექტური შეფასება.
- მონიტორინგი ხორციელდება ვერიფიკაციის მექანიზმით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
- მონიტორინგის პროცესში სტუდენტების ინფორმირებულობა და მტკიცებულებების შერჩევა ხდება ვერიფიკაციის პროცედურების შესაბამისად.
- მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი არის ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს უფლებამოსილება მოიწვიოს დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტი საკვალიფიკაციო გამოცდების დარგობრივი საკითხების შეფასებისთვის.
- მონიტორინგის შედეგები გადაეცემა კოლეჯის დირექტორს.

  ამრიგად, შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ობიექტურ, სანდო და რეგულაციების შესაბამის აღრიცხვას. პროცესი ხელმისაწვდომია ექსპერტებისა და აკადემიური ხელმძღვანელობისათვის, უზრუნველყოფს ხარვეზების დროულ გამოვლენასა და გამოსწორებას, ასევე ხელს უწყობს საკვალიფიკაციო პროცესების მონიტორინგს და ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. ***2.4.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;***

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით - შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (მუხლი 19) შესაბამისად, ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, **3 წლის ვადით**. შეფასების უწყისები ინახება ცალკე, უვადოდ, სპეციალურად გამოყოფილ, დაცულ სივრცეში.

მტკიცებულებების განადგურება:

- მარეგულირებელი პროცედურა განსაზღვრავს მტკიცებულებების განადგურების წესს: კომისია ევალება სამი წლის ვადით ინახული მტკიცებულებების განადგურება.
- შესაბამისად, ფარმაციის პროგრამაზე, რომელიც დაიწყო 2020 წელს, პირველი ნაკადის მტკიცებულებები ჯერ კიდევ არ ექვემდებარება განადგურებას, რადგან არ გასულა 3-წლიანი შენახვის ვადა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





შენახვის წესები:

- პროფესიული სტუდენტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია, შეფასების ინსტრუმენტები და სტუდენტთა ნაშრომები ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით.
- შეფასების უწყისები ინახება **უვადოდ**, ხოლო სასწავლო პროცესის მართვის სამსახური აწარმოებს **უწყვეტ სარეგისტრაციო ჟურნალს**.

პრაქტიკული შემოწმება:

- ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, გადამოწმდა პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოები.
- დასტურდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებისთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

  ამრიგად, კოლეჯი სრულად ასრულებს მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, **ნდობასა და სამართლებრივ დაცულობას**, ხოლო მონაცემებისა და მტკიცებულებების ორგანიზებული შენახვა უწყობს ხელს ხარისხის უწყვეტ კონტროლს.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის - შპს მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, სტუდენტების შეფასების შედეგების გაცნობაზე პასუხისმგებელი პირი არის **მოდულის განმახორციელებელი**.

შეფასების სისტემის გამოყენება სტუდენტთა განვითარების ხელშეწყობისთვის:

- კოლეჯი წარმატებით იყენებს განსაზღვრულ (формативური) და განმავითარებელ (სუმატიური) შეფასებას პროფესიული სტუდენტების განვითარებისა და პროგრესის მხარდასაჭერად.
- შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განმახორციელებელი პირები ნერგავენ ახალ მიდგომებს და ინიციატივებს, რაც ხელს უწყობს როგორც სასწავლო მეთოდების გაუმჯობესებას, ისე შეფასების სისტემის დახვეწას.
- შუალედური გამოცდების შემდეგ სტუდენტებს მიეცემათ რეკომენდაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთა პირად და პროფესიულ განვითარებაში საჭირო მიმართულებების გამოვლენას.

შეფასების შედეგების გაცნობის პროცედურა:

- 2023-2024 სასწავლო წლის მანძილზე სტუდენტებს შეფასების შედეგები მიეწოდათ პერსონალური მონაცემების დაცვით და მათთან გაფორმებული წერილობითი შეთანხმების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





- შეფასების პროცესის შემდგომ, სტუდენტებს ჩაენიშნათ სესხვები შედეგების განხილვისა და უკუკავშირის მიცემისთვის, რაც ასახულია მასწავლებლების კალენდარულ გეგმებში.
- სასწავლო წლის განმავლობაში, პროგრამის ხელმძღვანელმა კრებით აღრიცხა სტუდენტთა შეფასების შედეგები და მათი განხილვისა და ანალიზის მიზნით ჩაატარა შეხვედრები აკადემიურ დირექტორთან. მიღებული მონაცემები გამოიყენებოდა შემდგომი რეაგირებისთვის და პროფესიული სწავლების პროცესის გაუმჯობესებისთვის.

შეფასების შედეგების მნიშვნელობა:

- პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგები არა მხოლოდ უზრუნველყოფს შეფასების მიზნების მიღწევას, არამედ ასახავს მომავალი განვითარების გზას.
- მიღებული მონაცემებისა და რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები ეხმარება განვითარებაში სტუდენტებს და სასწავლო პროცესს **მთლიანობაში**.

ამგვარად, კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასების შედეგების ეფექტურ გამოყენებას პროფესიული სტუდენტების ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გაღრმავებისა და განვითარებისთვის. ***2.4.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- მარნეულის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- 2023-2024 წლის ვერიფიკაციის ანგარიში (N15020 13/10/2024);
- ვერიფიკაციის შედეგებზე აკადემიური დირექტორის რეაგირება (N9863 06/08/2024).
- ვერიფიკაციის შედეგებზე აკადემიური დირექტორის რეაგირება (N9803 25/06/2025).
- ვერიფიკაციის დოკუმენტები და შედეგები;
- სტუდენტების პორტფოლიოები, შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები;
- ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (იმიტირებული)
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	38

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------





კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2. ამონაწერი უძრავი ქონების რეესტრიდან

25.11.2025

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------